F 171
1976

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა
# კრებული

5

# СБОРНИК
## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

მაისი

თბილისი 1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 1 აპრილის ბრძანება № 328

### მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკურ-სანატორიულ ბაგა-ბაღში მომხდარი ფაქტის შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკურ სანატორიულ ბაგა-ბაღში 1976 წლის 11 მარტს, საღამოს რვა და ცხრა საათს შორის, 5—6 წლიან ბავშვთა სააღმზრდელო ჯგუფის ტუალეტის ოთახში გარეშე პირმა ჩაამტვრია ფანჯარა და მიიმალა. ამ მომენტისათვის ბაგა-ბაღში იმყოფებოდნენ გამგე ვ. გოლიაძე, მეთოდისტი ნ. თალაშიძე, სამნეო ნაწილის გამგე ვ. გიორგაძე და ამ ჯგუფის ღამის ძიძა ვ. წულუკიძე, ხოლო აღმზრდელი ე. ნასუაშვილი, ნაცვლად საღამოს ცხრა საათისა, 8 საათსა და 25 წუთზე უნებართვოდ იყო წასული სახლში, ჟურნალში კი მან ხელი მოაწერა, თითქოს ცხრა საათზე წავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბაგა-ბაღის გამგემ ვ. გოლიაძემ გააფრთხილა სამნეო ნაწილის გამგე ვ. გიორგაძე, მიეღო სასწრაფო ზომები ჩამტვრეული ფანჯრის აღსადგენად, მნაძ ეს დავალება არ შეასრულა, ღამის ძიძამ ე. წულუკიძემ კი დატოვა ბავშვები და გავიდა მოპირდაპირე ოთახში. სწორედ დროის ამ მონაკვეთში უცხო მამაკაცი წინასწარ გატეხილი ფანჯრიდან (ღამის თერთმეტის წუთებზე) შევიდა 5—6 წლიან ბავშვთა საძინებელ ოთახში (სადაც ეძინა 7 გოგონასა და ორ ბიჭუნას) და ჩაიდინა უმსგავსო საქციელი. ამის შესახებ ძიძას აცნობა ამ ჯგუფის აღსაზრდელმა. ქმედითი ზომების მიღებამდე უცნობმა პირმა გაანგრია ფანჯრის ჩარჩო და გაიქცა.

მომხდარი ფაქტის შესახებ ბაგა-ბაღის გამგეს ვ. გოლიაძეს განათლების სამინისტროსათვის არ უცნობებია. ამის შესახებ განათლების სამინისტრომ ხუთი დღის შემდეგ (16 მარტს) შეიტყო ტელეფონით გარეშე პირისაგან.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხ-რეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

—ორი კვირის განმავლობაში შეისწავლონ მათ ტერიტორიაზე მყოფი ყველა უწყების სადღეღამისო სკოლამდელი დაწესებულებების ცალკეული ჯგუფების მუშაობა და მიიღონ რადიკალური ზომები მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად;

შექმნან აუცილებელი პირობები ამ ტიპის დაწესებულებათა (ჯგუფების) ნორმალური მუშაობისათვის;

—უზრუნველყონ უსაფრთხოება; ქონებისა და შენობა-ნაგებობათა დაცვა;

—ყველა ტიპის სკოლამდელ დაწესებულებაში შემოიღონ ცვლების მიხედვით ბავშვთა მიღება-გადაბარების ჟურნალის წარმოება. მასზე ხელმძღვანელობა და კონტროლი დააკისრონ ამ დაწესებულებათა გამგეებსა და მეთოდისტებს;

—მიღებული ზომების შესახებ განათლების სამინისტროს აცნობონ ა/წლის ივნისის ბოლომდე.

2. ბაგა-ბაღის გამგე ვ. გოლიაძე, რომელმაც ვერ დაამყარა წესრიგი დაწესებულებაში, ვერ განახორციელა სათანადო ხელმძღვანელობა მუშაობაზე და მომხდარი ფაქტის შესახებ არ აცნობა განათლების სამინისტროს, იმსახურებს მოხსნას, მაგრამ ვითვალისწინებ რა მის ხანგრძლივ მუშაობას, ვუცხადებ სასტიკ საყვედურს;

—მასვე დაევალოს ადგილკომის სხდომაზე განიხილოს ბაგა-ბაღის აღმზრდელ ე. ნასუაშვილისა და სამნეო ნაწილის გამგის ვ. გიორგაძის სამსახურებრივი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების საკითხი და მიიღოს სათანადო ზომები;

—გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი ბაგა-ბაღის მუშაობაზე, გაზარდოს თითოეული მუშაკის მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისადმი; ოჯახში მოსიარულე ბავშვთათვის გამოყოს ცალკე ჯგუფი;

—დაუყოვნებლივ გაუკეთოს შენობის ფანჯრებს ხის დარაბები.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ბაგა-ბაღის ღამის ძიძა ე. წულუკიძე განთავისუფლებულია სამუშაოდან.

4. ავტონომური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორებმა (მეთოდისტებმა) სისტემა-

ტურად შეისწავლონ სადღეღამისო სკოლამდელ დაწესებულებათა და ჯგუფების მდგომარეობა და მკაცრი კონტროლი დააწესონ მათ მუშაობაზე.

5. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 1 აპრილის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 4 აპრილის ბრძანება № 329

### სკოლამდელ დაწესებულებებში რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ „სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 10 ივლისის დადგენილების საფუძველზე, მშობელთა საზოგადოებრიობის მოთხოვნის გათვალისწინებით, სკოლამდელ დაწესებულებებში სამეურნეო ანგარიშზე შემოღებულია რუსული ენის სწავლება.

ამ წესით რუსული ენა ისწავლება რესპუბლიკის 42 რაიონისა და ქალაქის 340 სკოლამდელ დაწესებულებაში, სადაც ჩამოყალიბებულია 700-მდე ჯგუფი; მათში გაერთიანებულია 4-დან 6—7 წლამდე ასაკის 10500 ბავშვი, რაც შეადგენს ბავშვების 12,4%. რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პედაგოგთა უმრავლესობას აქვს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება და საბავშვო ბაღში მუშაობის საკმაო გამოცდილება.

სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და პედაგოგთა გარკვეული ნაწილი პასუხისმგებლობით მოეკიდა რუსული ენის სწავლების საქმეს. ქ. თბილისის № 27 ბაგა-ბაღში, № 39 და ქ. გორის № 5 საბავშვო ბაღებში რუსული ენის სწავლებისათვის გამოყოფილია სპეციალური ოთახები (გამგეები ე. ბოლდაშვილი, დ. ჩახუნაშვილი, რ. მარგველაშვილი), ხოლო რესპუბლიკურ № 1, ქ. თბილისის № 46 და № 27 ბაგა-ბაღების, № 102 № 49 და ქ. გორის № 3 საბავშვო ბაღების პედაგოგები ა. გაგლოევა, ც. დარჩია, ნ. კაკაურიძე, გ. ჯიბუტი, ნ. ბარათაშვილი, ც. გრიგოლაშვილი მუშაობაში უნარიანად იყენებენ საილუსტრაციო, თვითნაკეთ დიდაქტიკურ მასალასა

და სათამაშოებს. მათ მიერ ჩატარებული მეცადინეობები გამოირჩევა მდიდარი შინაარსითა და მაღალი მეთოდური დონით. ბავშვთა დიდი უმრავლესობა დაუფლებულია პროგრამულ მასალას, ისინი აქტიურად პასუხობენ პედაგოგებისა და უფროსების შეკითხვებზე. კარგი შედეგებით გამოირჩევა რესპუბლიკური № 1 ბაგა-ბაღის პედაგოგის ა. გაგლოევას მუშაობა. მეცადინეობაზე (თემა „ცხოველები“) მან მტკიცედ დაიცვა რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფის პროგრამის მოთხოვნები და სწორად გამოიყენა მეთოდური ხერხები: გაამეორებინა ბავშვებს გავლილი მასალა, განამტკიცა ახალი სიტყვები; მეცადინეობის მსვლელობის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სიტყვებისა და ცალკეული ბგერების, მაგარი და რბილი თანხმოვნების სწორად წარმოთქმას, ბავშვებთან ინდივიდუალურ მუშაობას.

ამასთან ერთად, ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულების რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების მუშაობაში შეინიშნება ნაკლოვანებები. მიუხედავად არაერთი მითითებისა, ადგილობრივი განათლების ორგანოები რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პედაგოგებად ნიშნავენ არასპეციალისტებს, რომლებსაც სკოლამდელ დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილებაც არ აქვთ: ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის № 69, ოქტომბრის რაიონის № 91 საბავშვო ბაღების, ორჯონიკიძის რაიონის № 63 ბაგა-ბაღის რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პედაგოგებს ლ. აკოფოვას, ლ. წიქვაძეს, ჟ. ბერიშვილს დამთავრებული აქვთ დასავლეთ ევროპის ენების ფაკულტეტი და არ აქვთ საბავშვო ბაღში მუშაობის გამოცდილება.

ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფებისათვის არ არის გამოყოფილი სპეციალური ოთახები, მეთოდურ კაბინეტებში — სპეციალური კუთხეები თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალისათვის (რესპუბლიკურ საბავშვო, რესპუბლიკურ № 1 და №2, ქ. ხაშურის № 1 ბაგა-ბაღებში, ქ. გორის № 1 და № 3 საბავშვო ბაღებში — გამგეები ლ. რუსია, ე. ჩხეიძე, ნ. ესართია, ც. გორგიშელი, ო. პაპაშვილი, ც. ჩინჩალაძე). პედაგოგების გარკვეული ნაწილი არ აქცევს სათანადო ყურადღებას ბავშვთა აქტივობას, კითხვების სწორად დასმას; ნაკლებად იყენებს თვითნაკეთ თვალსაჩინო-დიდაქტიკურ მასალას, რაც საგრძნობლად აქვეითებს რუსული ენის შესწავლის ეფექტურობას (რესპუბლიკური საბაზო, ხაშურის № 1 ბაგა-ბაღები, ქ. გორის № 1 საბავშვო ბაღი — პედაგოგები მ. ინჯია, თ. კასრაძე, ე. ხეჩუაშვილი).

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებებში არასწორად იგეგ-

მება რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების მუშაობა. რესპუბლიკურ № 2 ბაგა-ბაღში არის ერთი და იგივე ბავშვის რუსულისა და და უცხოური ენების შემსწავლელ ჯგუფებში ჩარიცხვის შემთხვევები (გამგე ვ. ჩხეიძე), ხოლო ხაშურის № 1 ბაგა-ბაღსა და № 5 საბავშვო ბაღში რუსული ენის შემსწავლელ ჯგუფებში ჩარიცხულია სამწლიანი ბავშვები, რაც ეწინააღმდეგება დებულებას.

ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში არ არის დაცული ხარჯთაღრიცხვითა და დებულებით გათვალისწინებული ანაზღაურების წესი; გადასახადს მშობლები იხდიან ყოველთვიურად ან კვარტალში ერთხელ, რაც უარყოფითად მოქმედებს პედაგოგთა შრომის ანაზღაურებაზე (ქ. თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის № 18 საბავშვო ბაღი, № 2 ბაგა-ბაღი, რესპუბლიკური საბაზო და ხაშურის № 1 ბაგა-ბაღები, გორის № 3 საბავშვო ბაღი).

სკოლამდელ დაწესებულებებში ადგილი აქვს რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პედაგოგთა დაგვიანებით გამოცხადებას, დაწესებული განრიგის შეცვლისა და მეცადინეობის გაცდენის შემთხვევებსაც კი (თბილისის № 22 და № 18 საბავშვო ბაღები—პედაგოგები ვ ჯალალიანი, ლ. საკაშვილი).

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობას სათანადო კავშირი არა აქვს სკოლებთან; არ აქვთ შესწავლილი სკოლებში წასული ბავშვების აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის მაჩვენებლები. თავის მხრივ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სუსტად ეხმარებიან სკოლამდელ დაწესებულებებს რუსული ენის სწავლების მაღალ მეთოდურ დონეზე დანერგვის საქმეში. ქ. თბილისის 26 კომისრის კალინინის, ორჯონიკიძის რაიონებში და ქ. გორში სათანადო ყურადღება არ ექცევა რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პედაგოგთა სექციურ მუშაობას.

რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ებ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა:

—რუსული ენის შემსწავლელ ჯგუფებში პედაგოგებად დანიშნონ მხოლოდ სპეციალური განათლებისა და გამოცდილების მქონე პირნი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მტკიცე კონტროლი დააწესონ სკოლამდელ დაწესებულებებში რუსული ენის სწავლებაზე; სისტემატურად შეამოწმონ ჯგუფების მუშაობა და შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე;

—რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პედაგოგთათვის ჩამოაყალიბონ მეთოდური სექციები;

—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების ჩამოყალიბებას სოფლის სკოლამდელ დაწესებულებებში;

—არ დაუშვან ერთ სკოლამდელ დაწესებულებაში ერთდროულად უცხოური და რუსული ენების შემსწავლელი ჯგუფების გახსნა; ენის შერჩევისას გაითვალისწინონ მშობელთა სურვილი და მოთხოვნები;

—ეს ბრძანება განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და მიიღონ კონკრეტული ზომები სკოლამდელ დაწესებულებებში რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

2. სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეებმა:

—მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა და დებულება რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების მუშაობის შესახებ;

—შექმნან ყველა პირობა სკოლამდელ დაწესებულებებში რუსული ენის სწავლებისათვის, გამოყონ სპეციალური ოთახები, მეთოდკაბინეტებში—კუთხეები თვალსაჩინოებისათვის. უზრუნველყონ ჯგუფები სავალდებულო თვალსაჩინო დიდაქტიკური, საილუსტრაციო და სათამაშო მასალებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით (დიაფილმები, მაგნიტოფონები, ფირფიტები ჩანაწერებით და სხვ.);

—რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფები დააკომპლექტონ 4 წლისა მეტი ასაკის ბავშვებით;

—შეადგინონ რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების მეცადინეობათა განრიგი ცალკეულ სკოლამდელ დაწესებულებათა პირობების გათვალისწინებით ისე, რომ არ დაირღვეს საბავშვო ბაღის აღზრდის პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად მეცადინეობათა განრიგი;

—მიზანშეწონილად ჩაითვალოს რუსული ენის შემსწავლელ ჯგუფებში მეცადინეობის ჩატარება დილის საათებში—საუზმემდე, ძირითადი მეცადინეობის შემდეგ და დღის მეორე ნახევარში;

—დააწესონ მტკიცე კონტროლი რუსული ენის შემსწავლელი

ჯგუფების პედაგოგთა მუშაობაზე, გაუწიონ მათ სათანადო დახმარება;

—უზრუნველყონ რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პედაგოგთა ჩაბმა სექციების მუშაობაში;

—მტკიცე კონტროლი დააწესონ რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პედაგოგთა სამსახურში წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით გამოცხადებაზე, რისთვისაც შემოიღონ სპეციალური აღრიცხვის ჟურნალები.

3. სკოლამდელ დაწესებულებათა რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პედაგოგებმა:

—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეცადინეობებზე გავლილი მასალის განმტკიცება-განმეორებას, ბავშვების აქტივობას;

—მუშაობაში მაქსიმალურად გამოიყენონ თვალსაჩინო-დიდაქტიკური, თვითნაკეთი საილუსტრაციო მასალები, სწავლების ტექნიკური საშუალებანი;

—სკოლისათვის ბავშვების უკეთ მომზადების მიზნით, მტკიცე კავშირი დაამყარონ დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებლებთან.

4. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტთან ერთად (ამხ. გ. საყვარელიძე):

—ახალი, 1976—1977 სასწავლო წლისათვის დაამუშაოს რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პედაგოგებისათვის მეცადინეობათა კონსპექტები, დაგეგმვისა და აღრიცხვის ტიპური ნიმუშები;

—1976—1977 წლებში გაითვალისწინოს ქ. ქ. თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ცხაკაიას, ბორჯომის, გურჯაანის, მახარაძის, სიღნაღის, თელავის, წითელწყაროს რაიონებში რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პედაგოგებთან სემინარული მუშაობის ჩატარება;

—მოახდინოს მოწინავე მუშაკთა გამოცდილების განზოგადება.

5. ი. გოგებაშვილის სახელობის პედმეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე) აწარმოოს ექსპერიმენტული მუშაობა რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პროგრამის სრულყოფისა და სასკოლო პროგრამასთან შესატყვისობის მიზნით;

—განიხილოს რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფებისათვის დასურათებული სახელმძღვანელოს შექმნის შესაძლებლობა და წინადადებები წარმოადგინოს ა/წ. 1 სექტემბრამდე;

—გადაისინჯოს საბავშვო ბაღის აღზრდის პროგრამა იმ თვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზრისით, რომ დღის რეჟიმსა და მეცადინეობათა განრიგში სათანადო ადგილი დაიმკვიდროს ამ ჯგუფების მუშაობამ;

—1976 წლის 20 სექტემბრამდე შექმნას მეთოდური საბჭო და დაავალოს მას რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში რუსული ენის სწავლებასთან დაკავშირებით წამოჭრილ პრობლემათა გადასაჭრელად კონკრეტული წინადადებების შემუშავება.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი), სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი), პედაგოგიკურ მეცნიერებათა კვლევით ინსტიტუტთან ერთად (ამხ. გ. საყვარელიძე), 1976 წლის ბოლომდე შეამოწმონ ქ. თბილისის სკოლების დაწყებით კლასებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობა.

6. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პედაგოგთა დასახმარებლად მზად არის გამოსაცემად თამაშობათა კრებული „მოდით ვითამაშოთ“, ქ. გორის სკოლამდელ დაწესებულებათა რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პედაგოგებისათვის ჩატარებულია სემინარული მუშაობა.

8. დაისვას საკითხი სსრკ განათლების სამინისტროს წინაშე რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების სახელმწიფო ხარჯზე გადაყვანისა და საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების ტიპურ შტატებში რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პედაგოგის შტატის გათვალისწინების შესახებ.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, ქ. თბილისის განათლების განყოფილებასთან (ამხ. თ. ეგაძე) ერთად, ა/წლის აპრილის თვეში ჩაატაროს სკოლამდელ დაწესებულებათა რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პედაგოგთა კონფერენცია.

10. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) 1977 წლის საკურსო ღონისძიებებში გაითვალისწინოს სკოლამდელ დაწესებულებათა რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების პედაგოგთა გადამზადება,

11. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 1 აპრილის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 338
## ОТ 2 АПРЕЛЯ 1976 ГОДА ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКЙ ССР

### об утверждении отчета по республиканскому бюджету Минпроса ГССР за 1975 год

Отметить, что при плане финансирования за 1975 г. в сумме 12 786,0 тыс. руб. не были освоены 341,0 тыс. руб., из них по расходам по питанию воспитанников школ-интернатов—128.0 тыс. руб., учебным расходам—67,0 тыс. руб., приобретению инвентаря и оборудования—121,0 тыс. руб., капитальному ремонту—48,0 тыс. руб. и т. д.

Одновременно сверх ассигнованных средств израсходовано по хозяйственным мероприятиям—38,0 тыс. руб. и прочим расходам—230,0 тыс. рублей.

Неосвоение средств по питанию вызвано было некомплектностью запланированного числа воспитанников в школах-интернатах в количестве 352 ед., из коих по специальным школам-интернатам—глухих, слепых и умственно отсталых детей 78 ед., и необеспечением детей продуктами питания по норме.

Средства на приобретение инвентаря в основном не были освоены в части специальных ассигнований по приобретению школьного инветаря для школ, построенных колхозами, ввиду недостаточности соответствующих фондов у деревообрабатывающих фабрик республики.

Средства на капитальный ремонт не были освоены по реконструкции здании музыкальной школы-интерната и методкабинета (центра) идейно-воспитательной работы.

По отдельным учреждениям были допущены те или

иные бюджетно-финансовые нарушения, так дирекцией Кобулетской лесной школы—санатория по ст. 3—адмхозрасходам допущен перерасход 5,0 тыс. р., Глданской № 1 школы-интерната спортивного профиля—9,5 тыс. р., тоже № 2—7,1 тыс. р., Тбилисской школы-интерната глухих детей—4,5 тыс. р. и т. д.

Наряду с этим учреждения допустили неосвоение средств по другим статьям.

Все отчеты подведомственными организациями республиканского подчинения были представлены в срок, составлены на основе полной инвентаризации всех счетов баланса.

В целях дальнейшего наведения строжайшей дисциплины в деле расходования государственных средств и обеспечения выполнения бюджета, существующего распоряжения,

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Всем руководителям учреждений, подведомственных Министерству просвещения Грузинской ССР:

а) обеспечить полное освоение бюджетных ассигнований и выполнение всех предусмотренных планом мероприятий, не допуская каких-либо бюджетно-финансовых нарушений;

б) принять действенные меры к сохранности жесткого и мягкого инвентаря, не допуская преждевременной его амортизации;

в) усилить охрану социалистической собственности, устранить безхозяйственность и условия, порождающие её;

г) ликвидировать всю дебиторскую задолженность.

2. Планово-финансовому управлению:

а) при ассигновании средств на II кв. т. г. зачесть всю дебиторскую задолженность, числящуюся за учреждениями на 1 января 1976 года и излишки материалов сверх установленной нормы;

б) выделение средств на капитальный ремонт зданий, подведомственным Министерству республиканских учреждений производить лишь после утверждения технической документации.

3. Вопрос об ответственности руководителей отдельных учреждений рассмотреть на балансовой комиссии.

Отчет за 1975 год по республиканскому бюджету Министерства просвещения Грузинской ССР утвердить.

**Основание:** Постаровление Коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 1 апреля 1976 года.

Министр **Т. Лашкарашвили**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 7 აპრილის ბრძანება № 349

### უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების 1975 წელს კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა 10 თვიანი სტაჟირების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში მიმდინარე წელს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებიდან წარმოდგენილი ანგარიშებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ აჭარის ასსრ განათლების სამინისტროში, ქ. ქუთაისის, გეგეჭკორის, ყვარლის, გორის, კასპისა და თელავის რაიონებში ათთვიანი სტაჟირების მიმდინარეობის ადგილზე შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა ათთვიან სტაჟირებას პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ქ. ქუთაისის, გალის, ტყვარჩელის, ქედის, ჯავის, გეგეჭკორისა და გორის რაიონების განათლების განყოფილებები.

საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშაობა ახალგაზრდა სპეციალისტებთან მიმდინარე სასწავლო წელს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მეთოდურმა კაბინეტებმა დამწყებ მასწავლებლებს გააცნეს სსრ კავშირის განათლების მინისტრის ამხ. ნ. პროკოფიევის 1974 წლის 27 მარტის წერილის „უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა სტაჟირების შესახებ“ შინაარსი. პედაგოგიურ კაბინეტებში სტაჟიორებისათვის ჩატარდა ლექცია საუბრები ახალგაზრდა კურსდამთავრებულთა სტაჟირების პროგრამისა და ამოცანების შესახებ. ისინი მიმაგრებულნი არიან ხელმძღვანელებთან, შედგენილი აქვთ ინდივიდუალური სამუშაო გეგმები, რომლებშიც გათვალისწინებულია სასწავლო, მეთოდური და კლასგარეშე მუშაობის ცალკეული საკითხები.

ახალგაზრდა მასწავლებელთა დიდი ნაწილი გამოყენებულია

კლასის ხელმძღვანელად ან მის თანაშემწედ. ზოგ მათგანს (ქ. ქუთაისი, გორისა და გეგეჭკორის რაიონები) უკვე ჩატარებული აქვს ღია გაკვეთილები, მონაწილეობას ღებულობს მეთოდგაერთიანების სხდომაზე და პედაგოგიურ კითხვაში.

რესპუბლიკის ცენტრალური დახელოვნების ინსტიტუტის ფიზიკისა და მათემატიკის კაბინეტები და აჭარის ასსრ დახელოვნების ინსტიტუტი მჭიდრო კავშირში არიან რიგი რაიონების მეთოდურ კაბინეტებთან, დახმარებას უწევენ სტაჟიორებს მუშაობაში, უტარებენ კონსულტაციებს და აძლევენ სათანადო მითითებებს.

ახალგაზრდა სპეციალისტები უზრუნველყოფილნი არიან ნორმალური დატვირთვით.

აღნიშნულის მიუხედავად, ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილების მუშაობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა რიგი ნაკლოვანებები. მაგ.: ქ. თბილისის საქარხნო, ქ. ქიათურის, თერჯოლისა და ლენტეხის რაიონების განათლების განყოფილებებს დღემდე არ გადმოუგზავნიათ წერილობითი ანგარიშები ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილების წერილობითი ანგარიში კი ატარებს ზოგად ხასიათს, რადგან მასში არ არის ასახული სტაჟიორთა მუშაობაში შემჩნეული ნაკლოვანი მხარეები.

არცერთი რაიონის განათლების განყოფილებას არ განუხილავს საბჭოს სხდომაზე საკითხი ახალგაზრდა სპეციალისტთა სტაჟირების მიმდინარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. გამონაკლისს წარმოადგენს აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო, რომელმაც აღნიშნული საკითხი კოლეგიის სხდომაზე განიხილა 1975 წლის დეკემბერს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დავევალოთ განათლების განყოფილებათა გამგეებს, უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა ათთვიანი სტაჟირების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით, გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) სასკოლო ინსპექტორებთან ერთად გულდასმით შეისწავლონ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სტაჟირების მიმდინარეობა და შემოწმების შედეგები განიხილონ საბჭოს სხდომაზე;

ბ) შეუქმნან ახალგაზრდა სპეციალისტებს ნორმალური მუშაობისათვის ყველა საჭირო პირობა, ისე რომ, სტაჟირების პროცესში

ახალგაზრდა მასწავლებელმა შეძლოს გამოამჟღავნოს უმაღლეს სასწავლებელში მიღებული მეცნიერული ცოდნის დონე, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, საგნის სწავლების მეთოდიკის, სააღმზრდელო მუშაობის და მისი პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევები;

გ) იმ სკოლებში, სადაც არ არის სტაჟიორებისათვის შესაფერისი ხელმძღვანელი, სტაჟიორს ხელმძღვანელობა გაუწიოს სკოლის დირექტორმა, დირექტორის მოადგილემ, განათლების განყოფილების ინსპექტორმა ან პედკაბინეტის მეთოდისტმა.

2. სოხუმის, ქუთაისის, ცხინვალის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა საჭირო დახმარება გაუწიონ რესპუბლიკის სკოლებს ახალგაზრდა სპეციალისტების სტაჟირების სწორად წარმართვაში.

3. აღინიშნოს ქ. თბილისის საქარხნო, ქ. ჭიათურის, თერჯოლისა და ლენტეხის რაიონების განათლების განყოფილებების გამგეების თ. ჩუბინიძის, გ. ცხადიაშვილის, ს. გაბრიჭიძისა და ჯ. ონიანის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ახალგაზრდა სპეციალისტების სტაჟირების საქმისადმი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 1 აპრილის დადგენილება.

მინისტრი ო. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 8 აპრილის ბრძანება № 359

## თბილისის № 1 დამხმარე სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

თბილისის № 1 დამხმარე სკოლაში, მიუხედავად მეტად ცუდი მატერიალური ბაზისა, მასწავლებელთა ერთი ნაწილი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, კეთილსინდისიერად ემზადება თითოეული გაკვეთილის ჩატარებისათვის და გარკვეულ შედეგებსაც აღწევს.

თვალსაჩინო წარმატებები აქვთ მოპოვებული რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს გ. ავეტისოვას, ვ. შუბინას, ა. კოველსკაიას. კარგად არის დაყენებული სკოლაში VII და VIII კლასების პროფესიული შრომითი მომზადების საქმე, მოსწავლე გოგონები სასწავლო შრომით პრაქტიკას ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში გადიან, ხოლო ვაჟები საამკინძაო საქმეს—ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში.

მიუხედავად ამისა, თბილისის № 1 დამხმარე სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი:

მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი მთელი პასუხისმგებლობითა და საქმისადმი დაინტერესებით არ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, სისტემატურად არ მუშაობს კვალიფიკაციის ამაღლებისა და პედაგოგიური დახელოვნებისათვის, ნაკლებ ყურადღებას აქცევს თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებას. სუსტია სკოლის დირექციის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორული როლი პედაგოგიური კოლექტივის მობილიზების, დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებისა და შრომითი დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება: მასწავლებლები თ. მჭედლიძე, ო. მაისურა-

ძე და ო. კარსანიძე, მიუხედავად იმისა, რომ დამაკმაყოფილებლად ფლობენ საგანს, უშვებენ უხეშ შეცდომებს საპროგრამო მასალის საათობრივ განაწილებაში, მათ მიერ შედგენილი გაკვეთილების გეგმები არ პასუხობენ დღევანდელ მოთხოვნებს, მეთოდურად არასწორად ახდენენ საკონტროლო ნამუშევრებში დაშვებული შეცდომების გასწორებას, არ ატარებენ საკლასო წერებს. არ აქცევენ ყურადღებას საკონტროლო წერის სახეების სწორად შერჩევას, ნაკლებად ზრუნავენ პროგრამული მასალის საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მხარეების ურთიერთდაკავშირებისათვის. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა IV—V კლასებში, სადაც ამ საგანს მასწავლებელი ო. მაისურაძე ასწავლის. სკოლაში ფაქტიურად არ არის შექმნილი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება: მასწავლებლების ო. ვაზირიანისა და მ. ხელაშვილის მოსწავლეებმა დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს, ეს პედაგოგები სწავლების პროცესში არ იყენებენ ახალ ხერხებსა და მეთოდებს, არ ითვალისწინებენ ოლიგოფრენ ბავშვთა გონებრივ შესაძლებლობებს, სპეციფიკას და გაკვეთილებს ატარებენ უხალისოდ, ყოველგვარი დიდაქტიკური და ჩამოსარიგებელი მასალის გარეშე. სერიოზულად არ ეკიდებიან საკონტროლო წერითი სახეების სწორად შერჩევას, რვეულების სისუფთავესა და ნაწერების გასწორების საქმეს. მოსწავლეებს აფასებენ არაობიექტურად. უგულებელყოფენ პროგრამულ მოთხოვნებს, რის შედეგად უხეში დარღვევები აქვთ დაშვებული გეომეტრიის სწავლებაში. კერძოდ, ამ საგანს, რომელსაც პროგრამით 1 საათი ეთმობა, ასწავლიან მათემატიკასთან ერთად, ისიც თავიანთი შეხედულების მიხედვით. მ. გელაშვილს $V^1$ კლასში 1 სექტემბრიდან 18 ოქტომბრამდე გეომეტრიის გაკვეთილი საერთოდ არ ჩაუტარებია. 20 გაკვეთილის ნაცვლად პირველი სექტემბრიდან 30 იანვრამდე სატარებული აქვს 6 გაკვეთილი. ანალოგიური მდგომარეობა აქვს ამ მასწავლებელს სხვა კლასებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ რუსული სექტორის დაწყებითი კლასების მასწავლებლები ე. კარაკოზიანი, მ. შოსტაკი და გ. პეტრენკო გაკვეთილებს დამაკმაყოფილებლად ატარებენ, მათ მუშაობაში მნიშვნელოვანი ხარვეზები შეიმჩნევა. ზემოაღნიშნული მასწავლებლები სწორად არ ახდენენ განვლილი მასალის ჟურნალში ფიქსირებას, არ ავსებენ სწორად საშინაო დავალების გრაფას (მასწავლებელი ე. კარა-

კოზიანი, მ. შოსტაკი), არ ახდენენ მოსწავლეთა შეფასებას საგნობრივ გაკვეთილზე (შოსტაკი). დარღვევით ისწავლება გეომეტრია დაწყებით კლასებში: 5—10 წუთის ნაცვლად მ. შოსტაკს ამ საგნის მასწავლებლისათვის სექტემბრის თვეში 2 საათი ჰქონდა დათმობილი. დაბალია მოსწავლეთა წერის კულტურა (მასწავლებლები გ. პეტრეიკო და მ. შოსტაკი). ეს მასწავლებლები არ ატარებენ საკონტროლო წერებს მათემატიკასა და მშობლიურ ენაში. დარღვევებია პროგრამული მასალის საათობრივ განაწილებაშიც.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება ქართული სექტორის დაწყებითი კლასის მასწავლებლების ვ. როყვასა და მ. იამანიძის მუშაობაც. დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე. II⁴ კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი ვ. როყვა) სუსტად ერკვევიან ერთეულებსა და ათეულებში, უჭირთ დასმულ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემა. ასევე არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნის დონე III¹ კლასში (მასწავლებელი მ. იამანიძე). მესამეკლასელებმა ვერ შეძლეს გაეცათ პასუხი კითხვებზე: რომელია სამრავლი, ნამრავლი; რას გვიჩვენებს სამრავლი, მამრავლი, ნამრავლი, არ იციან საათის გამოცნობა და სხვ.

III კლასის მოსწავლეებმა სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს ქართული ენის გაკვეთილებზეც. მასწავლებლები ვ. როყვა და მ. იამანიძე არ იყენებენ ჩამოსარიგებელ მასალას, არ აქცევენ სათანადო ყურადღებას მოსწავლეთა წერის კულტურას, არ ატარებენ სათანადო რაოდენობით საკლასო წერებს, უხეშ დარღვევებს უშვებენ პროგრამული მასალის საათობრივ განაწილებაშიც.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ისტორია. მასწავლებელი ვ. ახვლედიანი სათანადო ყურადღებას არ აქცევს სწავლების მეთოდურ მხარეს, არ ითვალისწინებს მოსწავლეთა გონებრივ შესაძლებლობებს. სწავლების პროცესში იშვიათად იყენებს სურათებს, დიაგრამებს, ტაბულებს, არ იცავს პროგრამული მასალის საათობრივ განაწილებას შრომის სწავლებისას; ანალოგიური შეცდომები აქვს დაშვებული შრომის მასწავლებელ ნ. ცომაიასაც.

სკოლაში მეტად დაბალ დონეზე ტარდება ფიზკულტურის გაკვეთილები, რაც არამარტო სპორტული დარბაზის უქონლობით აიხსნება, არამედ ფიზკულტურის მასწავლებლის მ. სევასტოვის უპასუხისმგებლობითა და უინტერესობითაც. სკოლაში დღემდე არ არის შექმნილი სპეციალური ჯგუფი სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლეთათვის, არ

ხდება ფიზიკური მომზადების მაჩვენებლების აღრიცხვა—28 იანვრის შემდეგ მ. სევასტოვს არცერთი კლასის ჟურნალში არ შეუტანია მასალა.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება სკოლის ლოგოპედების თ. ქებაძისა და მ. ჩუბინიძის მუშაობა. განსაკუთრებით დაბალ დონეზე დგას მათთან შრომის ორგანიზაცია; გაკვეთილისათვის საჭირო დიდაქტიკურ მასალას წინასწარ არ ამზადებენ, რაც იწვევს დროის არარაციონალურად ხარჯვას, ჩატარებული გაკვეთილებიც ერთფეროვანი და მონოტონურია. ბავშვთა ყურადღების აქტივიზაციისა და განვითარების მიზნით ეს მასწავლებლები არ იყენებენ თამაშის ელემენტებს. ცერებრალური დამბლის მქონე ბავშვებს იშვიათად უტარებენ არტიკულაციურ ვარჯიშებს. უხეში შეცდომებია დაშვებული დიაგნოზის დასმაშიც. არასწორად ხდება დოკუმენტაციის შევსება. ლოგოპედებს არ აქვთ შპატელები და ზონდები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ოთხი ლოგოპედია, არ მუშაობს ლოგოპედთა მეთოდგაერთიანება. ნაწილობრივ ამითაც აიხსნება, რომ დამწყებ ლოგოპედს მ. ჩუბინიძეს სერიოზული ნაკლოვანებები აღმოაჩნდა მუშაობაში.

თითქმის მთლიანად ჩაშლილია მოსწავლეთა შორის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. არავითარი მუშაობა არ წარმოებს საგნობრივ წრეებში. სკოლაში არ იგრძნობა პიონერული ორგანიზაციის როლი. უფროსი პიონერხელმძღვანელი ნ. სოფაძე უპასუხისმგებლოდ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. ხშირად დაგვიანებით ცხადდება სამუშაოზე. სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე პიონერულ რაზმებს არა აქვთ გეგმები და არც პიონერული მუშაობის აღრიცხვის არავითარი საბუთი არსებობს.

კლასის ხელმძღვანელთა გეგმები არ გამომდინარეობენ სკოლის წლიური სამუშაო გეგმიდან და იგი არც პიონერული ორგანიზაციის გეგმებთან და საქმეებთანაა შეთანხმებული. კლასის ხელმძღვანელები თავიანთ გეგმებში არ ითვალისწინებენ აღსაზრდელთა ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებს, რაც მთავარია, სააღმზრდელო მუშაობა არაა მიმართული იმ ძირითადი ნაკლის კორექციისაკენ, რომლებიც გონებაჩამორჩენილ ბავშვებს აქვთ.

სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების გამო ჯერ კიდევ ძალზე დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე და დისციპლინა. როგორც წესი, მოსწავლეთა უმრავლესობა დიდი დაგვიანებით ცხადდება გაკვეთილებზე; მარტო II მეოთხედში არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 1418 საათი. სხვა მიზეზებთან რთად, მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზო გაცდენებიც

უარყოფითად მოქმედებს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე, მიტომაც არის, რომ ძალზე დაბალია სკოლის აკადემიური მაჩვენებლები I და II მეოთხედში. პედაგოგიური კოლექტივი [illegible] ყურადღებას არ აქცევს აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობას. ამის გამო სკოლაში ჯერ კიდევ დიდია მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა (26). ცუდად ხორციელდება საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონი; პირველი სექტემბრიდან შემოწმების მომენტამდე სკოლიდან არასაპატიო მიზეზით გასული იყო 6 მოსწავლე.

სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება ინსტრუქციის სრული დარღვევით, კერძოდ—თბილისის მედიკო-პედაგოგიური კომისიის დასკვნის გარეშე, რის შედეგად მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში პირველ კლასში ჩარიცხულ იქნა 14 ბავშვი, რომლებიც არ ექვემდებარებიან სწავლებას.

სათანადო ყურადღება ექცევა სასკოლო დოკუმენტაციის სწორად წარმოებას. სასკოლო ჟურნალებში შეტანილი არ არის შესწავლილი მასალის დასახელება. გვხვდება ნიშნების გადასწორებისა და მეოთხედური ნიშნების არასწორად გამოყვანის ფაქტები (მასწავლებლები: მ. სევასტოვი, ვ. ხატულაშვილი, ც. ერაძე, კ. ფულავა, ე. ახვლედიანი, ო. ვაზირიანი).

სკოლაში ჩაშლილია მეთოდური მუშაობა; არსებული მეთოდგაერთიანებები არავითარ როლს არ თამაშობენ მასწავლებელთა იდეურ-თეორიული დონის ამაღლებასა და მეთოდურ დახელოვნებაში. დირექციას, ასევე, არა აქვს დაწესებული კონტროლი ინდივიდუალური გეგმებით მომუშავე მასწავლებლებზეც. გამოცდილების გაზიარების მიზნით პრაქტიკაში დანერგილი არ არის მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება. მეთოდური მუშაობის ასეთი უგულებელყოფის შედეგია ის უხეში დარღვევები და შეცდომები, რომლებიც გამოვლინდა ცალკეული საგნების სწავლების შემოწმებისას.

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განხილული საკითხები ფაქტების უბრალო აღნუსხვას წარმოადგენენ, მათში არ არის მოცემული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ღრმა ანალიზი, რის შედეგად მიღებული დადგენილებები არადამაკმაყოფილებელია. როგორც წესი, არ ხდება მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება. სხდომის ოქმები გაფორმებულია უწიგნურად.

ეს ნაკლოვანებები, ძირითადად, გაპირობებულია იმით, რომ დირექტორი ს. კვაჭაძე და დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაო-

ბის დარგში გ. ხაბალაშვილი ქმედით დახმარებასა და კონტროლს ვერ უწევენ მასწავლებლებს ყოველდღიურ საქმიანობაში და არც შესწევთ უნარი არსებითი ხასიათის მეთოდური დახმარება აღმოუჩინონ მათ. სასწავლო წლის დაწყებიდან შემოწმების მომენტამდე დირექტორს არცერთი გაკვეთილი არ ჰქონდა მოსმენილი, ხოლო დირექტორის მოადგილეს—მხოლოდ ცხრა. ამასთან, დირექტორი და მისი მოადგილე ვერ იჩენენ მომთხოვნელობასა და პრინციპულობას, რის შედეგად პედაგოგიურ კოლექტივში მეტად დაბალ დონეზე დგას შრომითი დისციპლინა.

თბილისის დამხმარე სკოლის დირექციისა და პედაგოგიური კოლექტივის მუშაობაში გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ქ. ჭანიშვილი):

ა) სისტემატური კონტროლი დააწესოს თბილისის დამხმარე სკოლის მუშაობაზე. პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად განიხილოს აღნიშნული ბრძანება და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლის თანამშრომელთა შორის შრომითი დისციპლინის განმტკიცების საკითხს;

ბ)ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს სკოლაში მეთოდური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს მოხსენებით ბარათში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებზე დააწესოს სათანადო კონტროლი, აღმოუჩინოს მათ საჭირო დახმარება და თუ ამის შემდეგაც ვერ გარდაქმნიან მუშაობას, არსებული წესის დაცვით გაათავისუფლოს ისინი დაკავებული თანამდებობიდან;

გ) დამხმარე სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლები, რომელთაც მიღებული არა აქვთ დეფექტოლოგიური განათლება, ჩააბას თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბაზაზე გახსნილ პედაგოგთა ორწლიან დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების მუშაობაში;

დ) ბრძანებასა და მოხსენებით ბარათში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებს დაადოს სათანადო ადმინისტრაციული სასჯელი;

ე) არ დაუშვას თბილისის დამხმარე სკოლა-ინტერნატში მასწავლებელთა დანიშვნა განათლების სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) სკოლის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით, განათლებისა და პედაგოგიური კოლექტივის მიერ გატარებული ღონისძიებებისა და მისი შედეგების შესახებ მოხსენებითი ბარათით აცნობოს განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 10 ნოემბრამდე.

2. თბილისის დამხმარე სკოლის დირექციამ:

ა) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა და კლასის ხელმძღვანელთა მუშაობაზე. მკაცრად აღკვეთოს შრომითი დისციპლინის დარღვევის შემთხვევები და გადაჭრით აამაღლოს თანამშრომელთა პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი, სისტემატურად დაესწროს გაკვეთილებს, კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებებს; ხელი შეუწყოს ცალკეულ მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილების განზოგადებასა და სხვა მასწავლებელთა პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვას. გამოვლინებულ ნაკლოვანებათა შემთხვევაში მიიღოს გადამჭრელი ზომები მათ აღმოსაფხვრელად;

ბ) მთლიანად გარდაქმნას სკოლაში არსებულ მეთოდგაერთიანებათა მუშაობა და აამაღლოს მასწავლებელთა იდეურ-თეორიული და პროფესიული მომზადების დონე. სწავლების პროცესში თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების, თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მნიშვნელოვნად აამაღლოს თითოეული გაკვეთილის ეფექტურობა და ხარისხი; ამასთან, უზრუნველყოს საგნების სწავლება დამტკიცებული პროგრამების მიხედვით;

გ) დასახოს ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის საქმეში სკოლის პედაგოგიური საბჭოს როლის ასამაღლებლად. საბჭოს სხდომებზე სისტემატურად განიხილოს სწავლა-აღზრდის აქტუალური საკითხები, ღრმად ჩაწვდეს თითოეული საგნის სწავლებისა და საალმზრდელო ღონისძიების ავკარგს და მიაღწიოს პედაგოგიური საბჭოს მიერ დასახულ ღონისძიებათა უთუოდ შესრულებას;

დ) ალკკ ოქტომბრის რაიკომის დახმარებით განახორციელოს ღონისძიებანი სასკოლო პიონერული ორგანიზაციის საქმიანობის გააქტიურებისა და რაზმებსა და რაზმეულებში სისხლსავსე პიონერული მუშაობის აღდგენისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) სწავლებაში ჩააბას საყოველთაო-სავალდებულო რაიონის განათლების კანონდაქვემდებარებული ყველა ის მოსწავლე, რომელიც არასაპატიო მიზეზით ჩამოშორდა სკოლას. ამასთან ერთად, კატეგორიულად აღკვეთოს სკოლაში იმ გონებაჩამორჩენილ ბავშვთა ჩარიცხვა, რომლებსაც არ აქვთ ქ. თბილისის მედიკო-პედაგოგიური კომისიის სათანადო დასკვნა და გამოკვლევის რუკა;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აღსაზრდელთა შრომით სწავლებასა და აღზრდას, სასწავლო სახელოსნოების მოწყობასა და მათ სწავლებაში გამოყენებას, მოსწავლეებში პროფესიული ინტერესის გაღვივებასა და განვითარებას.

3. საგნის სუსტად სწავლებისა და პროგრამული მასალების განაწილებაში უხეში დარღვევებისათვის მათემატიკის მასწავლებელს ო. ვაზირიანს, ისტორიისა და შრომის სწავლებაში სერიოზული ნაკლოვანებებისა და სადამრიგებლო კლასში სააღმზრდელო მუშაობის ჩაშლისათვის — ე. ახვლედიანს, ლოგოპედიურ მუშაობაში დაშვებული უხეში შეცდომებისათვის — ლოგოპედ თ. ქვაბაძეს გამოეცხადოთ საყვედური;

4. სწავლების პროცესში პროგრამულ მოთხოვნათა უგულებელყოფის, საკლასო და საკონტროლო წერების ჩატარების ნორმების დარღვევებისა და საკლასო ჟურნალების წარმოებაში დაშვებული უხეში შეცდომებისათვის რუსული სექტორის დაწყებითი კლასების მასწავლებლებს მ. შოსტაკს, გ. პეტრეიკოს, ვ. კირაკოზიანს, ქართული სექტორის დაწყებითი კლასის მასწავლებლებს ვ. როყვასა და მ. იამანიძეს მოსწავლეთა დაბალი ცოდნისა და საპროგრამო მასალის თვითნებური გადანაწილებისათვის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ო. მაისურაძეს, ლოგოპედური მუშაობის არასწორი ორგანიზაციისა და წარმართვისათვის — დამწყებ ლოგოპედს ვ. ჩუბინიძეს, პედაგოგიური საბჭოს ოქმების უხეში შეცდომებით წარმოებისათვის — დაწყებითი კლასის მასწაელებელს ვ. ჩხარტიშვილს, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების დაბალ დონეზე წარმართვისათვის ფიზკულტურის მასწავლებელ ვ. სევასტოვს — მიეთითოთ.

5. შრომითი დისციპლინის სისტემატური დარღვევისა და სკოლაში პიონერული მუშაობის ჩაშლისათვის ოქტომბრის სახელობის რაიონის განათლების განყოფილებამ აღძრას შუამდგომლობა ამავე რაიონის ალკკ რაიკომის წინაშე დაკავებული თანამდებობიდან უფროსი პიონერხელმძღვანელის მ. სოფაძის განთავისუფლების შესახებ.

6. სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლის, პე-

დაგოგიური კოლექტივის მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან თბილისის დამხმარე სკოლის დირექტორი ამხ. ს. კვაჭაძე და მისი მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში გ. საბალაშვილი.

7. თბილისის ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილებამ მიმდინარე წლის 16 აპრილამდე თბილისის დამხმარე სკოლის დირექტორისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე შეარჩიოს სათანადო გამოცდილების, უნარისა და პედაგოგიური სტაჟის მქონე მუშაკები და წარმოადგინოს დასამტკიცებლად განათლების სამინისტროში, ხოლო ამხ. ს. კვაჭაძესა და გ. საბლაშვილს გამოუნახოს შესაფერისი სამუშაო.

8. აღინიშნოს ქ. თბილისის (ამხ. თ. ეგაძე) და ოქტომბრის რაიონის (ამხ. ქ. ჭანიშვილი) განათლების განყოფილებათა სუსტი ხელმძღვანელობა და კონტროლი თბილისის დამხმარე სკოლის მუშაობაზე.

9. ქ. თბილისის მედიკო-პედაგოგიურმა კომისიამ (თავმჯდომარე ამხ. რ. ნახუცრიშვილი) მიმდინარე წლის 25 მაისამდე უზრუნველყოს თბილისის დამხმარე სკოლის პირველი და მეორე კლასის მოსწავლეთა გადამოწმება სწორი დიაგნოზის დასადგენად.

10. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ეგაძე) საჭირო კონტროლი დააწესოს აღნიშნული ბრძანების განხორციელებაზე და მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს მოახსენოს განათლების სამინისტროს თბილისის დამხმარე სკოლის მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 18 მარტის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 14 აპრილის ბრძანება № 384

### ჩხოროწყუსა და საჩხერის რაიონებში მომუშავე ახალგაზრდების საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში სწავლების შესახებ

გავეცანი რა საჩხერისა და ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების ანგარიშსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს ინსპექტორების მოხსენებით ბარათს, აღვნიშნავ, რომ დასახელებულ რაიონებში გარკვეული მუშაობაა გაწეული საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში მომუშავე ახალგაზრდების ჩაბმისა და მათი სწავლებისათვის. ჩხოროწყუს რაიონში მეცხრე ხუთწლედში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა შესრულდა 126,7 პროცენტით, 1975—1976 სასწავლო წლისათვის აქ ერთი საღამოს სკოლა გადაკეთდა რაიონულ დაუსწრებელ სკოლად და, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 258 მოსწავლისა, სწავლებაში ჩააბეს 586 ახალგაზრდა.

საღამოს სკოლის კლასები, აგრეთვე დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები და ჯგუფები არსებული დებულების შესაბამისადაა გახსნილი. ორგანიზებულია ინდივიდუალურ დაუსწრებელთა სწავლება. სწორად არის დაგეგმილი სკოლების მუშაობა და შინასასკოლო კონტროლის საკითხები, უზრუნველყოფილია მათი დროულად შესრულება. ცალკეული საგნების სწავლების დონე ძირითადად დამაკმაყოფილებელია. ყოველივე ამის შედეგია, რომ სკოლები აღწევენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, მოსწავლეთა ცოდნის დონისა და აკადემიური წარმატების ამაღლებას. ჩხოროწყუს დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის კლასებში შემოწმებისას მეცადინეობას ესწრებოდა მოსწავლეთა 90 %.

განათლების განყოფილებამ 1975—76 სასწავლო წლის პირველ ნახევარში შეისწავლა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე განიხილა საკითხი საღამოსა და დასწრებულ-დაუსწრებელ საშუალო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ, მიიღო

შესაბამისი გადაწყვეტილება, რამაც ხელი შეუწყო სკოლების წინაშე მდგომი ამოცანების უკეთ შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია ჩხოროწყუს დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის ყოფილი დირექტორის ო. გერდულაძის, ამ სკოლის მეხურისა და კოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგეების ა. ფირცხალავასა და ი. შენგელიას კარგი მუშაობა. თავიანთ საგანს კარგად ასწავლიან ჩხოროწყუს დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის მათემატიკისა და ქიმიის მასწავლებლები ი. შენგელია და უ. კვირკველია, ლესიჭინის საღამოს სკოლის ისტორიის მასწავლებელი ა. სიჭინავა, საჩხერის მესამე საშუალო სკოლის საღამოს კლასების მათემატიკის მასწავლებელი ა. მეგრელი, რომელიც მოსწავლეების მიერ დამზადებულ ხელსაწყოებს და თვალსაჩინო მასალებს მოხერხებულად იყენებს სწავლის პროცესში.

მაგრამ ჩხოროწყუს და განსაკუთრებით საჩხერის რაიონში მომუშავე ახალგაზრდების სწავლების საქმეში არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია: საჩხერის რაიონში მოსწავლეთა კონტიგენტის მეცხრე ხუთწლედის გეგმა მხოლოდ 85,6 პროცენტით არის შესრულებული. მართალია 1975—1976 სასწავლო წელს გეგმა შესრულდა, მაგრამ მოსწავლეთა რიცხვი 187-ს არ აღემატება, რაიონში კი მიმდინარე წელს აღრიცხულია 358-ზე მეტი მომუშავე ახალგაზრდა, რომლებიც სწავლებაში ჩაბმას ექვემდებარება. გასულ წელს რაიონში, გაფართოების მაგიერ, გააუქმეს საღამოს სკოლები და მათ ნაცვლად დღის სკოლებთან შექმნეს საღამოს კლასები, მაგრამ საჩხერის მე-3, სარეკის, არგვეთის, ჯალაურთისა და კორბოულის სკოლების დირექტორები ი. მაჭარაშვილი გ. ჩიქაძე, კ. კიპაროიძე, ა. დარბაიძე და ვ. მაჭარაშვილი თავიანთ მოვალეობად არ თვლიდნენ საღამოს კლასებისადმი ხელმძღვანელობას. არცერთ მათგანს არ ჰქონდა შედგენილი ამ კლასებთან მუშაობის გეგმა, არ ამოწმებდნენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს და არ იხილავდნენ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

ორივე რაიონში სუსტადაა დაყენებული მეთოდური მუშაობა მასწავლებლებთან, ბევრი მათგანი არ არის ჩაბმული მეთოდგაერთიანებაში, მათ არ ეწევათ დახმარება რაიონების მეთოდკაბინეტებიდან. სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები იშვიათად ესწრებიან გაკვეთილებს საღამოს კლასებში, მასწავლებლებს არ აძლევენ საქმიან მითითებებს და რჩევა-დარიგებებს. მაგალითად, სარეკისა და არგვეთის საშუალო სკოლების დირექტორები მიმდინარე სასწავლო

წელს საღამოს კლასებში მხოლოდ 5—5 ჯერ დაესწრნენ გაკვეთილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელთა ერთი ნაწილი ჯეროვნად ვერ ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებს, ხერხებს, საღამოს სკოლაში მუშაობის მეთოდიკას, არ მუშაობს თავისი ცოდნის დონის ამაღლებისა და პედაგოგიური დახელოვნებისათვის. ამის გამოა, რომ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სარეკისა და არგვეთის საღამოს კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ვ. ქოჩიაშვილი, მ. ლომიძე, გ. ტოგონიძე, არგვეთის სკოლის ისტორიის მასწავლებელი ნ. ქურციკიძე, ლესიჭინის საღამოს სკოლის მასწავლებელი სიჭინავა, სარეკის სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი ვ. მაჩიტაძე და სხვები. დაბალია მათი მოსწავლეების ცოდნის დონე, წერითი მეტყველების კულტურა. ზოგან დაცული არ არის წერითი მუშაობის ნორმები, მოსწავლეთა ნაწილს არ აქვს შესრულებული წერითი სამუშაო, ზოგიერთი მასწავლებელი დიდი დაგვიანებით ასწორებს ნაწერებს. საჩხერის სკოლის მასწავლებელი ვ. ქოჩიაშვილი და სხვები საგანს არ ასწავლიან იმ თანმიმდევრობით, როგორც პროგრამაშია მოცემული.. ზოგან (საჩხერის სკოლა) არასწორადაა შედგენილი გაკვეთილების ცხრილი. ადგილი აქვს ძირითად საგნებში გაკვეთილების დაწყვილებისა და დღემიყოლებით სწავლებას, გაკვეთილებისა და კონსულტაციების ერთდაიმავე დღეს ჩატარებას.

ორივე რაიონის სკოლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული რუსული ენის სწავლება. ჩხოროწყუს დასწრებულ-დაუსწრებელ სკოლაში ამ საგნს არასპეციალისტი ასწავლიდა. არგვეთის საღამოს კლასების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ი. საგანელიძე წლების განმავლობაში ჩამოცილებული იყო პედაგოგიურ მუშაობას, ვერ ფლობს საგანს, სწავლებისას უშვებს უხეშ შეცდომებს. ჩხოროწყუს სკოლის მუხურისა და ლესიჭინის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების ფიზიკის მასწავლებლები ჯ. ვეკუა, რ. ლაშხია, გ. გახარია სწავლების პროცესში არ იყენებენ კაბინეტებს და თვალსაჩინოებას.

არაკონკრეტულია საჩხერის რაიონის საღამოს კლასების ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები: მათში საკმაო ადგილი არ აქვს დათმობილი საწარმოებთან და მოსწავლეთა მშობლებთან ერთად ჩასატარებელ ღონისძიებებს, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს. კლასის ხელმძღვანელებს არ აქვთ მოწესრიგებული მუშაობის აღრიცხვა.

ხშირია მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები. საჩხერის რაიონში მიმდინარე სასწავლო წელს მათ გააცდინეს 4915 აკადემიური საათი. შემოწმების დროს სარეკის სკოლაში მოსწავლეებს მხოლოდ 62 % ესწრებოდა. ამ სკოლის მეშვიდე კლასში არც-ერთი მოსწავლე არ გამოცხადდა. აღნიშნული რაიონის საღამოს ზოგიერთ კლასში მეცადინეობა საღამოს 7—8 საათზე იწყება, რის გამო 4—5 გაკვეთილის ჩატარება შეუძლებელი ხდება.

ზოგიერთი სკოლა არ ზრუნავს მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებისათვის. საჩხერის მე-3 სკოლის საღამოს კლასებიდან მიმდინარე სასწავლო წელს გავიდა 12 მოსწავლე. სარეკის სკოლიდან— 9. აღნიშნულ სკოლებში და აგრეთვე არგვეთის სკოლაში ბევრია პირველ სემესტრში შეუფასებელი მოსწავლე (16—9—6). ზოგიერთი კლასი გახსნილია ასეზული დებულების უხეში დარღვევით. ჩხოროწყუს დასწრებულ-დაუსწრებელ სკოლაში ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა ჩარიცხვის წესების დარღვევის შემთხვევებს. ზოგან მოუწესრიგებელია სასკოლო დოკუმენტაცია, საკლასო და აკადემიური წარმატების ჟურნალი, მოსწავლეთა პირადი საქმეები და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩხოროწყუსა და საჩხერის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამხ. ამხ. შ. ფირცხალავამ და კ. ნადირაძემ დასახონ და განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი თავიანთ რაიონებში მომუშავე რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე 15—29 წლის ასაკის ყველა ახალგაზრდის საღამოს და დაუსწრებელ სკოლებში ჩამისათვის, უზრუნველყონ სწავლების სათანადო დონეზე დაყენება სკკპ XXV ყრილობის მიერ სახალხო განათლების დარგში დასახული ამოცანების შესაბამისად;

ა) საფუძვლიანად შეისწავლონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1976 წლის თებერვალ-მარტში წერილობით მითითებული ყველა სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც მომუშავე ახალგაზრდების სწავლების შეეხება და მიაღწიონ მათ აუცილებელ შესრულებას;

ბ) ამთავითვე გარკვეულ და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით განსაზღვრონ მომავალი სასწავლო წლისათვის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების, საღამოს კლასების გახსნის, მათი დისლოკაციის, მოსწავლეთა კონტინგენტით დაკომპლექტების სა-

კითხები და აგვისტოში წარმოადგინონ დასატკიცებლად განათლების სამინისტროში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და [illegible] საღამოსა და დაუსწრებელი სკოლებისადმი, საღამოს კლასებისადმი, აამაღლონ სკოლების დირექტორების, მათი მოადგილეების, თითოეული მასწავლებლის პასუხისმგებლობა თავიანთი მოვალეობის შესრულებისადმი, გააძლიერონ მათდამი მომთხოვნელობა;

დ) ყველა ღონისძიება გაატარონ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მასწავლებელთა კადრებით განმტკიცებისათვის, გარდაქმნან მათდამი მეთოდური დახმარება, აამაღლონ ამ საქმეში რაიონული მეთოდკაბინეტების როლი, მუდამ იზრუნონ თითოეული მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, პედაგოგიური დახელოვნებისათვის;

ე) განათლების განყოფილებათა საბჭოს სხდომებზე განიხილონ და მკაცრი ზომები მიიღონ იმ სკოლების დირექტორების, მასწავლებლების მიმართ, რომლებმაც სერიოზული ნაკლოვანებები დაუშვეს მოზრდილთა სწავლების საქმეში და ამ ბრძანებაში არიან მოხსენებული.

2. წინადადება მიეცეთ ჩხოროწყუსა და საჩხერის რაიონების საღამოსა და დაუსწრებელი, აგრეთვე დღის სკოლების იმ დირექტორებს, სადაც საღამოს კლასებია:

ა) უზრუნველყონ მომუშავე ახალგაზრდების სწავლების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დაყენება;

ბ) გადაჭრით გააძლიერონ მომთხოვნელობა და დახმარება მასწავლებლებისადმი, მიაღწიონ იმას, რომ ყველა მასწავლებელი მომზადებული ცხადდებოდეს, მაღალ იდეურ-თეორიულ და პედაგოგიურ დონეზე ატარებდეს გაკვეთილს, აღწევდეს იმას, რომ მოსწავლეებმა ძირითადად გაკვეთილზევე შეისწავლონ ახსნილი მასალა;

გ) აღკვეთონ სკოლების, კლასების, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ჯგუფების დაკომპლექტებისას, აგრეთვე მოსწავლეთა ჩარიცხვისას არსებული დებულებისა და ინსტრუქციის დარღვევის შემთხვევები;

დ) გადაჭრით გააძლიერონ კონტაქტები საწარმოების, მეურნეობების ხელმძღვანელებთან, მოსწავლეთა მშობლებთან. გააუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა, მიაღწიონ იმას, რომ მინიმუმამდე დაიყვანონ მასწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები, არ

დაუშვან სკოლებიდან მოსწავლეთა გასვლა არასაპატიო მიზეზით, პედაგოგიური საბჭოს დადგენილების გარეშე მათი გარიცხვა სკოლიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა ყოველწლიურად მეტი რაოდენობით გადაამზადოს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორები, მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობით დარგში და მასწავლებლები; მეტი დახმარება გაუწიოს მეთოდკაბინეტებს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მუშაობის სპეციფიკის შესწავლაში; განუხრელად შეასრულოს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1974 წლის 28 იანვრის № 12—M რეკომენდაციები საღამოს სკოლებში შეთავსებით მომუშავე მასწავლებლების გადამზადების შესახებ.

4. მოწონებულ იქნეს ჩხოროწყუს რაიონის განათლების განყოფილების მიერ დაუსწრებელი სკოლის გაფართოებისა და ამ სკოლაში მომუშავე ახალგაზრდების მაქსიმალურად ჩაბმის მიზნით გატარებული ღონისძიებანი.

რჩევა მიეცეს რესპუბლიკის რაიონების განათლების განყოფილებებს, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, გაატარონ ანალოგიური ღონისძიებები იმ ვარაუდით, რომ სწავლებაში ჩაებას რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა; ამასთან, გაუმჯობესდეს, უფრო კონკრეტული და კომპეტენტური გახდეს მოზრდილთა სწავლებისადმი ხელმძღვანელობა.

6. საჩხერის №3, სარეკისა და არგვეთის საშუალო სკოლების დირექტორებს ა. ი. მაჭარაშვილს, გ, ა. ჩიტაძესა და ვ. ი. კიპაროიძეს მომუშავე ახალგაზრდების სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისათვის, შინასასკოლო კონტროლის შესუსტებისათვის მიეთითოთ; ისინი იმსახურებდნენ უფრო მკაცრ სასჯელს, მაგრამ მხედველობაშია მიღებული ის, რომ ბოლო დროს მათ საგრძნობლად გააუმჯობესეს საღამოს კლასებისადმი ხელმძღვანელობა.

6. საჩხერის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ქ. ნადირაძეს რაიონის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული საშუალო განათლების არამქონე ახალგაზრდების სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის, მიეცეს გაფრთხილება; გათვალისწინებულ იქნეს, რომ იგი დიდი ხანი არ არის, რაც ამ თანამდებობაზე მუშაობს.

7. ჩხოროწყუსა და საჩხერის რაიონების განათლების განყოფილებებმა ამ ბრძანების შესასრულებლად გატარებული ღონისძიებების

შესახებ ანგარიში წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 1-ლი ივნისისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8. ეს ბრძანება დაეგზავნოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებს, საღამოსა და დაუსწრებელ, აგრეთვე დღის იმ სკოლებს, სადაც საღამოს კლასებია.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1676 წლის 1-ლი აპრილის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 30 აპრილის ბრძანება № 428

### ლაგოდეხის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

როგორც განათლების სამინისტროს სკოლებისა და სააღმზრდელო სამმართველოების ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, ლაგოდეხის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, მათი ხელმძღვანელები და სახალხო განათლების განყოფილება გარკვეულ მუშაობას ეწევიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV და XXV ყრილობების მიერ სახალხო განათლების დარგში დასახული ამოცანების ცხოვრებაში განსახორციელებლად.

რაიონში სათანადო ღონისძიებები ტარდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დასამთავრებლად.

რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სკოლებზე გაწეული დიდი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, მუშაობაში არსებული გარკვეული წარმატებისათვის 1973 და 1974 წლებში ლაგოდეხის რაიონს გადაეცა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო-დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა და 1000 მანეთი ფულადი ჯილდო.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი ყოველდღიურად მუშაობს საკუთარი იდეურ-პოლიტიკური, პედაგოგიურ-მეთოდური, მეცნიერული დონის ასამაღლებლად და სასურველ შედეგებსაც აღწევს მუშაობაში

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: ქართული ენისა და ლიტერატურის—მ. დვალი, ქ. ოქროშიძე (ლაგოდეხის 1-ლი საშ. სკოლა), ლ. გეგეშიძე, ნ. ყორღანაშვილი (ლაგოდეხის მე-3 საშუალო სკოლა), ც. ჯოიაშვილი (აფენის საშ. სკოლა), ა. ჩხეიძე, მ. ლექავა (ვარდისუბნის საშ. სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის—მ. კაპანაძე, ნ. ბექაშვილი (ვარდისუბნის საშ. სკოლა), ჯ. ლეკრიანი, ქ. ღვინიაშვილი (ლაგოდეხის 1-ლი საშ. სკოლა), ნ. ჩიკილდინა, ი. დარბაიძე (ლაგოდეხის მე-3 საშ. სკოლა); მათემატიკის—რ. ხაჩიძე (ლაგოდეხის 1-ლი საშ. სკოლა), გ. ლობჟანიძე, ვ. ლობჟანიძე (ლაგოდეხის მე-3 საშ. სკოლა), ც. ხარაიშვილი (ვარდისუბნის საშ. სკოლა); ისტორიის—ე. ნადაშვილი, ც. მაჭარაძე (ლაგოდეხის 1-ლი საშუალო სკოლა), ვ. მეტრეველი (ლაგოდეხის მე-3 საშ. სკოლა), ა. ვენჯელაშვილი, ი. ფოცხვერაშვილი (ნინიგორის საშ. სკოლა), ტ. კვინიკაძე, გ. პავლიაშვილი (ვარდისუბნის საშ. სკოლა), კ. სხირტლაძე, ვ. კახეთელიძე (აფენის საშ. სკოლა), შ. გორგოძე (გურგენიანის რვაწლიანი სკოლა); გეოგრაფიის—დ. ნოზაძე (ვარდისუბნის საშ. სკოლა), ლ. მამუკელაშვილი (აფენის საშ. სკოლა), მ. ჯანიევი (ლაგოდეხის მე-3 საშ. სკოლა); ბიოლოგიის—ე. გარაშენკო, დ. ზოზიაშვილი (ნინიგორის საშ. სკოლა), ნ. რეხვიაშვილი (ლაგოდეხის 1-ლი საშ. სკოლა), ლ. სეფიაშვილი (აფენის საშ. სკოლა); ფიზიკის—ი. შუბითიძე (ლაგოდეხის მე-3 საშ. სკოლა), მ. ზაქარაშვილი (ვარდისუბნის საშ. სკოლა); ქიმიის—ლ. ხომიაკოვა (ლაგოდეხის მე-2 საშ. სკოლა), ნ. ბლიაძე (ლაგოდეხის 1-ლი საშ. სკოლა), ფ. ხუციშვილი (აფენის საშ. სკოლა); გერმანული ენის—ტ. შეველიაკოვა (ლაგოდეხის მე-2 საშ. სკოლა) და შაბაზოვი (ლაგოდეხის 1-ლი, მე-3 საშ. სკოლები).

მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაიონის შემოწმებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობაში შეინიშნება მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

რიგ სკოლებში არასაკმაო მუშაობა ტარდება სკოლების როგორც არსებული მატერიალური ბაზის მოვლა-პატრონობის, ისე მისი განმტკიცება-გამდიდრებისათვის, რის შედეგადაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უმნიშვნელო ნაწილია გადაყვანილი სწავლების კაბინეტურ სისტემაზე. ჯერ კიდევ რაიონის 16 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან 10 სკოლა ორ ცვლაში მუშაობს.

ზოგიერთ სკოლაში ესთეტიკურად არაა გაფორმებული დერეფნები, საკლასო ოთახები, სამასწავლებლო და ბიბლიოთეკა.

შესწავლილ სკოლებში ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც სუსტად ფლობენ საგანს, მისი სწავლების მეთოდებს, არ ზრუნავენ თავიანთი თეორიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის, კმაყოფილდებიან ერთხელ მიღებული ცოდნით [illegible] ფუძვლიანად არ იცნობენ მეთოდურ ლიტერატურას. ყოველივე ამის შედეგად მათი მოსწავლეთა ცოდნის დონეც დაბალია. ადგილი აქვს ლიბერალიზმისა და თვალის ახვევის, არსებული მდგომარეობის შელამაზე ის შემთხვევებს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში. ასე მაგალითად, მათემატიკაში ჩატარებულ საკონტროლო წერაში ვარდისუბნის საშ. სკოლის მე-8ა კლასის (მასწავლებელი ქ. საბიაშვილი) 18 მოსწავლიდან შეფასება „2“ (ცუდი) მიიღო 13-მა, აფენის საშ. სკოლის X კლასის (მასწავლებელი რ. შიუკაშვილი) 27 მოსწავლიდან—25-მა, გურგენიანის რვაწლიანი სკოლის VI კლასის (მასწავლებელი ც. თამუნიძე) 16 მოსწავლიდან 12-მა; აფენის საშ. სკოლის Xა კლასის (მასწავლებელი თ. კაპანაძე) 28 მოსწავლიდან ფიზიკაში ვერც ერთმა ვერ შეძლო წერითი საშინაო დავალების რვეულიდან ამოღებული, კლასში ამოხსნილი ამოცანების გამოყვანა ლინზაზე და გამოსახულების აგებაზე ლინზასა და ჩაზნექილ სარკეში. ამავე სკოლის Xა კლასში (მასწავლებელი ა. ასანიძე) მიცემულ იქნა მეტად მარტივი საწერი მასალა განათებულობაზე, ლინზის ოპტიკურ ძალაზე და გამოსახულების აგებაზე გეომეტრიული ოპტიკიდან, რაც კლასის 25 მოსწავლიდან, მასწავლებლის შეფასებით, მხოლოდ 5-მა შეასრულა „3“-ზე (საშუალო).

ასევე, სუსტად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები შ. რეხვიაშვილი (ნინიგორის საშ. სკოლა), ა. გორგაძე (ვარდისუბნის საშ. სკოლა); ე. მაისურაძე (ლაგოდეხის 1-ლი საშუალო სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის გ. პარასტაევა (ნინიგორის საშ. სკოლა), გ. მჭედლიშვილი, მ. ცეცხლაძე (აფენის საშ. სკოლა); მათემატიკის—ჯ. კობახიძე (აფენის საშუალო სკოლა), ქიმიის ნ. ძამუკაშვილი (გურგენიანის რვაწლიანი სკოლა), ნ. გელაშვილი (ნინიგორის საშ. სკოლა); შრომითი სწავლების—რ. შუშტაკაშვილი (ლაგოდეხის 1-ლი, მე-3 საშ. სკოლები).

ხარვეზები შეინიშნება მასწავლებელთა შორის მეთოდურ მუშაობაშიც: ლაგოდეხის მე-3 (ხელმძღვანელი ც. ყარალაშვილი), ნინიგორის (ხელმძღვანელი შ. ფოჩხიძე), ვარდისუბნის (ხელმძღვანელი ც. გულმაგარაშვილი), აფენის (ხელმძღვანელი ა. შუბითიძე) საშუალო სკოლების მათემატიკის მეთოდგაერთიანებათა სხდომებზე განხილულია

მხოლოდ თითო საკითხი. წაკითხულ მოხსენებებს არ ახლავს გამოყე-ნებული ლიტერატურის სია, მათზე ხელს არ აწერენ ავტ[illegible] არის დათარიღებული და ა. შ.

ბიბლიოთეკა

პედაგოგიური თვალსაზრისით არასწორადაა შედგენილი გაკვე-თილების ცხრილი ლაგოდეხის 1-ლ, მე-3, ნინიგორის, ვარდისუბნისა და აფენის საშუალო სკოლებში. ხშირ შემთხვევაში დღეები გადა-ტვირთულია ძნელად ასათვისებელი საგნებით, ამასთან, ეს საგნები ცხილში მეხუთე-მეექვსე გაკვეთილებადაა მოქცეული, მონათესავე საგნები ცხრილში ერთმანეთის მიყოლებითაა შეტანილი, დაწყებით კლასებში საგნები შეტანილია დაწყვილებულ გაკვეთილებად, ხოლო ექსპერიმენტულ საგნებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ყოველი გაკვე-თილი კაბინეტში არ ტარდება მიუხედავად იმისა, რომ მათი ყოველ-დღიური დატვირთვა არ აღემატება 6 საათს.

შემოწმებული სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასა და ცალკეული საგნების სწავლებაში გამოვლინებული სერიოზული ნაკლოვანებები, უპირველეს ყოვლისა, იმითაა გამოწვეული, რომ სკო-ლების ერთ ნაწილში სუსტადაა დაყენებული შინასასკოლო კონტ-როლი და იშვიათად წარმოებს მასწავლებელთა შორის გამოცდილე-ბის გაზიარება-განზოგადება.

ნინიგორის საშუალო სკოლის დირექტორს (მ. გობეჯიშვილს) შემოწმების დღისათვის (1976 წლის 11 თებერვალი) მოსმენილი ჰქონდა 12 გაკვეთილი, აფენის საშ. სკოლის დირექტორს (კ. სხირტ-ლაძეს)—19, მათგან გაფორმებული ჰქონდა 11, ამავე სკოლის დი-რექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში (ა. ასანიძეს)—36.

ლაგოდეხის რაიონის სკოლების მუშაობაში არსებული ნაკლო-ვანებები გამოწვეულია რაიონის განათლების განყოფილების ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობითა და კონტროლით.

განათლების განყოფილებაში საჭირო კონტროლი არაა დაწე-სებული საშ. სკოლის კურსდამთავრებულთა მიერ შესრულებული წერითი ნამუშევრების მაღალხარისხოვნად და ობიექტურად შემო-წმებასა და შევსებაზე.

ლაგოდეხის რაიონის შემოწმებული სკოლების სასწავლო-აღმზრ-დელობით მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლებისა და სააღმზრდელო სამმართველოების მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი, ლაგოდეხის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ, განსახილველად და ზომების მისაღებად გადაეგზავნოს რაიონის განათლების განყოფილებას.

2. ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. მ. ჯინჭარაძე):

ა) განახორციელოს ღონისძიებანი სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობაში შემჩნეული ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ, მიიღოს ზომები სკოლებში სასწავლო პროცესის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დაყენებისათვის. ამ მიზნით, პერიოდულად შეისწავლოს სკოლების მუშაობის სხვადასხვა საკითხი, კვალიფიციური ანალიზი გაუკეთოს არსებულ მდგომარეობას, მკვეთრად აამაღლოს სკოლების მუშაობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის დონე;

ბ) მეტი ყურადღება დაუთმოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და თვალსაჩინოებით მათ აღჭურვას; არსებითად გააუმჯობესოს სასკოლო შენობების, ეზოებისა და სასკოლო მიწის ნაკვეთების მოვლა-პატრონობა; მკაცრად დასაჯოს იმ სკოლების ხელმძღვანელები და ცალკეული მუშაკები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს;

გ) სკოლის დირექტორებთან ერთად ქმედითი ზომები მიიღოს სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოებისათვის საჭირო სათავსოების გამოსაყოფად, მათი ახალი ნიმუშის დგამ-ავეჯით უზრუნველსაყოფად, სისტემატურად შეავსოს ხელსაწყო-იარაღებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით, ჭურჭლით, რეაქტივებით, დაზგებით, ჩარხებით, ნაბეჭდი თვალსაჩინოებით, საჭირო მასალებით, ბიოლოგიის კაბინეტებში მოაწყოს ბუნების ცოცხალი კუთხეები;

დ) მიიღოს გადამჭრელი ზომები სასკოლო ასაკის ბავშვთა და და მოზარდთა აღრიცხვის მოსაწესრიგებლად. გააძლიეროს კონტროლი სკოლების ხელმძღვანელობისადმი. უზრუნველყოს საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელება;

ე) შეისწავლოს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის

მდგომარეობა და მიიღოს საჭირო ზომები მათ გასაუმჯობესებლად;
დაავალდებულოს პედაგოგიური კაბინეტი, მოაწყოს სასკოლო მუშაობის ამ საკითხზე არსებული პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურის გამოფენა და სკოლების მუშაკთათვის მისი საფუძვლიანი გაცნობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ეს ბრძანება და ბრიგადის მოხსენებითი ბარათი, სათანადო ღონისძიებათა გატარების მიზნით, განიხილოს სახალხო განათლების საბჭოსა და რაიონის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

3. ლაგოდეხის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების მოადგილეებმა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განსახორციელებლად, საყოველთაო-საშუალო სწავლებაზე გადასვლის დასამთავრებლად და მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის დონის ასამაღლებლად, რისთვისაც გააუმჯობესონ შიდასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე. სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდონ მათი გაკვეთილების ანალიზს, ფართო ადგილი დაუთმონ სკოლებში მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას და მიაღწიონ მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული დონის ამაღლებას

4. ლაგოდეხის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთი მოვალეობის შესრულებას, არ დაუშვან არც ერთი გაკვეთილის მოუმზადებლად ჩატარების შემთხვევა, გულმოდგინედ იმუშაონ საკუთარი მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად, სწავლებაში ფართოდ გამოიყენონ თვალსაჩინოება, სწავლების ტექნიკური საშუალებები, მტკიცედ დანერგონ მუშაობის თანამედროვე მეთოდები და ხერხები.

5. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო აფენის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელს თ. კაპანაძეს და გურგენიანის რვაწლიანი სკოლის ქიმიის მასწავლებელს ნ. მამუკაშვილს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

6. საგნის სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადებისათვის ლაგოდეხის 1-ლი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ე. მაისურაძეს, აფენის საშ. სკოლის მასწავლებლებს რ. შიუკაშვილსა და ჯ. კობახიძეს, ნინიგორის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს ნ. გელა-

შვილს, ლაგოდეხის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების საყოფაცხოვრებო შრომის მასწავლებელს რ. შუშტაკაშვილს გამოეცხადოთ საყვედური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო ვარდისუბნის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ა. გორგაძეს, ნინიგორის საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს გ. პარასტაევას, აფენის საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს გ. მჭედლიშვილსა და ა. ცეცხლაძეს, აფენის საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელს ა. ასანიძეს მიეთითოთ.

8. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალ დონეზე დაყენებისათვის ნინიგორისა და აფენის საშუალო სკოლების დირექტორებს ი. გობეჯიშვილსა და კ. სხირტლაძეს მიეთითოთ.

9. ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. შ. ჯინჭარაძე):

ა) ნინიგორის საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (იგივე ორგანიზატორი) შ. რეხვიაშვილი, IV—VIII კლასების მოსწავლეთა მოუმზადებლობისა და მეტად დაბალი პროფესიული დონის გამო, სასწავლო წლის დამლევისათვის სათანადო წესის დაცვით გაათავისუფლოს სამუშაოდან;

ბ) ადმინისტრაციული სასჯელი დაადოს განათლების სამინისტროს ბრიგადის მოხსენებით ბარათში აღნიშნულ არადამაკმაყოფილებლად მომუშავე იმ მუშაკებს, რომლებიც ამ ბრძანებით არ არიან დასჯილნი;

გ) ა/წლის 15 ნოემბრამდე მოახსენოს განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

10. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) განახორციელოს საჭირო კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 15 აპრილის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს

ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

## მოხსენებითი ბარათი

### ლაგოდეხის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადამ სასკოლო ინსპექტორების ნ. გიორგობიანის, მ. დევდარიანის, ზ. ლომსიანიძის, მ. ოჩიგავას, ს. ტონიას (ხელმძღვანელი), ე. ქუჩციკიძის, სტატისტიკური განყოფილების უფროსის ი. უგულავას, პოლიტექნიკური სწავლებისა და სწავლების ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტის მეთოდისტების ლ. გოლოძის, კ. ფროლოვის, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მოძრავი ლაბორატორიის გამგის მ. კორკოტაშვილის, ლაგოდეხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგის შ. ჯინჭარაძისა და მეთოდური კაბინეტის გამგის ზ. სულაძის შემადგენლობით მიმდინარე, 1976 წლის 9-დან 15 თებერვლამდე შეისწავლა ლაგოდეხის რაიონის (გამგე შ. ჯინჭარაძე) განათლების განყოფილებისა და ამავე რაიონის ზოგი სკოლის მუშაობა.

შესწავლილ იქნა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ქ. ლაგოდეხის 1-ლი (დირექტორი ა. სხირტლაძე), ლაგოდეხის მე-3 (დირექტორი გ. ლობჟანიძე), ნინიგორის (დირექტორი ი. გობეჯიშვილი), ვარდისუბნის (დირექტორი ა. ჩხეიძე), აფენის (დირექტორი კ. სხირტლაძე) საშუალო და გურგენიანის რვაწლიანი (დირექტორი შ. გორგაძე) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ამ თვალსაზრისით შემოწმდა სახალხო განათლების განყოფილებისა და მისი მეთოდური კაბინეტის საქმიანობა.

შემოწმებით დადგინდა, რომ ლაგოდეხის რაიონში სათანადო ღონისძიებანი ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და და სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების

შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 4 სექტემბრის № 577 დადგენილების შესასრულებლად.

ბიბლიოთეკა

უკანასკნელ წლებში, კერძოდ 1975 წელს ექსპლოატაციაში შევიდა კაბალისა და ყარსუბნის საშუალო სკოლები 1488 მოსწავლისათვის, მიაშენდა და რეკონსტრუქცია გაუკეთდა ლელიანის საშუალო სკოლას 650 მოსწავლის ადგილით, ლაგოდეხის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ ააშენა და ექსპლოატაციაში გადასცა საბავშვო ბაღის შენობა 100 აღსაზრდელისათვის, ჭაბუკიანის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობამ—50 აღსაზრდელისათვის და კაპიტალურად შეაკეთა აფენის საშუალო სკოლა, ლელიანის სახელობის კოლმეურნეობამ კაპიტალურად შეაკეთა ბებურიანის დაწყებითი სკოლა, აფენის კოლმეურნეობა „საქართველომ“—გვიმრიანის, აფენის რვაწლიანი და ფოდაანის დაწყებითი სკოლა, შრომის კოლმეურნეობამ—შრომის საშუალო სკოლა, ბაისუბნის კოლმეურნეობა „წინსვლამ“—ბაისუბნის საშუალო სკოლა, ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობამ—თელის რვაწლიანი სკოლა და სხვ.

ქ. ლაგოდეხის 1-ლი საშუალო სკოლისათვის აგებულ იქნა კაპიტალური ნაგებობა სასწავლო სახელოსნოებისათვის, ქ. ლაგოდეხის 1-ლი, მე-2, მე-3 და სკოლა-ინტერნატის ცენტრალური გათბობის სისტემები გადაყვანილ იქნა ბუნებრივი გაზით გათბობაზე, ექსპლოატაციაში იქნა შეყვანილი ერეთისკარის რვაწლიანი სკოლის სასკოლო ინტერნატი 50 მოსწავლეზე, სადაც ამჟამად 52 ბავშვი ცხოვრობს.

რაიონის სკოლებისათვის შეძენილია გეგმით გათვალისწინებული 137.000 მანეთის ინვენტარი, სასწავლო თვალსაჩინო მასალები და ხელსაწყო-იარაღები. სკოლებში ზამთრისათვის მომარაგებულია 1500 $მ^3$ შეშა, 1270 ტონა ქვანახშირი.

ნინიგორის, ცოდნისკარის, ვარდისუბნის, ბაისუბნის საშუალო, მსხალგორისა და გურგენიანის რვაწლიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს კოლმეურნეობებმა გამოუყვეს კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის სასწავლო-თვალსაჩინო მასალებისა და ხელსაწყო-იარაღების შესაძენად 16000 მანეთი.

ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სკოლებზე გაწეული აღნიშნული დიდი დახმარებისა და მხარდაჭერი-

სათვის 1973 და 1974 წლებში რაიონს გადაეცა საქართველოს სახალხო განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა და 1000 მანეთი ფულადი ჯილდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონში მუშაობს 16 საშუალო, 18 რვაწლიანი და 14 დაწყებითი სკოლა, რომელთა 0—X კლასებში 12345 მოსწავლე ირიცხება. მნიშვნელოვნად შემცირდა ორ ცვლაში მომუშავე სკოლების რაოდენობა. ამჟამად 216 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მეცადინეობა ერთცვლიანია, 22-ში კი—ორცვლიანი.

მაგრამ, ზემოხსენებულ წარმატებებთან ერთად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, მოვლისა და ესთეტიკურად გაფორმების საქმეში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

რაიონის შემოწმებულ მთელ რიგ სკოლებში არასაკმაო მუშაობა ტარდება სკოლების როგორც არსებული მატერიალური ბაზის მოვლა-პატრონობის, ისე მისი განმტკიცება-გამდიდრებისათვის, რის შედეგადაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უმნიშვნელო ნაწილია გადაყვანილი სწავლების კაბინეტურ სისტემაზე.

შემოწმებულ ზოგიერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შექმნილი არაა სათანადო პირობები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის. აუცილებელია ლაგოდეხის პირველი საშუალო სკოლის რეკონსტრუქცია, საკლასო ოთახების მიშენება, იატაკის შეცვლა, ჭერისა და კედლების შეკეთება, მოსწავლეთა გასახდელების მოწყობა და სასკოლო შენობის ფასადის მოწესრიგება-გაფორმება. ასევე, გაფართოებას საჭიროებს ლაგოდეხის მე-3 და ვარდისუბნის საშუალო სკოლები.

შემოწმებამ ცხადყო, რომ რაიონის ბევრი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სათანადოდ არ ემზადება ზამთრის სეზონისათვის. ლაგოდეხის მე-3 (დირექტორი გ. ლობჟანიძე) და აფენის (დირექტორი კ. სხირტლაძე) სასკოლო შენობების სახურავიდან წყალი ჩამოდის, რის შედეგადაც ზიანდება საკლასო ოთახების იატაკი და კედლები ზოგიერთ შემოწმებულ სკოლაში მჭიდროდ არ იხურება კარები, ფანჯრები და ზოგჯერაც, ზამთრის პერიოდში, მთელი დღის განმავლობაში ღიაა მოსწავლეთა მისაღები და ეზოში გასასვლელი კარებები. არ სუფთავდება სახურავიდან ჩამოყვანილი წყალსაწრეტი მილები, რიგ შემთხვევაში მათ მოგლეჯილი აქვთ ჰორიზონტალური ნაწილი,

რის შედეგადაც ჩამონადენი წყალი აზიანებს სასკოლო შენობის ფუნდამენტებს, სარდაფს და წყალი ხვდება შენობის საძირკველში.

რიგი შემოწმებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო კაბინეტები, სახელოსნოები, საკლასო ოთახები, სამასწავლებლოები და სხვა სათავსოები შევსებული არაა ყველა საჭირო დგამ-ავეჯით, აკლიათ სადემონსტრაციო და მოსწავლეთა სამუშაო ლაბორატორიული მაგიდები, კარადები, სკამები, ტანსაცმლის საკიდები, დაწყებითი კლასებისათვის სათანადო დახაზულობის საკლასო დაფები და სხვა. ნინიგორის საშუალო სკოლას (დირექტორი ი. გობეჯიშვილი) აკლია დგამ-ავეჯი, მერხები ძველია და გადაუღებავი.

ზოგიერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ესთეტიკურად არაა გაფორმებული საერთო დერეფნები, საკლასო ოთახები, სამასწავლებლო და ბიბლიოთეკა.

სკოლების დიდ ნაწილში მოუგვარებელია ცხელი საუზმით მოსწავლეთა კვება. რაიონის 34 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან ბუფეტი აქვს 22 სკოლას და ისიც სათანადოდ მოუწყობელია, მათ უმრავლესობაში კვების პროდუქტებთან ერთად იყიდება ისეთი საქონელი, რომელიც სასკოლო ბუფეტების ასორტიმენტით არაა გათვალისწინებული.

რაიონის სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები დიდ ყურადღებას უთმობენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეს. მიმდინარე, 1975—1976 სასწავლო წელს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყველა კლასში სწავლებაში გეგმით უნდა ჩაბმულიყო 12021 ბავშვი და და მოზარდი. ფაქტიურად სწავლობს 12345 მოსწავლე, რითაც გეგმა შესრულებულია 102,6%-ით. 0—VIII კლასებში, გეგმით გათვალისწინებული 1062 ბავშვის ნაცვლად სწავლებაში ჩაბმულია 10294 (102,3%), IX—X კლასებში კი უნდა ჩარიცხულიყო 1959 ბავშვი, ფაქტიურად ჩაეა 2050 (გეგმა შესრულებულია 104,7%).

შემოწმებულ სკოლებში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა პირველ კლასებში ჩარიცხულ მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნების საქმეში: 1967—1968 სასწავლო წელს აფენის საშუალო სკოლის პირველ კლასებში ჩარიცხული 44 მოსწავლიდან დროულად (1975 წ.) რვა კლასი დაამთავრა 39-მა (88,6%), ნინიგორის საშ. სკოლის 50 მოსწავლიდან 42-მა (84%), ვარდისუბნის საშ. სკოლის 52 მოსწავლიდან—42-მა (80,4%), გურჯაანის რვაწლიანი სკოლის

ეროვნული

19 მოსწავლიდან 16-მა (84,2%), მთლიანად კი ლაგოდეხის რაიო-ნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყველა I კლასში ჩარიცხუ-ლი 1524 ბავშვიდან დროულად (1975 წ.) 8 კლასი დაამთავრა 1290 მოსწავლემ (84,5%).

აღსანიშნავია შემოწმებულ სკოლებში რვაკლასდამთავრებულ მოსწავლეთა IX კლასებში ჩარიცხულ მოსწავლეთა მაღალი მაჩვენებ-ლები. ასე, მაგალითად, ლაგოდეხის 1-ლი საშუალო სკოლის IX კლა-სებში ჩარიცხულია რვაკლასდამთავრებულთა 87,5%, აფენის საშუა-ლო სკოლის—65,4%, ნინიგორის საშუალო სკოლის—80% და სხვა. მთლიანად ლაგოდეხის რაიონის რვაკლასდამთავრებულ 1290 მოსწავ-ლიდან IX კლასებში ჩარიცხულია 1020 მოსწავლე, რაც 79,1%-ს შეადგენს.

დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა რაიონის შემოწმებულ სკო-ლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციე-ლებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა ათვისების საქმეში: ლაგოდეხის მე-3 (700 მან.), ნინიგორის (1390 მან,), ვარ-დისუბნის (560 მან.) საშუალო სკოლებზე ბიუჯეტით გათვალისწინე-ბული თანხები ათვისებულია მთლიანად და მოსწავლეებზე გაცემული დახმარების უწყისები გაფორმებულია სათანადო წესის დაცვით.

შემოწმებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არადამაკმა-ყოფილებლად მიმდინარეობს მოსწავლეთა ჩასაწერი ანბანური წიგნე-ბის წარმოება. გაყრილი არ აქვს ზონარი, ამ წიგნის მიხედვით და-ლაგებული არაა მოსწავლეთა მოძრაობის საბუთები და გურგენიანის რვაწლიან სკოლაში იგი შეუვსებელიც კი აღმოჩნდა.

სერიოზულ დარღვევებს აქვს ადგილი სასწავლო წლის დასაწ-ყისსა და ბოლოს სტატისტიკური ანგარიშების შედგენის დროს. შე-მოწმებულ სკოლებში შედგენილი არ არის სტატისტიკური ანგარიშე-ბის საქმე და შეცდომებით არის შედგენილი მოსწავლეთა მოძრაობის მაჩვენებლები. ასე, მაგალითად, ლაგოდეხის მე-3 საშუალო სკოლიდან 1974—1975 სასწავლო წელს და 1975 წლის ზაფხულის პერიოდში გასულია 40 მოსწავლე, სტატისტიკურ ფორმა ოშ—1-ში ნაჩვენებია 17 მოსწავლის გასვლა, ლაგოდეხის 1-ლი საშუალო სკოლის 0—III კლასებიდან—8 (მათ შორის ნაჩვენები არაა მე-3 კლა-სის გარდაცვლილი მოსწავლე და IV—VIII კლასებიდან 5 მოსწავლე ნაჩვენებია ტექნიკუმებში გადასულად), ნინიგორის საშუალო სკოლის 0—III კლასებიდან —7 მოსწავლე, IV — VIII კლასებიდან 12 ოსწავლე, აფენის საშუალო სკოლის 0—III კლასებიდან 5 მოს-

წავლედა სხვა. ყოველივე ამის შედეგად, რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 0—VIII კლასებიდან უმიზეზოდ გააცდინა 23 მოსწავლემ.

ბიბლიოთეკა

რაიონის შემოწმებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით, დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას ტოვებს: 1974—1975 სასწავლო წლის ბოლოს ირიცხებოდა 12262 მოსწავლე, რომელთაგან მომდევნო კლასებში საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოცდების შედეგად გადაყვანილია და საშუალო სკოლა დაამთავრა 12181 მოსწავლემ, რაც 98,5%-ს შეადგენს. მიმდინარე 1975—1976 სასწავლო წლის მეორე მეოთხედის მიხედვით შემოწმებული სკოლების 0—X კლასების მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება შემდეგ სურათს იძლევა: ლაგოდეხის 1-ლი საშუალო სკოლის 0—X კლასების შეფასებული 398 მოსწავლიდან ასწრებს 465, ლაგოდეხის მე-3 საშ. სკოლის 259-დან 249, ნინიგორის საშ. სკოლის 524-დან—511, ვარდისუბნის 447-დან—405, აფენის საშ. სკოლის 498-დან 472 და გურგენიანის რვაწლიანი სკოლის 140-დან 128 მოსწავლე.

ჯერ კიდევ სათანადო მუშაობა არ ტარდება აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან. რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 160 მეორეწლიანი მოსწავლიდან მიმდინარე სასწავლო წლის მეორე მეოთხედში ვერ ასწრებს 16, მათ შორის ერთი დაწყებითი კლასიდან.

რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრებით. რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 912 მასწავლებლიდან უმაღლესი განათლებითაა 685, საშუალო სპეციალური განათლებით—187, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით—40 და არასპეციალური განათლებით—4 მასწავლებელი.

რაიონის შესწავლილი სკოლების ხელმძღვანელ მუშაკთა და მასწავლებელთა ერთი ნაწილი ყოველდღიურად მუშაობს საკუთარი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეცნიერული დონის ამაღლებისათვის, რის შედეგადაც სასურველ, თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაფერის შედეგებსაც აღწევს მუშაობაში, მაგრამ მათ გვერდით გვხვდებიან ისეთი მუშაკები, რომლებიც ჩამორჩებიან ცხოვრებას და არც სურვილი აქვთ გაერკვენ ამ ამოცანების არსში, იბრძოლონ მათ შესასრულებლად.

რაიონის შესწავლილ სკოლებში ცალკეული სასწავლო დისციპლინის სწავლებისა და სკოლებისადმი ხელმძღვანელობის მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაგოდეხის რაიონის სკოლებში მშობლიური ენა და ლიტერატურა, ძირითადად დამაკმაყოფილებლად ისწავლება. რიგი მასწავლებლისა საგნის კარგ ცოდნას კარგად უხამებს პრაქტიკულ პედაგოგიურ ოსტატობას, სწავლების მოწინავე ხერხებისა და მეთოდების ეფექტური გამოყენებით სასურველ შედეგებს აღწევს.

კარგად ასწავლის მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ლაგოდეხის 1-ლი საშ. სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მ. დვალი. ღრმა თეორიულ ცოდნას იგი მოხერხებულად იყენებს სწავლების პროცესში, მისმა მოსწავლეებმა არა მარტო პროგრამული მასალის საფუძვლიანი ცოდნა გამოავლინეს, არამედ კარგად, ძალზე უშუალოდ დაუკავშირეს დღევანდელობას. დვალის მოწაფეები მეტყველებენ სადად და სასიამოვნოდ, წერითი მუშაობის პროცესში ავლენენ მწყობრი, თანმიმდევრული მსჯელობის უნარს. ყოველივე ეს, ბუნებრივია, მასწავლებელ მ. დვალის დიდი შრომის შედეგია.

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან საგანს ლ. გეგეშიძე, ნ. ყორღანაშვილი (ლაგოდეხის მე-3 საშ. სკოლა), ქ. ოქრომშიძე (ლაგოდეხის 1-ლი საშ. სკოლა), ც. ჯოიაშვილი (აფენის საშ. სკოლა), ავთ. ჩხეიძე, მ. ლეჟავა (ვარდისუბნის საშ. სკოლა). მართალია, გაკვეთილებს მნიშვნელოვანი ხერვეზების გარეშე ატარებენ, მაგრამ თითქმის ყველა მათგანი ცუდად ასწორებს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს, რის გამოც დაბალია მათი მოსწავლეების წერის კულტურა.

მუშაობაში ნაკლოვანებანი გააჩნიათ ეთ. მასურაძეს (ლაგოდეხის 1-ლი საშ. სკოლა), ა. გორგაძეს (ვარდისუბნის საშ. სკოლა), მ. რეხვიაშვილს (ნინიგორის საშ. სკოლა).

ეთ. მაისურაძე პირად საუბარში კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, რაც, სამწუხაროდ, არ ჩანს მის მიერ გაკვეთილების ჩატარების პროცესში.

მეცხრე კლასში, სადაც დასასწავლად ილიას „განდეგილის“ I—X თავები ჰქონდათ მიცემული, მოსწავლეებმა მასალის არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს: ზოგმა სულ არ იცოდა გაკვეთილი, ზოგმა კი საზეპირო ადგილები ვერ გადმოსცა. ამასთან, ბავშვები ისე ცუდად, გაუმართავად მეტყველებდნენ, რომ მათი ნაამბობიდან რაიმე მწყობრი აზრის გამოტანა თითქმის შეუძლებელი

გახდა. მასწავლებელი ეპიზოდურად თუ ჩაერეოდა მოსწავლეთა საუბარში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მასალა — „განდეგილის“ VI თავიდან ბოლომდის მასწავლებელმა ახსნა ძალზე სქემატურად. მას ფაქტიურად ტექსტზე არ უმუშავნია, დაკმაყოფილდა მხოლოდ პოემის ტექსტის კითხვით და სცადა ზოგიერთ მხატვრულ საშუალებაზე ყურადღების გამახვილება, თუმცა აქაც მოეცარა ხელი.

მასწავლებელს არავითარი ყურადღება არ გაუმახვილებია ლიას მიერ გმირთა პორტრეტის ხატვის თავისებურებაზე, ეს მდიდარი მასალა არ გამოუყენებია მოსწავლეთა ესთეტიკური, ათეისტური აღზრდისათვის და სხვა. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ მასწავლებელმა ეთ. მაისურაძემ არ იცის მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობა.

მსგავსი ხარვეზებით წარმართა ქართული ენის გაკვეთილი ეთ. მაისურაძემ VIII კლასში. აქაც მოსწავლეთა დაბალ ცოდნას მასწავლებლის დაბალი თეორიული მომზადება დაერთო. ეთ. მაისურაძის გაკვეთილზე, რომელიც დაბალ დონეზე, ყოველგვარი თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე ჩატარდა, მოსწავლეებმა რთულ ქვეწყობილ წინადადებებში ვერ გაარკვიეს დამოკიდებულების სახეები. მაგალითად, წინადადება „მშვიდობა შენარჩუნებულ იქნება, იმიტომ რომ ჩვენი ხალხი ერთსულოვნად იბრძვის“ ვითარების გარემოებით დამოკიდებულ რთულ ქვეწყობილ წინადადებად მიიჩნია, რაც უხეში შეცდომაა. უფრო უარესი: რთულ ქვეწყობილ წინადადებაში — „გარეთ იმიტომ გამოვიდა, რომ შინ ჯდომა აღარ შეეძლო“ — მოსწავლეებმაც და მასწავლებელმაც მთავარი წინადადება ვერ მონახეს, რაც გრამატიკის ელემენტარულ საკითხად ითვლება.

მასწ. ეთ. მაისურაძე არაწორად ადგენს გაკვეთილის გეგმებს, სისტემატურად არ ამოწმებს მოსწავლეთა წერითი დავალების რვეულებს, საკონტროლო წერით ნამუშევრებს კი ასწორებს ძალზე ცუდად (მაგ. მოსწავლე გ. მ — შვილის ნამუშევარში „ბატონყმობა დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ მიხედვით მასწავლებელს შეუნიშნავს მხოლოდ 2 ორთოგრაფიული შეცდომა, ხოლო გაუსწორებლად დაუტოვებია 20 სხვადასხვა სახის შეცდომა, მათ შორის 7 სტილისტური), ხოლო აფასებს ლიბერალურად.

ცუდად ასწავლის მშობლიურ ენასა და ლიტერატურას მასწ. ა. გორგაძე (ვარდისუბნის ს.შ. სკოლა). ხარვეზები გამოვლინდა [illegible] მიერ VIII კლასში ჩატარებული საკონტროლო წერითი [illegible] შედეგად. მართალია, მასწავლებელმა მერვე კლასისათვის ძალზე მარტივი თემა („ტარიელის წასვლა ხატაეთს და დიდი ომი“—შინაარსი) შეარჩია, მაგრამ კლასმა იგი ვერ დაძლია—წერით მუშაობაში მონაწილე 20 მოსწავლიდან დაბალი შეფასება მიიღო („1“) 15-მა. ა. გორგაძე ძალზე უპასუხისმგებლოდ ასწორებს წერით ნამუშევრებს. არის შემთხვევები, როცა, მოსწავლეთა თხზულებების გასწორების დროს, შეუმჩნეველი რჩება 36—38 შეცდომა. ამასთან, ნაწერებს აფასებს ძალზე არაობიექტურად (მოსწ. ც. მ-ურს თხზულებაში დაშვებულ შეცდომათა რაოდენობისა და ხასიათის მიხედვით ეკუთვნოდა „2“ (ცუდი), მასწავლებელს კი „5“ (ფრიადზე) შეუფასებია!.

მასწ. ა. გორგაძეს ლიტერატურა VIII კლასში უცნაური თანმიმდევრობით უსწავლებია:

—„ვეფხისტყაოსნის“ ეპიგრაფზე მუშაობა (პოემას ეპიგრაფი არ აქვს!);

—„ვეფხისტყაოსანი“ 29-დან 32 თავამდე;

—„ვეფხისტყაოსანი“—შ. რუსთაველის შეხედულება შაირობაზე;

—„ქართული დამწერლობის განვითარების საფუძვლები“ (პროგრამაში არ არის!);

—„ვეფხისტყაოსანი“—I და II თავები.

ყველაფერი ეს VIII კლასის ჟურნალშია ჩაწერილი და ცხადყოფს იმ ქაოტურ მდგომარეობას, რომელიც ა. გორგაძეს გააჩნია ყოველდღიურ მუშაობაში.

ნინიგორის საშუალო სკოლის მასწავლებელმა შალვა რეხვიაშვილმა არ იცის საგანი და არც მისი სწავლება შეუძლია. შ. რეხვიაშვილი ვერ ერკვევა გრამატიკის ელემენტარულ საკითხებში და, ბუნებრივია, მოსწავლეებმაც არაფერი იციან. შ. რეხვიაშვილი ვერც მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს ასწორებს—მის პრაქტიკაში ჩვეულებრივი მოვლენაა 30—40 შეცდომის გაპარვა.

რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა კეთილსინდისიერად ეკიდება მინდობილ საქმეს და ერთგვარ წარმატებებსაც აღწევს ამ საგნების სწავლებაში. ასეთებია: გ. კაპანაძე და ნ. ბეჟაშვილი (ვარდისუბნის საშუალო სკოლა), ჯ. ლეკრიანი და ჟ. ღვინია-

შვილი (ლაგოდეხის 1-ლი საშუალო სკოლა), ნ. ჩიკოლიძე და ი. დარბაიძე (ლაგოდეხის მე-3 საშუალო სკოლა). ამ სკოლებში მოწყობილი და სათანადოდ გაფორმებულია რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტები, კლასკაბინეტები, შეძენილი აქვთ სწავლების ტექნიკური საშუალებები და სხვ.

აღნიშნული მასწავლებლები თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ატარებენ გაკვეთილებს ტექნიკური საშუალებების, თვალსაჩინოების ფართოდ გამოყენებით და ზეპირი მეტყველების განვითარების მიზნით რუსულ ენაზე საუბრების ჩატარებით, სადაც მონაწილეობას ღებულობს მთელი კლასი. ასე, მაგალითად, ლაგოდეხის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელ ჟ. ღვინიაშვილის მიერ VII კლასში დემონსტრირებულ იქნა ფრაგმენტი დიაფილმ „მუმუდან“ ი. ტურგენევის ნაწარმოების მიხედვით ასევე, ჯ. ლეკრიანმა IV კლასში გამოიყენა ფირსაკრავი, მოსწავლეებს მოასმენინა ფირფიტა „ვეუფლებით რუსულ ენას“, რითაც მათ მიეცათ საშუალება მოესმინათ ზამთრის სურათის აღწერა რუსულ ენაზე; მოხდენილად ჩააბა მთელი კლასი მუშაობაში ვარდისუბნის საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. კაპანაძემ, მრავალფეროვნად და საქმის ღრმა ცოდნით ჩაატარა ლექსიკური მუშაობა ამავე სკოლის მასწავლებელმა ნ. ბექაშვილმა.

მაგრამ, ამასთან ერთად, ლაგოდეხის რაიონის შესწავლილ სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში არის არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

სათანადოდ არ მუშაობენ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები გ. მჭედლიშვილი და მ. ცეცხლაძე (აფენის საშუალო სკოლა), გ. პარასტაევა (ნინიგორის საშ. სკოლა), ს. გოგოლაძე (გურგენიანის რვაწლიანი სკოლა), დ. კაპანაძე (ლაგოდეხის 1-ლი საშუალო სკოლა). ისინი არ მუშაობენ მთელი მონდომებით, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საგნის სწავლების საქმეს, ნაკლებად იყენებენ თვალსაჩინოებას, სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, არასისტემატურად ასწორებენ საკლასო-საშინაო წერითი დავალების რვეულებს, არ ატარებენ საუბრებს ზეპირი მეტყველების განვითარების მიზნით, გაკვეთილზე არ გამოყოფენ აღმზრდელობით მიზანს, აქტიურ შემოქმედებით საქმიანობაში არ აბამენ თითოეულ მოსწავლეს, გულმოდგინედ და ბეჯითად არ აწარმოებენ ლექსიკურ მასალაზე მუშაობას, სწორად არ ახდენენ მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებას, ხშირად გაკვეთილზე საუბრობენ ქართულ ენაზე, რის შედეგად დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე, უძნელდებათ მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა, არ არიან დაუფლებულნი კითხვის ტექნიკას, წერენ დიდი შეცდომებით და ცუდი კალიგრაფიით.

მასწავლებელ დ. კაპანაძეს მოუწესრიგებელი აქვს მოსწავლეთა წე-რითი დავალების რვეულების გარეკანი, ხშირად საკლასო წერითი წერითი დავალება მცირე მოცულობისაა (ზოგჯერ იგი ერთი-ორი წინა-დადებით შემოიფარგლება). სწავლებაში არ იყენებს თვალსაჩინოებას და ტექნიკურ საშუალებებს. იგი, ზოგჯერ, არღვევს კომბინირებული გაკვეთილის ჩატარების პრინციპს. მან კლასში გადასცა ახალი საკითხავი მასალა ლ. ტოლსტოის „ლომისა და ძაღლის მეგობრობა“ და იმავე გაკვეთილზე ჩაატარა საკლასო წერა. არც მასწავლებელ გ. პარასტაევას (ნინიგორის საშ. სკოლა) მოსწავლეებმა იციან გამართული კითხვა, უჭირთ წინადადების გარჩევა; მოსწავლეებს საშინაო დავალებას უნიშნავს ზარის შემდეგ და სხვ. ასევე, დაბალ აკადემიურ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს და ანალოგიურ დარღვევებს აქვს ადგილი გ. მჭედლიშვილისა და დაწყებითი კლასების მასწავლებელ მ. ცეცხლაძის (აფენის საშუალო სკოლა) გაკვეთილებზე.

შემოწმებული სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი სერიოზულად, მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობას, სისტემატურად იმაღლებს თეორიული და პედაგოგიურ-მეთოდური ცოდნის დონეს, რის გამოც გარკვეულ დადებით შედეგებს აღწევს მუშაობაში. ამ მხრივ გამოირჩევიან მასწავლებლები: რ. ხაჩიძე (ლაგოდეხის 1-ლი საშ. სკოლა), გ. ლომჯანიძე და ე. ლომჯანიძე (ლაგოდეხის მე-3 საშ. სკოლა), ც. ხარაიშვილი (ვარდისუბნის საშ. სკოლა). ამ მასწავლებელთა მონდომებული და ნაყოფიერი შრომის შედეგად საკმაოდ მაღალია მოსწავლეთა ცოდნის დონე ამ საგანში.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილ სკოლებში ჯერ კიდევ გვხდებიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც სუსტად ფლობენ საგანს, მისი სწავლების მეთოდებს, არ ზრუნავენ თავიანთი თეორიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის, კმაყოფილდებიან ერთხელ მიღებული ცოდნით და საფუძვლიანად არ იცნობენ მეთოდურ ლიტერატურას. ყოველივე ამის შედეგად მათი მოსწავლეთა ცოდნის დონე საგანში დაბალია. ადგილი აქვს ლიბერალიზმისა და თვალისახვევის ფაქტებს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში. ამაზე მეტყველებს ჩატარებული საკონტროლო წერების შედეგები. ასე, მაგალითად, ლაგოდეხის მე-3 საშ. სკოლის VIII კლასის (მასწავლებელი ნ. ნოზაძე) 23 მოსწავლიდან შეფასება „2“ (ცუდი) მიიღო 19-მა, ანუ მოსწავლეთა 82%-მა, ვარდისუბნის საშუალო სკოლის მე-8ბ კლასის (მასწავლებელი ქ. საბიაშვილი). 18 მოსწავლიდან — 13-მა, ანუ მოსწავლეთა 72%-მა, აფენის საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი

რ. შიუკაშვილი) 27 მოსწავლიდან 25-მა, ანუ 90%-მა და გურჯაანის რვაწლიანი სკოლის VI კლასის (მასწავლებელი ც. თაბუნიძე) 16 მოსწავლიდან 12-მა, ანუ 75%-მა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაგოდეხის 1-ლი (ა. სხირტლაძე), ნინიგორის (მასწავლებელი ნ. ტაბატაძე) და აფენის (მასწავლებელი რ. შიუკაშვილი) საშუალო სკოლების X კლასების მოსწავლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ გავლილი პროგრამული საკითხების სრული უცოდინარობა გამოავლინეს. მათ წარმოდგენა არა აქვთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მაჩვენებლიანი და ლოგარითმული ფუნქციები, მათი თვისებები. არ შესწევთ უნარი ამ თემებთან დაკავშირებით ამოხსნან მარტივი სახის განტოლებანი, ვერ ადგენენ მოცემული ლოგარითმული ფუნქციის განსაზღვრის არეს და უჭირთ მარტივი ტრიგონომეტრიული განტოლების ამოხსნა.

მეტად დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ლაგოდეხის მე-3 (ნ. ნოზაძე) და ვარდისუბნის (მასწავლებელი ქ. საბიაშვილი) საშუალო სკოლების VIII კლასების მოსწავლეებმა. ისინი ვერ შლიან ორწევრის კუბების სხვაობას მამრავლებად, არ შეუძლიათ წილადური სახის ალგებრული გამოსახულების გამარტივება, რომელიც შეიცავს უარყოფით მაჩვენებლიან ხარისხებს და ვერ ხსნიან განტოლებებს, რომლებიც შეიცავენ კვადრატულ რადიკალებს.

დაბალ დონეზე ჩატარდა გეომეტრიის გაკვეთილი აფენის საშ. სკოლის მე-9ბ კლასში (მასწავლებელი რ. შიუკაშვილი). მან, გარდა იმისა, რომ მეთოდურად სწორად ვერ წარმართა გაკვეთილი, დაუშვა მეცნიერული ხასიათის შეცდომები ახალი მასალის ახსნის პროცესში. ვერ დაამტკიცა სწორად დახრილ წრფესა და სიბრტყეს შორის მოთავსებული კუთხის თვისება. გაკვეთილებისათვის არ ემზადება ამავე სკოლის მე-9ა კლასის მასწავლებელი ჯ. კობახიძე. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული საკითხების გავლაში ჩამორჩენა აქვს, კლასში გადის არასაპროგრამო საკითხებს. ასე მაგალითად, „ნაკვეთის ორთოგონალური გეგმები“. იგი მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, როცა ვერ მოახერხა მონაკვეთის დაგეგმილება ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სიბრტყეებზე. მთელი გაკვეთილის განმავლობაში მოსწავლეები კლასში უსაქმურად ისხდნენ.

ნინიგორის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მასწავლებელ ვ. კობერიძეს შეუმჩნეველი რჩება საკონტროლო ნაშრომების გასწორებისას მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები. არარაციონალური გზით

ახსნევინებს მაგალითებს, გაკვეთილზე საუბრობს კუთხური გამოთქმით, არა აქვს დისციპლინა.

ლაგოდეხის მე-3 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მასწავლებელმა ნ. ნოზაძემ მოუმზადებლად ჩაატარა გაკვეთილი. ამის შედეგი იყო, რომ თეორემა „ცენტრალურად სიმეტრიული წრფეების პარალელობის შესახებ“ ვერ ახსნა მოსწავლეთათვის გასაგებად. სუსტია ამ კლასის მოსწავლეთა უმრავლესობა. მასწავლებელს გაკვეთილზე ხშირად ერღვევა წესრიგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმებით გამოირკვა, რომ მათემატიკის მასწავლებლები— —ვ. ქათამაძე (ლაგოდეხის 1-ლი საშუალო სკოლა), შ. ფოჩხიძე (ნინიგორის საშუალო სკოლა) და ც. თაბუნიძე (გურგენიანის რვაწლიანი სკოლა) მეთოდურად გაუმართავ გაკვეთილებს ატარებენ. ისინი არ აბამენ მოსწავლეებს დამოუკიდებელ მუშაობაში, ყურადღებას არ აქცევენ ახლად გადაცემული მასალის განმტკიცებას, ვერ ანაწილებენ გაკვეთილისათვის განკუთვნილ დროს რაციონალურად, არ აფასებენ მოსწავლეთა ცოდნას ნიშნით (შეფასების ნიშნები არ შეაქვთ საკლასო ჟურნალებში), ნაკლებ ყურადღებას უთმობენ აღმზრდელობით საკითხებს, გაკვეთილებს ვერ ატარებენ მოსწავლეთა აქტივობის ვითარებაში და პერიოდულად არ ამოწმებენ მოსწავლეთა საშინაო-საკლასო რვეულებს.

მასწავლებელთა ერთ ნაწილს არასწორად გამოჰყავს მეოთხედური ნიშნები მიმდინარე შეფასების საფუძველზე და ზოგჯერაც ადგილი აქვს ლიბერალიზმის ფაქტებს—ლაგოდეხის 1-ლი საშ. სკოლის V კლასის (მასწავლებელი გ. ტუხაშვილი) მოსწავლე გ. კ-ს მეორე მეოთხედში საკონტროლო წერებში მიღებული აქვს „3“, ხოლო ორ უკანასკნელ წერაში კი „2“, მეოთხედის ბოლოს შეფასებულია „4“-ზე (კარგი).

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ამ მხრივ მასწავლებლების ი. კალანდაძის (ვარდისუბნის საშუალო სკოლა), ნ. ტაბატაძის (ნინიგორის საშუალო სკოლა), ნ. ნოზაძის (ლაგოდეხის მე-3 საშუალო სკოლა), შ. კობახიძის (აფენის საშუალო სკოლა) და ც. თაბუნიძის (გურგენიანის რვაწლიანი სკოლა) მუშაობაში. ასევე, საყვედურს იმსახურებენ მათემატიკის მასწავლებლები ქ. საბიაშვილი (ვარდისუბნის საშუალო სკოლა), შ. ფორჩხიძე (ნინიგორის საშუალო სკოლა) და ნ. ნოზაძე (ლაგოდეხის მე-3 საშუალო სკოლა. ისინი გაკვეთილების უმრავლესობას ატარებენ ისე, რომ საკლასო ჟურნალებში მოსწავ

ლეელს შეფასების ნიშნებს არ უწერენ. ასე მაგალითად, ვარდისუბნის საშუალო სკოლის VIII კლასში მასწავლებელ ქ. საპიაშვილს 13 იანვრიდან 10 თებერვლამდე, 17 სამუშაო დღის განმავლობაში მოსწავლისათვის დაუწერია ნიშანი და ისიც „2“.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ლაგოდეხის 1-ელ (მასწ. მასწ. ე. ნადაშვილი, ც. მაჭარაძე), მე-3 (მასწ. ე. მეტრეველი), ნინიგორის (მასწ. მასწ. ა. ვენჯელაშვილი, ი. ფოცხვერაშვილი), ვარდისუბნის (მასწ. მასწ. ტ. კვინიკაძე, გ. პავლიაშვილი), აფენის (მასწ. მასწ. ქ. სხირტლაძე, ვ. კახეთელიძე) საშუალო და გურგენიანის რვაწლიან (მასწ. შ. გორგაძე) სკოლებში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ისტორიის სწავლება. აღნიშნული მასწავლებლები სრულყოფილად ფლობენ საგანს, მისი სწავლების მეთოდებს, ხერხებს და სწავლების პროცესში ფართოდ იყენებენ თვალსაჩინოებას (რუკას, კინოფილმებს, დიაფილმებს, დიაპოზიტივებსა და სხვ.).

კარგადაა დაყენებული ისტორიის სწავლება ლაგოდეხის მე-3 საშუალო სკოლაში (მასწ. ე. მეტრეველი). იგი სათანადოდ ემზადება გაკვეთილისათვის, მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე ატარებს მას. IX კლასის მოსწავლეებმა შეგნებულად იცოდნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ლენინური გეგმა, თანმიმდევრულად გააშუქეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბრუნება რუსეთში, ლენინის აპრილის თეზისები და სხვ. მასწავლებელმა მოსწავლეთათვის მისაწვდომად და გასაგებად ახსნა ახალი მასალა—„რევოლუციის განვითარება ორხელისუფლებიანობის პერიოდში“. მან ფართოდ გააშუქა ბოლშევიკების ბრძოლა მასებისათვის, დროებითი მთავრობის „აპრილის კრიზისი“, საბჭოების პირველი ყრილობა, ივნისის დემონსტრაცია, ფრონტზე შეტევის ჩაფუშვა და სხვ. მასწავლებელმა ამ თემის გასაღრმავებლად დამატებითი დოკუმენტური მასალები გამოიყენა.

მეათე კლასის მოსწავლეებმა კარგად განმარტეს თანამედროვე იმპერიალიზმის თავისებურებანი, მათ იცოდნენ წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის დაჩქარება, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება, ანუ პროგრამირება, ეკონომიური ინტეგრაცია, სახელმწიფოს მილიტარიზაცია და სხვ. მათ განმარტეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არსი და შედეგები. ამავე სკოლაში ისტორიას კარგად ასწავლის (მასწ. ვ. კახეთელიძე). მან IX კლასში მოხერხებულად ახსნა ახალი მასალა სსრ კავშირის ისტორიიდან—კორნილოვშჩინის განადგურება. საბჭოების ბოლშევიზაცია და ფართოდ გააშუქა სამხედრო შეთქმულება რევოლუციის წინააღმდეგ, სამხედრო შე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმულების განადგურება, საპჭოების ბოლშევიზაცია, ახალი კ[illegible]ლოვშჩინის, მზადება. კარგი იყო მასწავლებლის თხრობა, ტონი, დიქცია. გაკვეთილის დრო გამოიყენა რაციონალურად. ასევე, [illegible] ასწავლიან ისტორიას ლაგოდეხის 1-ელ საშუალო სკოლაში ე. ნადაშვილი, ვარდისუბნის საშ. სკოლაში ვ. პავლიაშვილი და ტ. კვინიკაძე.

ამასთან, ისტორიის სწავლებაში არის გარკვეული ნაკლოვანებები: ასე მაგალითად, აფენის საშუალო სკოლის მეოთხე კლასის მასწავლებელი ბ. ნადირაძე ვერ ახერხებს გაკვეთილის პროცესში ჩააბას ყველა მოსწავლე, არ უვარგა გაკვეთილის ორგანიზაცია, დამაჯერებლად ვერ ხსნის ახალ მასალას, უშვებს ზოგიერთ ფაქტობრივ შეცდომას. ასე, მაგალითად, სრულყოფილად ვერ აღწერა სსრ კავშირის გერბი ვერ დაასახელა, 1922 წელს რამდენი მოკავშირე რესპუბლიკისაგან, შედგებოდა სსრ კავშირი, რამდენი რესპუბლიკისაგან შედგება ამჟამად, არ გამოიყენა თვალსაჩინოება. გამოსაკითხი მასალა „კომუნისტური შაბათობანი" მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა სუსტად იცოდა. მასწავლებელი არ აქცევს ყურადღებას, თანადროულობას, მოსწავლეებმა პასუხი ვერ გასცეს კითხვაზე, იმართება თუ არა ამჟამად კომუნისტური შაბათობანი. ანალოგიური ნაკლოვანებები შეინიშნებოდა ნინიგორის საშ. სკოლის მასწ. ი. ვენჯელაშვილისა და ი. ფოცხვერაშვილის გაკვეთილებზე.

აფენის, ნინიგორის, ვარდისუბნის საშ. სკოლებში სრულყოფილად არ არის მოწყობილი ისტორიის კაბინეტები და ნაკლები ყურადღება ექცევა სამხარეთმცოდნეო მუშაობას აღსანიშნავია ისიც, რომ ნინიგორის საშუალო სკოლის მასწავლებლები ა. ვენჯელაშვილი და ი. ფოცხვერაშვილი ნაკლებად იყენებენ სწავლებაში ტექნიკურ საშუალებებს.

შემოწმებით გამოირკვა, რომ რაიონის შესწავლილ სკოლებში ძირითადად სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული გეოგრაფიის სწავლება. რაიონში გეოგრაფიას ასწავლის უმაღლესი განათლების მქონე 37 მასწავლებელი, რომელთაგან 3 არასპეციალისტია, 2 ისტორიკოსი და 1 ფილოლოგი.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი გულდასმით ემზადება გაკვეთილებისათვის, სარგებლობს საჭირო მეთოდური ლიტერატურით, სწავლებაში ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებას და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს.

ვარდისუბნის საშუალო სკოლის მასწავლებელი დ. ნოზაძე სწავლებაში სათანადოდ იყენებს დამხმარე ლიტერატურას, კარგად უკავშირებს პროგრამული მასალის გავლას თანამედროვეობას, დიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა აქტივიზაციას, რის შედეგად ბავშ-ვებს გამომუშავებული აქვთ რუკებსა და ატლასებზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ აფენისა (ლ. მამუკელაშვილი) და ლაგოდეხის მე-2 (მასწ. მ. ჯანიევი) საშუალო სკოლების გეოგ-რაფიის მასწავლებლები.

მიუხედავად ამისა, შემოწმებით გამოირკვა, რომ გეოგრაფიის სწავლებაში შეინიშნება რიგი ნაკლოვანებებანი:

სკოლებში შექმნილი არაა საგნის ნორმალურად სწავლებისათვის მატერიალური ბაზა. სასწავლო კაბინეტი შექმნილია 4 საშუალო სკოლაში, ხოლო გეოგრაფიის მოედანი მოწყობილია 12 ზოგადსაგან-მანათლებლო სკოლაში, თუმცა არც ერთი მათგანი არ არის სრულ-ყოფილად მოწყობილი. აკლიათ ნაბეჭდი თვალსაჩინო მასალები, ხელ-საწყოები, სწავლების ტექნიკური საშუალებები და ნაკლები ყურად-ღება ეთმობა თვითნაკეთი ხელსაწყოებისა და თვალსაჩინოების შექმნას.

რიგ მასწავლებელთა მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასია-თის ნაკლოვანებებს. მოუმზადებლად, დაბალ აკადემიურ დონეზე, მცირე დროში (13—15 წუთში)აწდებენ ახალი მასალის გადაცემას, ლაგოდეხის 1-ლი (თ. წიქარიშვილი) და ნინიგორის (ა. ვენჯილა-შვილი, ლ. კუხარევა) საშუალო სკოლების მასწავლებლები. ისინი ყურადღებას არ უთმობენ მოწავლეთა შემეცნებითი აქტივიზაციის განვითარებას, ნაკლებად იყენებენ თვალსაჩინოებას, ახალ მასალის ხსნიან თხრობის მეთოდით, მაშინ როდესაც ყველა თემა ითვალისწი-ნებს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას და ნაკლებ ყურადღებას უთმობენ გავლილი საპროგრამო მასალის გამეორებას. ყოველივე ამის შედეგად დაბალია მათი მომზადების დონე, მეტყველების კულტურა, უჭირთ დამოუკიდებელი მუშაობა და დასკვნების გამოტანა, არა აქვთ გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ვერ ერკვევიან ბუნების მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირში.

ბიოლოგიის სწავლებაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ ნინიგორის საშ. სკოლის მასწავლებლები ეკ. გერაშენკო და დ. ზოზია-შვილი. მათი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ბიოლოგიის კაბინეტი სანიმუშოდ არის მოწყობილი, იგი შევსებულია ყველა საჭირო დგამ-ავეჯით, მოწყობილობით. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მასში შექ-მნილი ცოცხალი კუთხე. სისტემაშია მოყვანილი კლასების მიხედვით სასწავლო თვალსაჩინო მასალა, რომელიც ფართოდაა გამოყენებული

მოსწავლეთა პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოების, ცდების და დაკვირვების ჩასატარებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთათვის გასაგები და დამაჯერებელი ენით [illegible] მასწავლებელმა ეკ. გარაშენკომ V კლასში ახალი მასალის—„წყლის აორთქლება ფოთლებით“ გადაცემა, რისთვისაც მომზადებული ჰქონდა ოთხი სახის სადემონსტრაციო ცდა, რომლებიც გაკვეთილზე მიზნობრივად იქნა გამოყენებული. ასევე, თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად ახსნა გაკვეთილები ამავე სკოლის VIII და X კლასებში მასწავლებელმა დ. ზოზიაშვილმა, ლაგოდეხის 1-ლი საშ. სკოლის VIII კლასში—ნ. რეხვიაშვილმა, ავენის საშ. სკოლის VII კლასში—ლ. ხეჟვიაშვილმა და ამავე სკოლის V კლ.—მ. პოლიკაშვილმა.

მიუხედავად ამისა, რაიონის შესწავლილ სკოლებში ბიოლოგიის სწავლების საქმეში ყველაფერი რიგზე როდია: ამ საგნის სასწავლო კაბინეტები თითქმის ყველა ზემოხსენებულ სკოლას აქვს, მაგრამ ისინი არასაკმაოდ არიან აღჭურვილნი დიდაქტიკური სამუშაოებითა და მოწყობილობით, განსაკუთრებით კი ახალ პროგრამებთან დაკავშირებული თვალსაჩინო მასალებით და ტექნიკური საშუალებებით.

მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა არადამაკმაყოფილებლად იცის ბიოლოგიის პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი საკითხები, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ყველა მასწავლებელი ვერ იჩენს საკმაო უნარს, დააინტერესოს მოსწავლეები საგნის შესწავლით.

ფიზიკის სწავლების ახალ შინაარსზე გადასვლასთან დაკავშირებით, რაც სკოლებში მძლავრ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას მოითხოვს, განათლების განყოფილებამ და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, შეფი ორგანიზაციების დახმარებით, უკანასკნელ წლებში ბევრ სკოლაში მოაწყვეს ფიზიკის კაბინეტი. რიგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა გაითვალისწინეს, რომ ახალ პროგრამებში სასწავლო დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა მოსწავლეთა ექსპერიმენტულ მუშაობას და ფიზიკის კაბინეტები შეავსეს VI—X კლასების სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული მოსწავლეთა ფრონტალურ-ლაბორატორიულ სამუშაოების, პრაქტიკუმებისა და სადემონსტრაციო ცდების ჩასატარებლად საჭირო ხელსაწყოებითა და მასალებით. ამჟამად რაიონის ყველა საშუალო (16) სკოლას და 18 რვაწლიანი სკოლიდან 13 სკოლას აქვს ფიზიკის კაბინეტი.

რიგი სკოლების ხელმძღვანელები და ფიზიკის მასწავლებლები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებს „საშუალო და რვაწლიან სკოლებში ფიზიკის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესრულებას და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს.

შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილში გამოყოფილია კაბინეტებისათვის შესაფერისი ფართობის სათავსოები, შევსებულია საჭირო დგამ-ავეჯით, ხელსაწყო-იარაღებით, დანადგარებით, სამუშაო იარაღებითა და მასალებით.

ლაგოდეხის მე-3 საშ. სკოლაში (დირექტორი გ. ლობჟანიძე, კაბინეტის გამგე ი. შუბითიძე) ფიზიკის კაბინეტისათვის გამოყოფილია საკმაო ფართობის ორი ოთახი, რომლებშიაც მოწყობილია აუდიტორია გაკვეთილებისა და მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობის ჩასატარებლად და საპრეპარატო კლას-ლაბორატორია შევსებულია დგამ-ავეჯით, მოწყობილია დაბნელება, ელექტროგაყვანილობა (მუდმივი და ცვლადი დენისათვის) და მიმდინარეობს მუშაობა მის კეთილმოსაწყობად, მასწავლებლის მოხერხებული მუშაობისათვის. ასევე, დიდი სამუშაოების ჩატარებაა გათვალისწინებული ლაგოდეხის 1-ელ საშუალო სკოლაში ფიზიკის კაბინეტის უკეთ მოსაწყობად.

რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია უმაღლესი განათლების კვალიფიციური, სათანადო გამოცდილების მქონე მასწავლებელთა კადრებით, რომელთა ერთი ნაწილი მონდომებით მუშაობს ახალი სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით ფიზიკის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის. ამჟამად რაიონის 34 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ფიზიკის 48 მასწავლებელი ასწავლის, რომელთაგან 46 უმაღლესი სპეციალური განათლებითაა და 2 — სამასწავლებლო ინსტიტუტდამთავრებული.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს ლაგოდეხის მე-3 საშ. სკოლის ფიზიკის დამწყები მასწავლებელი ი. შუბითიძე, რომელიც კარგად ფლობს საგანს, გულდასმით ემზადება ყოველდღიურად, სარგებლობს საჭირო მეთოდური ლიტერატურით, სწავლებაში იყენებს თვალსაჩინოებას, ატარებს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ სადემონსტრაციო ცდებს და საკონტროლო წერებს მეოთხედში ერთხელ. ასევე, გულდასმით ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის ვარდისუბნის საშ. სკოლის VII, VIII კლასების დამწყები მასწავლებელი გ. ზაქარაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, რაიონის სკოლების ერთ ნაწილში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი ფიზიკის სწავლებაში.

ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სათანადოდ ვერ მოუმზადა ფიზიკის ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლისათვის; რიგ სკოლებში, განსაკუთრებით დამოუკიდებელ რვაწლიან სკოლებში, ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზა. 1975 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით რაიონის 18 რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი არა აქვს 5 სკოლას.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ზოგიერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში არ არის გამოყოფილი საჭირო ფართობი ფიზიკის კაბინეტისათვის, ზოგან კი იგი შეუფერებელ ოთახშია მოთავსებული. სხვა შემთხვევაში ვხვდებით ისეთ მდგომარეობას, როცა კაბინეტისათვის გამოყოფილია საკმაო ფართობი, მაგრამ იგი კეთილმოუწყობელია—არ არის მაგიდები მოსწავლეთა ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის, კარადები ხელსაწყო-იარაღებისათვის, მოუწყობელია დაბნელება და ელექტროგაყვანილობა.

აფენის საშ. სკოლაში (დირექტორი კ. სხირტლაძე, კაბინეტის გამგე თ. კაპანაძე) ფიზიკის კაბინეტისათვის გამოყოფილია ერთი ოთახი, შევსებული არაა ყველა საჭირო დგამ-ავეჯით, მოუწყობელია ელექტროგაყვანილობა, ბნელდება პრიმიტიულად, ჩატარებული არაა კაბინეტში არსებული ხელსაწყო-იარაღების ზუსტი აღრიცხვა, სადემონსტრაციო ხელსაწყოები, გამოყოფილი არაა ფრონტალურ-ლაბორატორიული და პრაქტიკუმების ჩასატარებლად საჭირო ხელსაწყოებისაგან, კარადებში ხელსაწყოები ინახება უწესრიგოდ, ზოგიერთი მათგანი გამოყენებული არაა სწავლებაში, ლაბორატორიული მაგიდები დაზიანებულია (ამოჭრილია), კაბინეტში არაა მუდმივი დენის წყარო, სამუშაო იარაღები და მინის ჭურჭელი. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ნინიგორის საშ. სკოლაში (დირექტორი ი. გობეჯიშვილი, კაბინეტის გამგე ტ. ტკაჩენკო). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფენის საშ. სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ასანიძე, ნინიგორის საშ. სკოლის დირექტორი ი. გობეჯიშვილი და მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში მ. ნარეშელაშვილი ფიზიკოსებია.

შემოწმებამ ნათელყო, რომ რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთ ნაწილში, განსაკუთრებით სოფლად, ფიზიკის კაბინეტები ჯერ კიდევ არაა შევსებული ყველა საჭირო მოწყობილობით, ხელსაწყო-იარაღებითა და მასალებით.

ზოგჯერ კაბინეტში ხელსაწყოები არ არის ხმარებისათვის მოხერხებულად მომზადებული და განლაგებული, არ ხდება მათი აწყობა, რეგულირება და მცირე დაზიანების შემთხვევაში შეკეთება. შემოწმებულ სკოლებში ნაკლები ყურადღება ეთმობა თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღების დამზადებასა და გამოყენებას. ასე, მაგალითად, აფენის საშ. სკოლის ფიზიკის კაბინეტში (კაბინეტის გამგე თ. კაპანაძე) აუწყობელი (შეფუთული) და გამოუყენებელი აღმოჩნდა უნივერსალური ტრანსფორმატორი, ჰარტლის საყელური, სპექტროსკოპი, ტალღური მანქანა, ტელური; ლაგოდეხის 1-ლი საშ. სკოლის ფიზიკის კაბინეტში (კაბინეტის გამგე ლ. კოკილაშვილი)—კონდენსატორების ანაწყობი, კონდენსატორების ბატარეა, მუდმივი დენის მანქანის მოქმედი მოდელი, თერმოსკოპი, საინდუქციო კოჭა (ბიოლოგიაში ცდებისათვის) და სხვ.

შემოწმებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი სისტემატურად არ მუშაობს თავის თავზე, არ იმაღლებს კვალიფიკაციას, სუსტად ემზადება გაკვეთილებისათვის, ნაკლებად სარგებლობს საჭირო მეთოდური ლიტერატურით, ვერ ფლობს საგნის სწავლების მეთოდს, ხერხებს, ფიზიკის სასკოლო ექსპერიმენტის ტექნიკას და დაბალ აკადემიურ დონეზე ატარებს გაკვეთილებს.

აფენის საშ. სკოლის VII კლასში მასწავლებელმა (თ. კაპანაძე) მცირე დროში, მოსწავლეთათვის გაუგებრად მოახდინა ახალი მასალის „დენის გავლა ლითონებსა და ელექტროლიტებში“ გადაცემა, რისთვისაც არ გამოიყენა საჭირო თვალსაჩინოება. მან ვერ შეძლო პრიმიტიულად მომზადებული ხელსაწყოთი ელექტროლიტებში დენის გავლის დემონსტრირება იმის გამო, რომ კაბინეტში მუდმივი დენის წყარო არ ჰქონდა. ფრონტალური კითხვებით გამოირკვა, რომ ამ კლასის მომზადების დონე დაბალია. მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ელექტრონიდან გავლილ საპროგრამო მასალაზე. ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს Xბ კლასის მოსწავლეებმა. არც ერთმა მთგანმა არ იცოდა საშინაო დავალებად მიცემული მასალა „ინტერფერენციის ზოგიერთი გამოყენება“. წარმოდგენა არა აქვთ სინათლის დისპერსიაზე, სპექტრზე, ინტერვენციაზე და გეომეტრიული ოპტიკიდან გავლილ საპროგრამო საკითხებზე. ამ კლასის 28 მოსწავლიდან ვერც ერთმა, ვერ შეძლო საშინაო წერითი დავალების რვეულიდან ამოღებული კლასში ამოხსნილი ამოცანების გამოყვანა, ლინზაზე და გამოსახულების აგებაზე, ლინზასა და ჩაზნექილ სარკეში. ამავე სკოლის Xა კლასში (მასწავლებელი ა ასანიძე) მასწავლებელ-

თან შეთანხმებით მიცემული იქნა მეტად მარტივი საწერი მასალა სავარჯიშოდან განათებულობაზე, ლინზის ოპტიკურ ძალაზე და გამოსახულების აგებაზე—გეომეტრიული ოპტიკიდან, რაც კლასის 35 მოსწავლიდან, მასწავლებლის შეფასებით, დავალება მხოლოდ 5 მა შეასრულა „3“ (საშუალო)-ზე. ეს მაშინ, როდესაც ამ კლასის 32 მოსწავლიდან სასწავლო წლის პირველ და მეორე მეოთხედებში შეფასება „2“ (ცუდი) არც ერთ მოსწავლეს არ უწერია და მეორე მეოთხედში შეფასება „4“ (კარგი) 7 მოსწავლეს აქვს. ასევე, დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ნინიგორის საშ. სკოლის IXა კლასის (მასწავლებელი ი. გოგეჯიშვილი) მოსწავლეებმა გავლილ საპროგრამო მასალაში.

ქიმიის სწავლების დონის გაცნობისას გამოირკვა, რომ შეიმჩნევა გარკვეული წინსვლა. მეტი ყურადღება მიექცა საგნის სწავლებისათვის მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებებს, უფრო მეტად დაინერგა თვალსაჩინოება სწავლებაში, ყურადღება მიექცა ქიმიის კაბინეტების მოწყობას. მასწავლებელთა ერთი ნაწილი სისტემატურად მუშაობს თეორიული და მეთოდური დონის ამაღლებისათვის. კარგად ატარებს გაკვეთილებს ლაგოდეხის რუსული საშუალო სკოლის შემცვლელი მასწავლებელი ლ. ხომიაკოვა. იგი საფუძვლიანად ემზადება თითოეული გაკვეთილისათვის, სრულყოფს ბავშვებთან მუშაობის მეთოდებს, მის მოსწავლეებს დამაკმაყოფილებელი ცოდნა აქვთ. მა მეთოდურად სწორად ჩაატარა გაკვეთილი VIII კლასში. მასწავლებელი არ შემოფარგლულა მხოლოდ კარგ მოსწავლეებთან მუშაობით, მან სათანადო კონტაქტი დაამყარა მთელ კლასთან. გაკვეთილის მანძილზე მოსწავლეები ჩაბმული ჰყავდა მუშაობაში. საფუძვლიანად გააანალიზა საკონტროლო წერის შედეგები. ახალი მასალა—მოლეკულური და ატომური კრისტალები კარგად იქნა ახსნილი და დაკავშირებული წინა მასალასთან—„იონური კრისტალური მესერების მოდელები“.

დამაკმაყოფილებლად ასწავლის საგანს ლაგოდეხის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელი ნ. ბლიაძე, რომელსაც დამთავრებული აქვს თსუ ქიმიის ფაკულტეტი. VII კლასის მოსწავლეებმა კარგად იციან ვალენტობა, ვალენტობის მიხედვით ფორმულების შედგენა, ფორმულის მიხედვით ვალენტობის განსაზღვრა. კარგად ჩაატარა მასწავლებელმა საშინაო დავალებად მისაცემი თემის—„ჟანგბადი“ მიმოხილვა. დამაკმაყოფილებლად ჩატარდა გაკვეთილები IX და X კლასებში. დამწყებმა მასწავლებელმა ნ. ბლიაძემ კარგად იცის საგანი, მაგრამ ხარვეზები აქვს გაკვეთილის ჩატარების მეთოდებში, უჭირს სადემონ-

სტრაციო, ლაბორატორიული ცდებისა და პრაქტიკული სამუშაოე-ბის ჩატარება.

ეროვნული

სოფელ აფენის საშ. სკოლის დამწყები მასწავლებელი [illegible]შვილი კარგად ფლობს საგანს (დამთავრებული აქვს თსუ ქიმიის ფაკულტეტი 1973 წელს), მაგრამ აკლია პედაგოგიური დახელოვნება და ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება, რაც გამოავლინა VIII და X კლასებში ჩატარებულმა გაკვეთილებმა. თუმცა, X კლასის გამოძახებულმა მოსწავლეებმა გაკვეთილი „უნაჯერი და ორფუძიანი მჟავები" დამაკმაყოფილებლად იცოდნენ, მაგრამ მასწავლებელი მხოლოდ მათ ეკითხება და დანარჩენი ძირითადი მასა მუშაობაში არ ყავს ჩაბმული. ამის გამო მოსწავლეთა უმრავლესობა ნაკლებად გრძნობს პასუხისმგებლობას და სუსტად ემზადება გაკვეთილისათვის.

ნაკლოვანებები აქვს საგნის სწავლებაში ნინიგორის საშ. სკოლის მასწავლებელს ნ. გელაშვილს. მას პედაგოგიური მუშაობის 20 წლის სტაჟი აქვს, მაგრამ მოსწავლეებს ვერ აძლევს ცოდნის აუცილებელ მინიმუმს. IX კლასების მოსწავლეები უშვებენ უხეშ შეცდომას ფორმულებისა და რეაქციების განტოლებების შედგენაში ($NaSO_4$, $CuSO_2$, $Cu+HNO_3=Cu(NO_3)_2+H_2$, $NH_4+NO_3=NH_4NO_3$).

X კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან უმეტესი ორგანული ნაერთების ფორმები და თვისებები. უჭირთ განტოლებების შედგენა. ხარვეზები მოსწავლეთა ცოდნაში იმით არის გამოწვეული, რომ მასწავლებელი სათანადოდ ვერ გეგმავს მუშაობას, ვერ ზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობას, იშვიათად ახდენს განვლილი მასალის განმეორებას, სისტემატურად არ ატარებს ცდებს. IX კლასში ალმასის და გრაფიტის თვისებების გაცნობისას არ აჩვენა გრაფიტის მიერ ქაღალდზე გასმისას კვალის დატოვება, თუმცა კაბინეტში ალმასის საკმაოდ დიდი ნაჭერი ჰქონდათ. X კლასში, ფენოლის თვისებების ახსნის დროს, არ აჩვენა ატომთა ურთიერთგავლენის დამამტკიცებელი ცდა—ბრომის მოქმედება ფენოლზე. მიუხედავად იმისა, რომ ქიმიის კაბინეტი საკმაოდ არის აღჭურვილი (ყოფილი გამგე ე. გერაშჩენკო), სწავლებაში იგი ნაკლებად არის გამოყენებული.

მნიშვნელოვანი ხარვეზები გააჩნია საგნის სწავლებაში ვარდისუბნის საშ. სკოლის დამწყებ მასწავლებელ ნ. ჩხეიძეს, რომელსაც დამთავრებული აქვს თბილისის ა. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტი 1971 წელს. თუმცა VII კლასში ჩატარებული გაკვეთილის დროს გამოძახებულმა მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად იცოდნენ ვალენტობა და ფორმულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედგენა ვალენტობის მიხედვით, მაგრამ სხვა მოსწავლეების ცოდნა არ შეუმოწმებია, არ ჩაუტარებია ვარჯიში ფორმულების შედგენაზე, მოსწავლეთა ცოდნა არ შეუმოწმებია, ახალი მასალა „წყალბადის მიღება“ მასწავლებელმა სათანადოდ ვერ ახსნა. მან ვერ დააყენა ცდა წყალბადის მიღებასა და შეგროვებაზე, მისი ფიზიკური თვისებების გარკვევაზე. მსგავსი ხარვეზებით ჩატარდა გაკვეთილი VIII კლასებში. მოსწავლეთა უმრავლესობა სუსტად ერკვევა პოლარული და არაპოლარული ბმების ბუნებაში, ვერ წერს მჟავებისა და მარილების ფორმულებს და მათ შორის რეაქციების განტოლებებს. სრულყოფილად არ იციან მოლი და მოლი გზის მოცულობა. მასწავლებელმა სათანადოდ ვერ ახსნა ახალი მასალა ელემენტის ელექტროუარყოფითობაზე. ვერ მოახდინა ახსნილის განმტკიცება და ვარჯიშის ჩატარება. გაურკვეველი დარჩა, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა გადაცემული მასალა. მასწავლებელს სათანადო კონტაქტი არ აქვს კლასთან, ვერ ახერხებს დროის რაციონალურად განაწილებას და გამოყენებას, მოსწავლეთა უმრავლესობა თვითდინებაზე ჰყავს მიტოვებული, მოიკოჭლებს დისციპლინა გაკვეთილებზე. სკოლის დირექცია ნაკლებად ზრუნავს მასწავლებელთა პედაგოგიურ დახელოვნებაზე.

მეტად დაბალ დონეზე ისწავლება ქიმია გურგენიანის რვაწლიან სკოლაში. საგნის მასწავლებელ ნ. მამუკაშვილს დამთავრებული აქვს თბილისის პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება 1957 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს პედაგოგიური მუშაობის 15 წლის სტაჟი აქვს, იგი სუსტად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს, ვერ ერკვევა რვაწლიანი სკოლის ქიმიის ახალი პროგრამებით გათვალისწინებული საკითხების არსში, სრულყოფილად ვერ ფლობს ქიმიურ ტერმინოლოგიას. სუსტად იცოდნენ VII კლასის მოსწავლეებმა წყალბადის ფიზიკური თვისებები და მიღება, ხოლო ახალი მასალის—„წყალბადის ქიმიური თვისებების“ ახსნის დროს ვერ ჩაატარა ცდა წყალბადის შეერთებაზე გოგირდთან. სპილენძის ოქსიდის აღდგენა წყალბადით, ეს მარტივი ცდა არც უცდია ჩაეტარებინა, მხოლოდ არასწორად აწყობილი ხელსაწყო უჩვენა. VIII კლასის მოსწავლეებმა ძალზე სუსტად იცოდნენ ჟანგვა-აღდგენის რეაქ-

ცდები, ელემენტების დაჟანგვის ხარისხის განსაზღვრა პერიოდულ სისტემაში მათი მდებარეობისა და ატომის აღნაგობის საფუძველზე. მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს $S^+O_2^-$, $S^+O$[illegible] $H^+S^-$ $Na^+S^-$ მასწავლებელი ვერ ამჩნევს და არ ასწორებს. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებმა არ იცოდნენ ელემენტების ელექტროუარყოფითობის ცნება, მასწავლებელმა არ მოახდინა მისი არსის დაზუსტება და მოსწავლეებამდე დაყვანა. დაბალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე იქნა „ახსნილი" ახალი მასალა „კრისტალური მესერები". თვით მასწავლებელი ვერ ერკვევა იონური, კოვალენტური და ატომური კრისტალური მესერების ცნებაში. ხმარობს არასწორ და გაუგებარ გამოთქმებს: „ყველა ნაერთს ახასიათებს თავისებური განლაგება გარემოში", „შახმატისებურად განლაგდებიან ქლორი და ნატრიუმი", „ეს იონები არის კოვალენტური", „ნატრიუმის იონს თუ შევუერთებთ ნატრიუმის იონს, მიიღება ორი ნატრიუმის იონი $Na^+$ $Na^+$" და სხვა მსგავსი. მოსწავლეებმა ვერ გაიგეს განსხვავება იონური, კოვალენტური და ატომური კრისტალური მესერების ტიპის წარმოქმნაში, რაც „ახსნილი" მასალის გამტკიცების დროს გამოვლინდა. ნ. მამუკაშვილი სუსტად ემზადება გაკვეთილებისათვის, არ ზრუნავს გაკვეთილების მეთოდური დონის ამაღლებისათვის.

ზოგ შემოწმებულ სკოლაში ქიმიის სწავლების დაბალი დონე ნაწილობრივ იმითაცაა გამოწვეული, რომ მასწავლებლები უგულებელყოფენ ქიმიური ექსპერიმენტის როლს შეგნებული ცოდნით მოსწავლეთა შეიარაღებისა და საგნით დაინტერესების საქმეში. პროგრამის შესაბამისად არ ტარდება სადემონსტრაციო და ლაბორატორიული ცდები, პრაქტიკული სამუშაოები. ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არც ერთ სკოლაში არ არის.

რამდენადმე უკეთესად არის მოწყობილი ქიმიის კაბინეტები ნინიგორის, ვარდისუბნისა და აფენის საშუალო სკოლებში, მაგრამ მათ ნაკლებად იყენებენ. საკმარისი რაოდენობით არა აქვთ თვალსაჩინოება ლაგოდეხის მე-2 და მე-3 საშ. სკოლებში, ხოლო გურგენიანის რვაწლიან სკოლაში თითქმის არაფერი გააჩნიათ. არც ერთ შემოწმებულ სკოლაში არ არის ამწოვი კარადა, ხოლო აფენისა და ვარდისუბნის საშ. სკოლებში გამოყოფილი არა აქვთ საპრეპარატო, თუმცა ამის შესაძლებლობა არის. მიუხედავად სამინისტროს დავალებისა, რაიონის სკოლებში არ მოუხდენიათ კაბინეტების მატერიალური ბაზის აღრიცხვა და თვალსაჩინოების გადანაწილება იმ სკოლებზე, რომლებიც მის ნაკლებობას განიცდიან.

დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული გერმანული ენის სწავლება ლაგოდეხის რუსულ საშუალო სკოლაში, სადაც ამ საგანს ასწავლის საკმაო სტაჟის მქონე მასწავლებელი (ტ. შეველიაკოვა), რომელსაც დამთავრებული აქვს ვორონეჟის უცხო ენების ინსტიტუტი. ამ სკოლაში შექმნილია უცხოური ენის კაბინეტი, რომელშიც დამონტაჟებულია ლინგოფონური მოწყობილობა, მას მოეპოვება თითქმის ყველა საჭირო ხმოვანი თვალსაჩინო მასალა V—X კლასებისათვის და ხმოვანი მხატვრული ნაწარმოებები. მან IX კლასში მოსწავლეთათვის გასაგები და დამაჯერებელი ენით გადასცა გაკვეთილის თემა „ავსტრია“, რისთვისაც გამოიყენა რუკა გერმანულ ენაზე, ამ ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების ხედების ღია ბარათები და გაკვეთილის თემას დაუკავშირა ინსბრუკში ჩატარებული ოლიმპიური თამაშები. გაკვეთილი წარიმართა გერმანულ ენაზე, ხალისიანად, მოსწავლეთათვის საინტერესოდ და ეფექტური მეთოდით. ასევე, დამაკმაყოფილებლად მუშაობს ლაგოდეხის 1-ლი და მე-3 საშ. სკოლების გერმანული ენის მასწავლებელი ნ. ზაბაზოვი.

მიუხედავად იმისა, რომ ვარდისუბნის საშ. სკოლაში შექმნილი არაა გერმანული ენის კაბინეტი, აკლია სწავლების ტექნიკური საშუალებები, მასწავლებლები (ე. მჭედლიშვილი, ნ. საკნელაშვილი) დიდი ინტერესით, მონდომებით მუშაობენ საგნის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის და სასურველ შედეგსაც აღწევენ მოსწავლეთა მომზადების საქმეში.

ამ პედაგოგთა გვერდით 1-ელ საშ. სკოლაში მუშაობს მასწავლებელი (ლ. პიტიურაშვილი, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენის ფაკულტეტი 1956 წელს, შეიცვალა კვალიფიკაცია და ასწავლის გერმანულ ენას), რომელმაც მე-5 კლასში სათანადოდ ვერ ჩაატარა გაკვეთილი, კლასში ძირითადად საუბრობს მშობლიურ ენაზე, მოსწავლეებს ქართულად მიმართავს ისეთი სიტყვებითაც კი, როგორიცაა „ადექი“, „დაჯექი“, „დაწერე“, „შეხედე“ და სხვ.

შემოწმებულ სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არაა დაყენებული IV—VIII კლასებში ტექნიკური, საყოფაცხოვრებო შრომისა და IX—X კლასებში შრომითი პოლიტექნიკური პრაქტიკუმების სწავლება. სასწავლო სახელოსნოებისათვის გამოყოფილი არაა სათანადო ფართობის სათავსოები, ზოგან კი ივი შეუფერებელ ოთახებშია მოთავსებული. ზოგან გამოყოფილია საკმაო ფართობი, მაგრამ კეთილმოუწყობელია, ისინი შევსებული არაა საკმაო რაოდენობით ლითონისა და

მერქნის დასამუშავებელი ჩარხებით, დაზგებით, სამუშაო იარაღებით და მათში მოწყობილი არაა მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები. ლაგოდეხის მე-3 საშ. სკოლაში (დირექტორი გ. ლობჟანიძე) მოწყობილი არაა IV—VIII კლასების მოსწავლეთათვის ტექნიკური შრომის (მასწავლებელი კ. სივსივაძე, მუშაობს შეთავსებით), საყოფაცხოვრებო შრომის (მასწავლებელი რ. შუშტაკაშვილი, მუშაობს შეთავსებით) სასწავლო სახელოსნოები და IX—X კლასების მოსწავლეთათვის ავტოსაქმის შრომითი პოლიტექნიკური პრაქტიკუმის (მასწავლებელი ი. ბენიძე) სწავლებისათვის კაბინეტი; ლაგოდეხის 1-ელ საშ. სკოლაში (დირექტორი ა. სხირტლაძე) ტექნიკური შრომის სახელოსნოსათვის (მასწავლებელი კ. სივსივაძე) აგებულია ცალკე სათავსო და ამჟამად მიმდინარეობს მისი მოწყობა. საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტისათვის (მასწავლებელი რ. შუშტაკაშვილი) სასკოლო შენობის პირველ სართულში გამოყოფილია ერთი დაბალჭერიანი უხარისხო ოთახი, რომელიც სრულიად მოუწყობელია. მასში, ალაგია 11 ცალი ფეხის და 8 ცალი ხელის საკერავი მანქანა, რომელთაგან მხოლოდ ერთი მუშაობს და დანარჩენი ინახება ყოველგვარი წესრიგის გარეშე; მოუწყობელია საგამომჭრელო, საუთოო მაგიდა, მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები და არავითარი მოწყობილობა არ გააჩნია საკულინარო სამუშაოების შესასრულებლად. ნინიგორის საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. გობეჯიშვილი) ტექნიკური შრომის სახელოსნოსათვის (მასწავლებელი ვ. რიჟამაძე, დამთავრებული აქვს პედსასწავლებელი) სასკოლო შენობის სარდაფში გამოყოფილია ორი ოთახი, რომელიც კეთილმოუწყობელია. ასევე, სათანადოდ არაა მოწყობილი ვარდისუბნის საშ. სკოლაში (დირექტორი ა. ჩხეიძე) ტექნიკური შრომის სახელოსნო (მასწავლებელი ა. წიქარიშვილი, დამთავრებული აქვს პედსასწავლებელი) და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტი (მასწავლებელი ქ. მოლოდინაშვილი). ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ამ მხრივ აფენის საშ. სკოლაში (დირექტორი კ. სხირტლაძე, ტექნიკური შრომის მასწავლებელი ბ. ნადირაძე).

რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უმრავლესობას მეტად სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს IX და X კლასებში შრომითი პოლიტექნიკური პრაქტიკუმების ჩატარებისათვის. სასწავლო სახელოსნოები და კაბინეტები მინიმალურადაც ვერ უპასუხებენ იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რომლებსაც ითვალისწინებენ მოქმედი სასწავლო პროგრამები.

„სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ არსებული დადგენილების შესაბამისად, ვარდისუბნის საშ. სკოლის (დირექტორი [illegible]ძე) IX—X კლასებში 1972—1973 სასწავლო წლიდან შემოღებულია ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და აგროტექნიკის საფუძვლების სწავლება. ამავე დადგენილებით სკოლას ერთი ტრაქტორი გადასცა საქ. სსრ განათლების სამინისტრომ და მეორე—შეფმა ორგანიზაციამ. სკოლაში აგებულია ორი ტრაქტორის სადგომი, გარაჟი და მოწყობილია თეორიული სწავლების კაბინეტი, რომელიც შევსებულია საჭირო თვალსაჩინო მასალებით. ამ სკოლის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მასწავლებელთა ნაყოფიერი მუშაობის შედეგად 1974—1975 სასწავლო წელს კურსდამთავრებულ 53 მოსწავლიდან 5 წარმატებით მუშაობს ტრაქტორისტად ამავე სოფლის მ. გორკის სახ. კოლმეურნეობის მექანიზებულ კომპლექსურ ფერმაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 4 სექტემბრის № 567 დადგენილების „სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისად, აფენის საშ. სკოლის (დირექტორი კ. სხირტლაძე) IX და X კლასებში შემოღებულია მძღოლ-მოყვარულის მომზადება (თეორიის მასწავლებელი გ. გამეზარდაშვილი, ავტომობილის ტარების საწარმოო სწავლების ოსტატები კ. ნადირაძე, ზ. აბრამიშვილი), სადაც მოწყობილი არაა ავტოსაქმის თეორიული სწავლების კაბინეტი, საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნო და ორი ავტომანქანის სადგომი გარაჟი ტექნიკური მომსახურების პუნქტით, შერჩეული არაა და მოუწყობელია მანეჟი მოსწავლეთა მიერ ავტომობილის პრაქტიკული ტარებისათვის. რიგი შემოწმებული სკოლების IV—X კლასების ტექნიკური შრომის, საყოფაცხოვრებო შრომის, შრომითი პოლიტექნიკური პრაქტიკუმების, ტრაქტორების, სასოფლო-საეურნეო მანქანების, ავტოსაქმის თეორიისა და ტარების ინსტრუქტორ-მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადოდ ვერ ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდს, არ სარგებლობს საჭირო დამხმარე ლიტერატურით, სუსტად ემზადება გაკვეთილებისათვის, სწავლებაში ნაკლებად იყენებს თვალსაჩინოებას, დაბალ დონეზე ატარებს თეორიულ გაკვეთილებს და მოსწავლეთა ლაბორატორიულ-პრაქტიკულ სამუშაოებს. ასე, მაგალითად, ლავოდეხის

1-ლი და მე-3 საშ. სკოლების საყოფაცხოვრებო შრომის მასწავლებელი (რ. შუშტაკაშვილი), რომელსაც დამთავრებული აქვს [illegible]ნიკური სასწავლებელი, გულდასმით არ ემზადება გაკვეთილისათვის, მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობისათვის, სწავლებაში არ იყენებს თვალსაჩინოებას და მოუწყობელი აქვს საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტი.

მან 1-ლი საშ. სკოლის VII კლასის გოგონებთან სრულიად მოუმზადებლად, ძალიან მოკლე დროში მოახდინა პრაქტიკული მუშაობის—„კაბის ზომების აღება, მათი ჩაწერა, ნახაზის აგება და თარგის დამზადების“ გადაცემა, რის შედეგად მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა მიეცათ აღნიშნულ საკითხებზე, გაუძნელდათ პრაქტიკული სამუშაოს შესრულება და ვერ მოახერხეს საკლასო ოთახში მერხებზე ნახაზის აგება. ასევე, მოუმზადებლად და დაბალ აკადემიურ დონეზე ჩაატარა მან გაკვეთილი ამავე სკოლის VIII კლასის გოგონებთან. აღსანიშნავია, რომ მოსწავლე გოგონებს გაკვეთილზე არ ჰქონდათ წინსაფრები, სამუშაო პარკი ქსოვილების დასამუშავებელი იარაღებით, სამასშტაბო სახაზავი და თვით მასწავლებელიც უხალათოდ ატარებდა მოსწავლეებთან პრაქტიკულ სამუშაოებს.

შემოწმებით გამოირკვა, რომ რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის თვალსაზრისით, ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ ნაკლი ჯერ კიდევ ბევრია, რაც სახალხო განათლების რაიონული განყოფილებისაგან, პედაგოგიური კოლექტივებისაგან, რაიონული მეთოდკაბინეტისა და პიონერთა სახლის მუშაკებისაგან მოითხოვს გადამწყვეტი, ქმედითი ზომების მიღებას.

სკოლების საერთო მატერიალური ბაზა, რომელიც, რაიონული ხელმძღვანელობის ენერგიული მთქმედების შედეგად, დღითიდღე იზრდება, საშუალებას იძლევა შესაძლებლობისდაგვარად გვქონდეს უკეთესი სურათი ამ მიმართებით, ვიდრე შემოწმების დროს აღმოჩნდა.

ჭეშმარიტი პატრიოტის, მოქალაქის ჩამოყალიბება სასწავლო პროცესის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ჰარმონიული და მეთოდურად სწორად წარმართვის შედეგია. ამ პროცესს სჭირდება მართვის სწორი ორგანიზაცია, რაც ხშირ შემთხვევაში დარღვეულია. ლაგოდეხის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განათლების განყოფილების მიერ დაყვანილი არ არის განათლების სამინისტროს ზოგიერთი მნიშვნელოვანი დადგენილება თუ

ბრძანება, როგორიცაა: „თბილისში, გამარჯვების პარკში ლენინის მემორიალის გახსნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მიერ აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“; „განათლების ორგანოების, სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების შესახებ თბილისში ხალხთა მეგობრობის მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით“, თხზულებათა შემოქმედებითი კონკურსი „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“ და საკავშირო დათვალიერების — „კომუნისტებისაგან ვიღებთ მაგალითს“ „რესპუბლიკის სკოლებში გამომეტყველებითი კითხვის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების შესახებ“ და სხვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთ სკოლაში ფუნქციები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილისა და კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორს შორის განაწილებულია არასწორად, ეს იმის მაჩვენებელია, რომ სკოლის დირექცია ცუდად იცნობს დებულების ძირითად პრინციპებს.

სკოლაში იდეურ-ზნეობრივი აღზრდის ყველა უბანი, რომელიც ორგანიზატორის მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ობიექტია, მოითხოვს სწორ გეგმიანობას, ჩატარებული მუშაობის ფიქსაცია-აღრიცხვიანობას.

ლაგოდეხის 1-ელ საშ. სკოლაში განათლების სამინისტროსადმი გაგზავნილ ცნობებში არაფერია ნაჩვენები საგნობრივი წრეების არსებობაზე, თუმცა ასეთი წრეები მუშაობენ და ზოგიერთი მათგანი კარგადაც.

ლაგოდეხის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საგნობრივი თუ ესთეტიკური ციკლის წრეების სამუშაო გეგმები ხშირ შემთხვევაში ფორმალური, მეთოდურად გაუმართავია, რაც, რასაკვირველია, აფერხებს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საქმეს.

პროფესიული ორიენტაციის საკითხის უკეთ გადაწყვეტის თვალსაზრისით საჭიროა სკოლებმა მიიღონ არა მხოლოდ მატერიალური დახმარება საშეფო ორგანიზაციებისაგან, არამედ დაამკვიდრონ ურთიერთობის ის მრავალი ფორმა, რაც კარგა ხანია ცხოვრების მიერაა ნაკარნახევი.

სკოლების პიონერულ და კომკავშირულ აქტივებთან გასაუბრებამ, მათი მუშაობის შემოწმებამ აშკარად გვიჩვენა იდეურ-ზნეობრივი აღზრდის ზოგიერთი საკითხის დაბალი დონე.

პიონერები სუსტად ერკვევიან ახალი საკავშირო მარშის („კომუნისტებისაგან ვილებთ მაგალითს“) მარშრუტების არსსა და მუშაობის ფორმებში. ნაკლებად ჩანს შემოქმედებითი ძიებისადმი სწრაფვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაგოდეხის 1-ელ საშ. სკოლაში შემოქმედებითი კონკურსის შესახებ მხოლოდ სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა იცოდა. გოგონა ფრიად ნაკითხი და ბეჯითიც ჩანს, მაგრამ დირექციისა და მშობლიური ლიტერატურის მასწავლებელთა არასწორმა კურსმა ერთეულთა გამორჩევამ, შეიძლება ეგოიზმისაკენ, ამხანაგთა ათვალწუნებისაკენ უბიძგოს მოზარდს. ამგვარი დათვალიერება-კონკურსები ითვალისწინებენ ფართო მოსამზადებელ, პროპაგანდისტულ-ორგანიზაციულ მუშაობას თითქმის მთელი სასწავლო წლის მანძილზე, რაც ლაგოდეხის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფარატინა ქაღალდითაც არ გამოიხატება.

სოფ. ნინიგორის საშ. სკოლის X კლასებს დასაწერად მიეცათ ორი თემა: „ეპოქის მხარდამხარ“ და „ფიქრები მომავალზე“ (მასწავლებელი თამარ ფოფხაძე). საკონტროლო წერას 20 მოსწავლიდან ესწრებოდა 12. ყველამ აირჩია მეორე თემა. აღმოჩნდა, რომ მასწავლებელს მხოლოდ თერთმეტმა ჩააბარა ნამუშევარი. შედეგები სავალალო და დამაფიქრებელია. თითქმის ნახევარგვერდიან ნაწერებში ჩანს მოსწავლეთა სრული უვიცობა, იდეურ-პოლიტიკური ცოდნისა და ესთეტიკური გემოვნების საოცრად დაბალი დონე. კომისიამ ყველა ნამუშევარი შეაფასა ნიშანზე „2„ (ცუდი). მოსწავლეებს არ ესმით თავისი ეპოქის მაჯისცემა; მათი ოცნებები მომავალზე მხოლოდ საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი ადამიანის ნააზრევია. ისინი არ ფიქრობენ მშობლიური სოფლის, რაიონის, რესპუბლიკისა თუ საბჭოთა ქვეყნის დიად მომავალზე. მათ არ იციან, სად უნდა დადგნენ და რით ემსახურონ სოციალისტურ სამშობლოს. ლექსიკური სიღარიბე, ენობრივი თვალსაზრისით ყოვლად გაუმართავი ფრაზები, არც ერთი მაგლითი ლიტერატურული თუ ისტორიული ხასიათისა—ნათლად მეტყველებს არა მარტო მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მემკვიდრეობით ცუდ მუშაობაზე, არამედ მთელი სკოლის პედაგოგიური კოლექტივის, პარტიული და პროფკავშირული, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების მოდუნებაზე, შრომითი დისციპლინის დარღვევაზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა თუ ბრძანებათა ძირეული პრინციპების უგულებელყოფაზე.

ამავე სკოლაში სუსტადაა წარმართული პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა მოსწავლეთა კომუნისტურად აღზრდის თითქმის არსებითი მიმართულებით. ნინიგორის საშ. სკოლის ორგანიზატორი (მალვა რეხვიაშვილი) ფრიად სუსტად ერკვევა თავის ფუნქციებში, შეიძლება ითქვას, იგი უაღრესად დაბალი ცოდნის პედაგოგია, ცუდად იცნობს თანამედროვე სკოლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და მასზე დაკისრებული ამგვარი საპასუხისმგებლო მოვალეობა აბსოლუტური ფორმალიზმის ხასიათს ატარებს.

ლაგოდეხის რაიონში დიდი შესაძლებლობაა მოსწავლე ახალგაზრდობის საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღმზრდისათვის. ზოგადსაგანმანათლებლო ქართული სკოლების გვერდით მოქმედებს რამდენიმე რუსული და ოსური სკოლაც, არის ქართულ-რუსული სექტორების მქონე სკოლებიც. ამ მიმართებით რაიონის პიონერთა სახლისა და მეთოდკაბინეტის საქმიანი დახმარება უფრო ქმედითი უნდა იყოს.

მოსწავლეთა ათეისტური აღზრდის მხრივ რაიონის სკოლებში ჯერ კიდევ არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი მასწავლებელი ჯეროვნად არ იყენებს მდიდარ პროგრამულ მასალას, რათა მეცნიერულ საფუძველზე ახსნას თანამედროვე პირობებში ჯერ კიდევ შენარჩუნებული მავნე ტრადიციებისა და ადათ-წესების სოციალური, პოლიტიკური თუ რელიგიური რეალიები; გაძლიერებისა და მორგების ფაქტორები (მაგალითისათვის საკმარისი იქნებოდა მოგვეყვანა ლაგოდეხის I და III, ნინიგორის საშ. სკოლებში მოსმენილი მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები). ხშირ შემთხვევაში თანამედროვეობის პრობლემების დაკავშირება ასახსნელ საგაკვეთილო თემასთან არაბუნებრივად გამოიყურებოდა, საინტერესო გამონაკლისს წარმოადგენდა I საშ. სკოლის პედაგოგის, მაყვალა დვალის მიერ ჩატარებული გაკვეთილები (IV და X კლასებში).

კრიტიკული გადახედვა სჭირდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედსაბჭოსა და კლასის ხელმძღვანელთა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმებს. პედსაბჭოს სხდომებზე ზოგიერთ სკოლაში ისმენენ მხოლოდ მეოთხედურ შედეგებს. იშვიათად არის განხილული მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ და რევოლუციურ, საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე აღზრდის აქტუალური პრობლემები, კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო

ეროვნული

გეგმებში შეიმჩნევა ერთფეროვნება, კონკრეტული, ობიექტური პირობების ხშირად უგულებელყოფა.

შემოწმებული სკოლების უმრავლესობაში მუშაობს მოსწავლეთა საგნობრივი წრეები, რომელთა საქმიანობას გარკვეულ ხელმძღვანელობას უწევენ სათანადო საგნების გამოცდილი მასწავლებლები. ნაყოფიერ მუშაობას ატარებენ ვარდისუბნისა (ხელმძღვანელი დ. ნოზაძე) და აფენის (ხელმძღვანელი ნ. მამუკელაშვილი) საშუალო სკოლების გეოგრაფიის წრის წევრები. ამ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით მოსწავლეებს შეგროვილი აქვთ საინტერესო ტოპონიმური მასალა, რაც წარდგენილი იქნება მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე.

მოსწავლეთათვის საინტერესო და ნაყოფიერ მუშაობას ატარებს ლაგოდეხის რუსული საშ. სკოლის გერმანული ენის საგნობრივი წრე (ხელმძღვანელი ტ. შეველიაკოვა). ამ წრის მიერ მოსწავლეთა ძალებით გერმანულ ენაზე გამოშვებულია კედლის გაზეთი, შედგენილია ალბომები, ფოტოსტენდები და სხვ.

მიუხედავად ამისა, შემოწმებულ სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. ზოგჯერ სკოლებში შექმნილია საგნობრივი წრეები, მაგრამ ისინი ფორმალურ ხასიათს ატარებენ. ღარიბია საწრეო მუშაობის თემატიკა. წრეების სამუშაო გეგმებში უმეტესად შეტანილია საპროგრამო საკითხები იმ მოცულობით, როგორც ეს სტაბილურ სახელმძღვანელოშია მოცემული. ასევე, წრეობრივი მუშაობის გეგმებში გათვალისწინებული არ არ არის პრაქტიკული ხასიათის საკითხები, რთულ ამოცანებსა და მაგალითებზე ვარჯიში, თვითნაკეთი ხელსაწყოებისა და მოქმედი მოდელების დამზადება და სხვ.

მათემატიკაში საგნობრივი წრეები შექმნილი არაა ნინიგორის, ვარდისუბნის (IV-VII კლასები) საშუალო და გურგენიანის რვაწლიან სკოლებში.

ზოგ შემთხვევაში წრეები დაკომპლექტებულია არასწორად. ვარდისუბნის, აფენის, ლაგოდეხის 1-ელ საშ. სკოლებში შექმნილია თითო წრე, რომელშიც გაერთიანებულია VI-X კლასების მოსწავლეები. გურგენიანის რვაწლიან სკოლაში ფიზიკისა და მათემატიკის წრეები გაერთიანებულია.

ვარდისუბნის საშ. სკოლაში ლიტერატურის წრეს ხელმძღვანელობს დამწყები მასწავლებელი ე. ნოზაძე. იგი გამოცდილი მასწავლებელია, აქვს საინტერესო ჩანაფიქრი, მაგრამ, როგორ განახორცი-

ელოს, მისთვის ჯერ კიდევ ბუნდოვანია; მას უჭირს წრის მუშაობი-სათვის საჭირო საკითხების შერჩევა და მისი განხორციელება სათანადო ფორმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრეობრივი მუშაობა მათემატიკაში ჩაშლილია ნინიგორის საშ. სკოლაში, სადაც,მრავალგზის მოთხოვნის მიუხედავად, ვერ წარმოადგინეს წრეობრივი მუშაობის მასალები.

შეუსაბამობას აქვს ადგილი წრეობრივი მუშაობის გარეგნულ მხარესა და შინაარსს შორის აფენის საშ. სკოლაში. აქ ემჩნევა, რომ მასწავლებლები ნ. ყავლაშვილი და ც. კურტანიძე მონდომებით უძღვებიან წრეობრივ მუშაობას, მაგრამ სათანადოდ ვერ აფორმებენ მას.

ნორჩ ქიმიკოსთა წრეების სამუშაო გეგმები არ ითვალისწინებს მოსწავლეთათვის საინტერესო პრაქტიკულ საკითხებს. უფრო ხშირად პროგრამული საკითხები არის გათვალისწინებული. წრეები არ არის დაყოფილი სექციებად და დიფერენციური გეგმით არ ტარდება მუშაობა. მოსწავლეები არ არიან ჩაბმული სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ საცდელ სამუშაოებში.

ნაკლები ყურადღება ექცევა სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის ისეთი სახეების, როგორიცაა „ტყის დღე," „ფრინველის დღე" ჩატარებას, ბრძოლას სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ, საერთოდ, ბუნების დაცვისადმი ბრძოლასა და სხვ.

რაიონის შესწავლილ სკოლებში სათანადოდ არ არის გაგებული ფაკულტატიური მეცადინეობის არსი. ამ მიზნისათვის განკუთვნილი საათები ზოგჯერ დანიშნულების მიხედვით არაა გამოყენებული. ჯერ-ჯერობით, შემოწმებულ სკოლებს ფაკულტატიური მეცადინეობისათვის არც საჭირო ბაზა აქვთ, არც მოსწავლეები ჰყავთ, რომლებიც განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენენ ამა თუ იმ საგნის უფრო ღრმად შესწავლისათვის და არ ჰყავთ არც სათანადო კვალიფიციური მასწავლებელი.

შემოწმებულ სკოლებში ფაკულტატიური მეცადინეობისათვის განკუთვნილი საათები განაწილებულია ცალკეულ საგნებზე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური წერილის შესაბამისად, მაგრამ ზოგჯერ ადგილი აქვს დარღვევას: ლაგოდეხის 1-ლი საშ. სკოლის VII კლასის ცხრილში გეოგრაფია შეტანილია 2 საათი ერთად (დაწყვილებულად), ხოლო ლაგოდეხის მე-3 საშ. სკოლის VII კლასში (მასწავლებელი ქ. ზურიკაშვილი) ფაკულტატიური მეცადინეობიდან

გეოგრაფიაზე გადაცემული ერთი საათი ყოველგვარი სისტემის გარეშე გამოყენებულ იქნა V და VI კლასების კურსიდან შემაჯამებელ ცდილობის ჩასატარებლად, რამაც გამოიწვია VII კლასში (შემაჯამებელი ცდისათვის) საპროგრამო მასალის გავლაში 22 საათი ჩამორჩენა.

ერთგვარი ხარვეზები შეინიშნება მასწავლებელთა შორის მეთოდურ მუშაობაში.

ზოგ სკოლაში, გარკვეული საგნის მასწავლებელთა სიმცირის გამო, არ არის შექმნილი მეთოდგაერთიანება და ასეთი მასწავლებელი სხვაგანაც არ არის გაერთიანებული.

მეთოდგაერთიანებათა სამუშაო გეგმებში თითქმის ვერ ვხდებით ღია გაკვეთილებს, მასწავლებელთა ურთიერთდასწრებას ან ახალი სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების განხილვის შემთხვევებს.

სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებებში აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ მათში გაერთიანებული პერიფერიული სკოლების მასწავლებლები, ისინი იშვიათად გამოდიან მოხსენებით.

სათანადო დახმარებას ვერ უწევენ ქიმიის მასწავლებლებს სკოლებში შექმნილი მეთოდური გაერთიანებები. თითქმის ყველგან გეგმიური საკითხები დამაკმაყოფილებლად არის შერჩეული, მაგრამ წაკითხული მოხსენებები დაბალი ხარისხისაა. სამუშაო გეგმებში ნაკლებად ითვალისწინებენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ქიმიური ექსპერიმენტის ჩატარების მეთოდიკა, საყურადღებო მეთოდური სტატიების განხილვა, კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაცია და სხვ. ნაკლები ყურადღება ექცევა მასწავლებელთა მიერ თვითგანათლების პროგრამის შესრულებას.

ნაკლოვანებები შეინიშნება შემოწმებული სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა სასკოლო და სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებათა მუშაობაში. მათ სამუშაო გეგმებში მცირე რაოდენობითაა გათვალისწინებული საკითხები. ზოგჯერ ის გადატვირთულია მხოლოდ თეორიული საკითხებით და ნაკლებადაა მათში გათვალისწინებული მეთოდური ხასიათის მოხსენებები.

ლაგოდეხის მე-3 (ხელმძღვანელი ც. ყარალაშვილი), ნინიგორის (ხელმძღვანელი შ. ფოჩხიძე), ვარდისუბნის (ხელმძღვანელი ც. გულმაგარაშვილი) და აფენის (ხელმძღვანელი ა. შუბითიძე) საშუალო სკოლების მათემატიკის მეთოდგაერთიანებათა სხდომებზე განხილულია მხოლოდ თითო საკითხი, წაკითხულ მოხსენებებს არ ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია, მათზე ხელს არ აწერენ ავტორები და არ არის დათარიღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნებით კარგად აღჭურვილი ბიბლიოთეკა გააჩნია აფენის სკოლას, სადაც ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ბიბლიოთეკამ მასზე დაკისრებული მოვალეობა დამაკმაყოფილებლად შეასრულოს.

ბიბლიოთეკისათვის ორი საკმაო ფართობის ნათელი ოთახია გამოყოფილი ვარდისუბნის საშუალო სკოლაში, აქ სამი ათასზე მეტი წიგნი ინახება.

დანარჩენ შემოწმებულ სკოლებში წიგნადი ფონდიც ღარიბია და არც მუშაობის ნორმალური პირობები გააჩნიათ.

ბიბლიოთეკები ატარებენ ღონისძიებებს, მაგრამ იმის გამო, რომ ვერ სარგებლობენ სკოლის დირექტორებისა და მასწავლებელთა მხარდაჭერით, მუშაობაში გააჩნიათ ნაკლოვანებანი.

შემოწმებულ სკოლებს აშკარად აკლია მეთოდიკური, ტექნიკური ხასიათის ლიტერატურა, არ არის ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული, ქართულ-რუსული, რუსულ-ქართული, უცხო სიტყვებისა და სხვ. ლექსიკონები. შემოწმების პერიოდში რაიონში მიღებული იყო პროფ. მ. თალაკვაძის „ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა“. როგორც განათლების განყოფილების მუშაკებმა განაცხადეს, წიგნები განაწილებულ იქნა სკოლებზე, მაგრამ იგი სასკოლო ბიბლიოთეკებში არ აღმოჩნდა.

პედაგოგიური თვალსაზრისით არასწორადაა შედგენილი გაკვეთილების ცხრილი ლაგოდეხის 1-ელ, ლაგოდეხის მე-3, ნინიგორის, ვარდისუბნისა და აფენის საშუალო სკოლებში. ხშირ შემთხვევებში დღეები გადატვირთულია ძნელად ასათვისებელი საგნებითა და ზოგჯერ ეს საგნები ცხრილში მეხუთე-მეექვსე გაკვეთილებზეა მოქცეული. მონათესავე საგნები ცხრილში ერთმანეთის მოყოლებითაა შეტანილი, დაწყებით კლასებში საგნები შეტანილია გაწყვილებულ გაკვეთილებად, მოქმედი სასწავლო გეგმიდან ზოგჯერ სწორად არაა გადატანილი ზოგიერთი საგნის დასახელება, ექსპერიმენტულ საგნებში (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) ყოველი გაკვეთილი კაბინეტში არ ტარდება (მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური დატვირთვა არ აღემატება 6 საათს). ზოგჯერ დაცული არაა ცხრილის ფორმა, ადგილი აქვს საგნების გადაშლის შემთხვევებს, ჩაწერილი არაა საგნების მასწავლებლების გვარები, ზოგჯერაც იწერება გაუმართავი კალიგრაფიით და ცხრილები ჩასმულია უგემოვნოდ დამზადებულ ჩარჩოებში.

ზოგიერთ შემოწმებულ სკოლაში უხარისხოდ არის შედგენილი კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმები. ისინი ერთფეროვანია,

ფორმალურად დგება, იმის გაუთვალისწინებლად, თუ რომელ და როგორ კლასთან უხდება მუშაობა მის შემდგენელს. როგორც გამოირკვა, სკოლის დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში გულდასმით არ იხილავენ კლასის ხელმძღვანელთა გეგმებს და არ აძლევენ მათ სათანადო მითითებებს.

გეგმებში, ხშირად, დაწყებითი კლასების თემატიკა თითქმის ისეთივეა, როგორც პიონერული და კომკავშირული კლასებისა. ზოგჯერ გათვალისწინებული არ არის შრომითი აღზრდის, პროფესიული ორიენტაციის, პიონერებთან, კომკავშირლებთან და მშობელთა შორის მუშაობის საკითხები.

შემოწმებულ სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არაა დაყენებული საკლასო ჟურნალების წარმოება. ზოგჯერ ჟურნალები მოუვლელია, ჩანაწერები უსუფთაოა, რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს მიმდინარე შეფასების ნიშნების გადასწორებას. ჟურნალში ყოველთვის სრულად არ იწერება დამუშავებული მასალა, დავალებად მიცემული ამოცანებისა და მაგალითების ნომრები, ჩატარებული საკონტროლო წერის თემები და ნიშნები, შეტანილი არაა მოსწავლეთა მიერ ჩატარებული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა; ხშირად, მიმდინარე შეფასების საფუძველზე სწორად არაა გამოყვანილი მეოთხედური შეფასება, ზოგჯერ არ ჯამდება მოსწავლეთა გამოტოვებული გაკვეთილები და სხვ.

შემოწმებულ სკოლებში მოსწავლეთა პირადი საქმეები ძირითადად წესრიგშია. ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოსწავლეთა დახასიათება იწერება ძალიან მოკლედ და მასში არ ჩანს ასაკობრივი თავისებურებებით გამოწვეული ცვლილებები. ზოგჯერ მოსწავლეთა პირად საქმეში არ დევს ზოგიერთი აუცილებელი საბუთი და ცნობები შეტანილია ცუდი კალიგრაფიით.

ლაგოდეხის რაიონის შესწავლილ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა წინასწარ მოფიქრებული და სათანადო მოთხოვნათა მიხედვით შედგენილი სკოლის წლიური, პედაგოგიური საბჭოს, მშობელთა კომიტეტის, კლასის ხელმძღვანელთა, პიონერხელმძღვანელთა ნახევარწლიური, სასკოლო და სხვა სამუშაო გეგმების მიხედვით მიმდინარეობს.

დამაკმაყოფილებლად არის შედგენილი აფენის საშ. სკოლის (დირექტორი კ. სხირტლაძე) წლიური და პედაგოგიური საბჭოს

ნახევარწლიური სამუშაო გეგმები. ასევე, დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას ტოვებს ამ სკოლაში ჩატარებული პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები და ბრძანებათა წიგნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, ამასთან, სასკოლო მუშაობის დაგეგმვაში შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებანი. არაიშვიათად, გეგმებს აკლია ოპერატიულობა, მიზანსწრაფულობა. ზოგჯერ, სკოლისა და პედაგოგიური საბჭოების გეგმების განხილვისას ისეთ დასკვნამდე მივდივართ, რომ სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ან ფორმალურად მოეკიდა მათ განხილვას, ან, რაც არანაკლებ ცუდია, კვალიფიციურად, შემოქმედებითად ვერ განიხილა მათი საქმიანობა, ვერ ჩაწვდა მათი მუშაობის არსს. ასე, მაგალითად, ზოგიერთი სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმში სასწავლო წლის მეორე მეოთხედში ჩატარებული მუშაობის განხილვისას, მთავარი ყურადღება სტატისტიკურ მონაცემებს ეთმობა, მაგრამ რა მუშაობა ჩატარდა ან უნდა ტარდებოდეს ამ რიცხვების იქით მდგომ ცოცხალ ადამიანებთან, ამის შესახებ ნაკლებად არის მსჯელობა.

შემოწმებული სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში და ცალკეული საგნების სწავლებაში გამოვლინებული სერიოზული ნაკლოვანებები, პირველყოვლისა, იმითაა გამოწვეული, რომ სკოლების ერთ ნაწილში სუსტადაა დაყენებული შინასასკოლო კონტროლი, ხელმძღვანელობა და იშვიათად წარმოებს მასწავლებელთა შორის გამოცდილების გაზიარება-განზოგადება. სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში საფუძვლიანად არ იცნობენ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს, ქმედით დახმარებასა და კონტროლს არ უწევენ მასწავლებლებს, კლასის ხელმძღვანელებს მუშაობაში, არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას, მცირე რაოდენობით ისმენენ გაკვეთილებს, კმაყოფილდებიან მხოლოდ მოსმენილი გაკვეთილების მსვლელობის ჩაწერით, არ ახდენენ მოსმენილი გაკვეთილების გაანალიზებას, ღრმად ვერ წვდებიან მასწავლებლის მუშაობის შინაარსს, არ აძლევენ მათ საჭირო მითითებებს საგნის სწავლების მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის და ზოგჯერ მასწავლებლებს არასწორ მეთოდურ მითითებებსაც აძლევენ. ასე, მაგალითად, ნინიგორის საშ. სკოლის დირექტორს (ი. გობეჯიშვილს) შემოწმების დღისათვის (11. 02. 76 წ.) მოსმენილი ჰქონდა 12 გაკვეთილი და ანალიზიც სუსტია, აფენის საშ. სკოლის დირექტორს (კ. სხირტლაძეს) მოსმენილი აქვს 19 გაკვეთილი, მათგან

გაფორმებული აქვს 11, ამავე სკოლის დირექტორის მოადგილეს სას-წავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში (ა. ასანიძეს) მოსმენილი აქვს 36 გაკვეთილი, ლაგოდეხის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორს (ა. სხირტლაძეს) მოსმენილი აქვს 47 გაკვეთილი, გაფორმებული ჰქონდა მხოლოდ 8 და სხვ.

ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილება (გამგე მ. ჯინჭარაძე) და მისი პედაგოგიური კაბინეტი (გამგე ზ. სულაძე) დაკომპლექტებულია სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე კვალიფიციური მუშაკებით, რომლებიც ძირითადად სწორად ხელმძღვანელობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითსა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას. განათლების განყოფილება მუშაობს კვარტალური სამუშაო გეგმის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის მიერ. გეგმებში გათვალისწინებულია აქტუალური საკითხები, რომელთაგან ზოგიერთი საჭიროების მიხედვით თვეში ან კვარტალში ორჯერ იხილება რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე.

განათლების განყოფილება რეგულარულად ამოწმებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას. გასულ 1974-75 სასწავლო წელს განათლების გაყოფილებისა და მისი პედაგოგიური კაბინეტის მიერ კომპლექსურად ან თემატურად შესწავლილია თითქმის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. განყოფილებას მიმდინარე 1976 წლის პირველი კვარტალის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული აქვს მთელი რიგი აქტუალური საკითხების შესწავლა.

ამასთან ერთად, განყოფილებას აქვს სახალხო განათლების საბჭოს I კვარტალის სამუშაო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია 4 საკითხის მომზადება.

გარდა ამისა, განყოფილებას ცალკე აქვს მოსწავლეთა შორის უზედამხედველობისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ გამაფრთხილებელი და პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა გეგმა და მეთოდურ კაბინეტს-თავისი ნახევარწლიური სამუშაო გეგმა. შესასრულებელი საკითხები ძირითადად სწორად არის შერჩეული.

განათლების განყოფილებისა და მეთოდური კაბინეტის მუშაკთა მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათები შესწავლილი საკითხების შესახებ დამაკმაყოფილებელ წარმოდგენას იძლევა. დასახული ღონის-

ძიებანიც საქმიანია, მაგრამ განათლების განყოფილება ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას არ უთმობს მიღებული დადგენილების შესრულებას, მოწინავე მუშაკთა გამოცდილების განზოგადებასა და შემჩნეულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ საჭირო ღონისძიებათა გატარებას.

რაიონის მეთოდური კაბინეტი (გამგე ზ. სულაძე) მუშაობს ნახევარწლიური სამუშაო გეგმის მიხედვით, რომელიც მტკიცდება განათლების განყოფილების გამგის მიერ. კაბინეტთან შექმნილია საგნობრივი სექციები და მეთოდური გაერთიანებები, რომელთა ხელმძღვანელებად შერჩეულია გამოცდილი და მოწინავე მასწავლებლები.

მეთოდურ კაბინეტს, სექციების ხელმძღვანელებს შედგენილი აქვთ სამუშაო გეგმები, რომლებშიაც გათვალისწინებულია აქტუალური საკითხები. კაბინეტის მიერ ჩატარებულია რაიონის ახალგაზრდა მასწავლებლებთან გამოცდილი, მოწინავე მასწავლებლების შეხვედრა, ცალკეული კლასების ხელმძღვანელთა რაიონული მეთოდური (თათბირები), სადაც განზოგადებულ იქნა მათი მუშაობის შემოწმების შედეგები და სხვ.

განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტი სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებელთა შორის მეთოდურ მუშაობას. ნაკლოვანებანი, რომელნიც ამ დარგში სკოლებში შეინიშნება, მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია ამ მიზეზითაც.

ბრიგადის აზრით, განათლების განყოფილებამ და მისმა პედაგოგიურმა კაბინეტმა ფართო შემოქმედებითი მუშაობა უნდა გააჩაღონ რაიონის სკოლების საქმიანობაში შემჩნეულ ზემოხსენებულ და სხვა მსგავს ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ და უზრუნველყონ მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულება.

ცალკეული სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგებზე ყოველ შესწავლილ სკოლაში ჩატარდა პედაგოგიური საბჭოს სხდომა; ამავე მიზნით, მოწვეულ იქნა მთელი რაიონის სკოლების დირექტორების (გამგეების) თათბირი, სადაც განხილულ იქნა ბრიგადის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
სკოლების სამმართველოს ბ რ ი გ ა დ ა:

ნ. გიორგობიანი, მ. დევდარიანი, ს. ლომსიანიძე, მ. ოჩიგავა, ს. ტონია (ხელმძღვანელი), ე. ქურციკიძე, ი. უგულავა, ლ. გოლოძე, კ. ფროლოვი, მ. კორკოტაშვილი, შ. ჯინჭარაძე, ზ. სულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 30 აპრილის ბრძანება № 429

### 1975 წლის 1 დეკემბერს საგარეჯოს რაიონში მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შესახებ

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკური კომისიის 1976 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში (ოქმი № 32) აღნიშნულია, რომ საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, საწარმოო სწავლების ოსტატი ტ. ელისაშვილი ვაზ-2101 ტიპის № 98-35 გარ საკუთარი ავტომანქანით, რომელსაც თვითონ მართავდა, ლენინის ქუჩიდან კახეთის გზატკეცილის მიმართულებით მოძრაობისას რუსთაველის № 228 სახლთან, მარცხენა მოსახვევიდან გამოსვლისას, გადავიდა მარჯვენა ტროტუარზე, დაეჯახა ელექტროგანათების ბოძს, წააქცია სამი ძირი ნაძვის ხე, შეიჭრა კახეთის გზატკეცილის მიმართულებით ტროტუარზე მასწავლებლის თანხლებით მიმავალ საგარეჯოს 1-ლი საშუალო სკოლის Xბ კლასის მოსწავლეთა ჯგუფში.

ამ მძიმე საგზაო შემთხვევის შედეგად 1 მოსწავლე გარდაიცვალა, თორმეტმა ბავშვმა, მანქანის მძღოლმა და მგზავრმა სხეულის დაზიანება მიიღო. დაზარალებულნი გადაყვანილ იქნენ საგარეჯოს საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად.

კომისიამ, რომელმაც შეისწავლა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის წარმოშობის მიზეზები, დაადგინა, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ მძღოლის მიერ ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად. შემთხვევის ადგილას დაკიდებულია სიჩქარის ამკრძალავი ნიშანი 40 კმ/სთ, ამას გარდა, ავტომანქანაზე აღნიშნულია ნიშანი 60 კმ/სთ. მიუხედა-

ვად ამისა, დადგინდა, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დრო მანქანა მოძრაობდა 85 კმ/სთ სიჩქარით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. გ. ელისაშვილმა 1974 წელს დაამთავრა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 7 მაისის № 609/კ ბრძანებით დანიშნულ იქნა საგარეჯოს რაიონის ხაშმის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. სკოლაში მუშაობდა 1975 წლის 21 იანვრამდე. 1975 წლის 24 იანვრიდან, თავისი განცხადების საფუძველზე, საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების № 5/კ ბრძანებით ის გადაყვანილ იქნა კაკაბეთის საშუალო სკოლაში, კაკაბეთის სკოლაში მუშაობის პერიოდში იგი 1975 წლის 27 აგვისტოდან ერთდროულად იწყებს მუშაობას საგარეჯოს პოლიტექნიკურ ტექნიკუმში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. საგარეჯოს რაიონის სახალხო განათლების განყოფილება თ. ელისაშვილს თავის განცხადების საფუძველზე ათავისუფლებს სამუშაოდან 1975 წლის 1 სექტემბერს (ბრძანება № 197/კ.).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კაკაბეთის საშუალო სკოლის დირექტორმა გ. პავლიაშვილმა თ. ელისაშვილი ისე გაათავისუფლა სამუშაოზე, რომ არ მოუთხოვია შრომის წიგნაკი.

1975 წლის 6 აპრილიდან 26 ოქტომბრამდე თ. ელისაშვილი მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში საგარეჯოს გუნდ „პოლიტექნიკის" შემადგენლობაში, რომელიც ტარდებოდა რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში შაბათსა და კვირა დღეებში. კაკაბეთის საშუალო სკოლაში მას ჰქონდა 31 საათი კვირეული დატვირთვა, მათ შორის შაბათს 6 გაკვეთილი, რომლებსაც იგი, ბუნებრივია, აცდენდა, კაკაბეთის საშუალო სკოლის დირექტორს გ. პავლიაშვილს კი გაცემული აქვს ცნობა (№ 325) იმის შესახებ, რომ 1975 წლის 21 თებერვლიდან 1-ელ სექტემბრამდე მასწავლებელ თ. ელისაშვილს თითქოს არც ერთი გაკვეთილი არ გაუცდენია.

კაკაბეთის საშუალო სკოლის დირექტორმა გ. პავლიაშვილმა და საგარეჯოს რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ნ. ჭანტურიამ შუამდგომლობა აღუძრეს დამწყებ მასწავლებელს თ. ელისაშვილს მსუბუქი ავტომანქანის შესაძენად, რაც ძალიან მოკლე დროში დაკმაყოფილებულ იქნა.

უნდა აღინიშნოს, რომ საგარეჯოს 1-ელ საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. ბედიაშვილი) დაშვებულია ზოგიერთი სერიოზული

დარღვევა შრომითი პოლიტექნიკური პრაქტიკუმების ჩატარების ორგანიზაციის საქმეში, რამაც ნაწილობრივ განაპირობა მომხ[illegible] საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა.

სკოლაში არასწორადაა შედგენილი გაკვეთილების ცხრილი. Xბ კლასში ორშაბათს (საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დღეს) შრომითი სწავლება შეტანილია მე-3, 4 გაკვეთილებად, ხოლო მე-5, 6-ზე ჩასმულია ალგებრა და ისტორია; ამავე დღეს Xბ პარალელურ კლასში მე-5-6 გაკვეთილებად შეტანილია შრომითი სწავლება, რაც მიზანშეუწონელია.

შრომით პოლიტექნიკურ პრაქტიკუმებს IX-X კლასებში ასწავლიან დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, 28 წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე ე. თურქიშვილი, რომლის პედაგოგიური დატვირთვა შეადგენს 11 საათს, აქედან ბიოლოგია—3 საათი. ამ კლასების განაყოფს ასწავლის ნ. ღოღელიანი, რომელიც ამ დროისათვის დეკრეტულ შვებულებაში იყო და მას ცვლიდა საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი თ. ფანოზიშვილი.

არასწორად უნდა ჩაითვალოს Xბ კლასის მოსწავლეთა მე-3-4 გაკვეთილების ჩასატარებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქსოფლტექნიკის" საგარეჯოს განყოფილებაში, დაახლოებით 2300 მეტრ მანძილზე წაყვანა და შემდეგ მათი უკან დაბრუნება გაკვეთილების ჩასატარებლად, ვინაიდან გაკვეთილებისათვის განკუთვნილი თითქმის მთელი დრო აღნიშნული მანძილის გავლას სჭირდება.

მასწავლებლებმა საგარეჯოს I-ლი საშუალო სკოლის Xბ კლასის მოსწავლეები „საქსოფლტექნიკის" საგარეჯოს განყოფილებაში პრაქტიკული მუშაობის ჩასატარებლად ჩაიყვანეს ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. მათთვის იქ მომზადებული არ იყო სამუშაო ადგილები და, რაც მთავარია, იქ არ ხდება ვენახის დასამუშავებელი იარაღებისა და მოწყობილობების შეკეთება, რასაც მოსწავლეები უნდა გაცნობოდნენ.

შეუწყნარებელია ის ფაქტიც, რომ Xბ კლასის 34 მოსწავლის ხელმძღვანელობა დირექტორის მოადგილემ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ე. თურქიაშვილმა მიანდო ახლად მოსულ შემცვლელ მასწავლებელს თ. ფანოზიშვილს, რომელიც არ იცნობდა ამ კლასის მოსწავლეებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეები უწესრიგოდ მოძრაობდ-

ნენ გზაში. 4 მოსწავლე ჩამორჩა კლასს და ტაქსით გაემგზავრა და-
ნიშნულ ადგილამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, მეთოდურ კაბინეტებს, სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებს არ აქვთ სახალმწიფო მანქანების სადგომი გარაჟები.

ზოგჯერ ადგილი აქვს ავტომანქანების არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევებს. ეს განსაკუთრებით ითქმის იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე, რომლებსაც სასწავლო მიზნით გადაეცათ სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანები.

მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, ადგილი აქვს მძღოლის ჯანმრთელობისა და ავტომანქანის ტექნიკური მდგომარეობის დროულად შეუმოწმებლობის, შორეულ მანძილზე ავტომანქანების თვითნებურად გაგზავნის, ავტომანქანის მიერ გარბენილი კილომეტრების აღრიცხვაზე კონტროლის განუხორციელებლობის, საწვავი მასალის გადახარჯვისა და სხვა შემთხვევებს.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხელმძღვანელების ყურადღებას მივაქცევ რა ზემოაღნიშნული უბედური შემთხვევის გამომწვევ მიზეზებისა და მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიიღონ ქმედითი ზომები ამ ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრამვატიზმის აღკვეთისათვის გასატარებელი ღონისძიებების დასახვასა და განხორციელებას;

ბ) სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმებისას აუცილებლად შეისწავლონ მოსწავლეთა საგზაო-სატრანსპორტო ტრამვატიზმის წინააღმდეგ დასახულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობა და გაატარონ საჭირო ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

გ) მიიღონ გადამჭრელი ზომები საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 11 დეკემბრის ერთობლივი დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულებისათვის;

დ) უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მეორე რესპუბლიკური კონკურსის დევიზით „იცოდე და დაიცავი საგზაო მოძრაობის წესები“ ორგანიზებულად ჩატარება;

ე) საგზაო უსაფრთხო მოძრაობის ერთთვიურის ჩატარებასთან დაკავშირებით, დასახონ და განახორციელონ გამაფრთხილებელ ღონისძიებათა კომპლექსი ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრამვატიზმის აღკვეთის მიზნით;

ვ) დაიყვანონ აღნიშნული ბრძანება ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამდე, კლასგარეშე დაწესებულებამდე და მკაცრი კონტროლი დააწესონ მისი შესრულების მიმდინარეობაზე.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) სკოლის ყველა მუშაკამდე დაიყვანონ აღნიშნული ბრძანება და მკაცრი კონტროლი დააწესონ მისი შესრულების მიმდინარეობაზე;

ბ) გაატარონ ღონისძიებანი მოსწავლეთა მიერ ქუჩაში მოძრაობის წესების საფუძვლიანად შესწავლაზე და საჭირო კონტროლი დააწესონ მათ მიერ ამ წესების შესრულებაზე;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებთან სისტემატურად ჩაატარონ ლექცია-საუბრები საკუთარი და მოწვეული ძალებით, უჩვენონ კინო და დაიფილმები ქუჩაში მოძრაობის წესების შესრულებაზე და იმ საკითხებზე, თუ რა შედეგი მოსდევს ამ წესების დარღვევას;

დ) უზრუნველყონ მეორე რესპუბლიკურ კონკურსში დევიზით „იცოდე და დაიცავი საგზაო მოძრაობის წესები“ ყველა მოსწავლის მონაწილეობა და მისი ორგანიზებულად ჩატარება.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების გამგემ 1975 წლის 7 დეკემბერს № 136 ბრძანებით I-ლი საშუალო სკოლის დირექტორს ი. ბედიაშვილს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისა და კონ-

ტროლისათვის, ამავე სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ე. თურქიშვილს უპასუხისმგებლობისათვის გამოუცხადა სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) სისტემატურად გააშუქოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხები რუბრიკით „გზა, მძღოლი, ფეხით მოსიარულე.“

5. მეთოდიკისა და სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ლ. მნათობიშვილ) 1977 წლის 1-ლი სექტემბრისათვის უზრუნველყოს 1-ლი, მე-2, მე-3 კლასების მოსწავლეთათვის საგზაო მოძრაობის წესების სახელმძღვანელოს გამოცემა.

6. სკოლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოებმა (ამხ. რ. კანდელაკი, თ. ჟღენტი):

ა) საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამმართველო-განყოფილებებთან ერთად უზრუნველყონ 1976 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის მეორე რესპუბლიკური კონკურსის დევიზით „იცოდე და დაიცავი საგზაო მოძრაობის წესები“ ორგანიზებულად ჩატარება;

ბ) განახორციელონ კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 15 აპრილის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი т. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 3 მაისის ბრძანება № 432

### პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების საკავშირო დათვალიერების შედეგების შესახებ

სახალხო უნივერსიტეტების საკავშირო დათვალიერებაში, რომელიც 1974-1975 წლების მანძილზე მიმდინარეობდა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებმა. დათვალიერების პერიოდში შესამჩნევი გახდა პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდის ქსელის ხარისხობრივი გაუმჯობესება, უფრო სრულყოფილი გახდა პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების სასწავლო-მატერიალური ბაზები, შეივსო სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინოებით, რამაც უფრო შედეგიანი, ეფექტური გახადა მათი მუშაობა. პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია მათი მასობრიობა. იგი მოსახლეობის ფართო ფენების, პედაგოგიური საზოგადოების განათლების, პედაგოგიკურ მეცნიერებათა პროპაგანდის ადვილად მისაწვდომ და საუკეთესო საშუალებად იქცა.

დათვალიერების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ თავის დროზე იქნა გაგზავნილი ინფორმაციები სსრ კავშირის განათლების სამინისტროში, ხოლო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებებით გამარჯვებული უნივერსიტეტები დაჯილდოვდნენ ფულადი თანხით; ხუთი აქტივისტი წარდგენილ იქნა „სსრკ განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშანზე, მრავალი აქტივისტი დაჯილდოვდა განათლების სამინისტროსა და განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელებით.

ახლახანს, მიმდინარე წლის იანვარში ქ. ორჯონიკიძეში ჩატა-

რებულმა პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების აქტივის საკავშირო თათბირმა შეაჯამა დათვალიერების შედეგები.

ჩვენი რესპუბლიკიდან გამარჯვებულთა და დაჯილდოებულთა შესახებ ინფორმაციას დამატებით გადმოგზავნის სსრ კავშირის განათლების სამინისტრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს:

ა) სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიონ პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებს მუშაობაში; ყველა დიდ სკოლასთან, სადაც ამჟამად არ არსებობს უნივერსიტეტები, უმოკლეს ვადებში უზრუნველყონ მათი დაარსება;

ბ) აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახალხო უნივერსიტეტის სამუშაო გეგმის შემუშავებაში, და მათ დაკომპლექტებაში კვალიფიციური ლექტორებით;

გ) აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისისა და ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, შექმნან სახალხო უნივერსიტეტების საბჭოები, რომელთა თავმჯდომარეები იქნებიან აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგის მოადგილეები და თბილისისა და ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები;

დ) აღნიშნული საბჭოების თავმჯდომარეებმა, ანგარიში პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების მუშაობის შესახებ, ყოველი წლის დასასრულს წარმოადგინონ განათლების სამინისტროში.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების საბჭოს განახლებული შემადგენლობა (სია თან ერთვის).

3. მოწონებულ იქნეს პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების ქსელის განვითარების პერსპექტიული გეგმა (1976-1980 წ. წ.)

4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს განათ-

ების სამინისტროს პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტე-
ბის საბჭოს (ამხ. უ. ობოლაძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 15 აპრილის დადგენილება.

მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი

## განათლების სამინისტროსთან არსებული პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების საბჭოს შემადგენლობა

1. **უ. პ. ობოლაძე**—განათლების მინისტრის მოადგილე, პროფესორი (თავმჯდომარე)

2. **თ. ა. ნიკოლაიშვილი**—განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი

3. **ე. ა. ზარქუა**—განათლების სამინისტროს სასწავლო-აღმზრდელობითი სამმართველოს უფროსის მოადგილე

4. **გ. ბ. ვარდოსანიძე**—განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი

5. **თ. გ. ეგაძე**—თბილისის განათლების განყოფილების გამგე

6. **ე. ა. ქურციკიძე**—განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

7. **კ. კ. რამიშვილი**—უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სახალხო უნივერსიტეტების მეთოდკაბინეტის გამგე

8. **ა. ლომაძე**—განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პედაგოგიკის სექტორის გამგე

9. **ვ. სიმონიშვილი**—გაზეთ „სახალხო განათლების“ სასკოლო განყოფილების გამგე

10. **გ. ი. ხანდამიშვილი**—ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ განყ. გამგე—რედაქტორი

11. **ს. ლ. დვალი**—სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. ბრძანება № 328—მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკურ სანატორიულ ბაგა-ბაღში მომხდარი ფაქტის შესახებ . . . . . 3
2. ბრძანება № 329—სკოლამდელ დაწესებულებებში რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . 6
3. Приказ № 338 - Об утверждении отчета по республиканскому бюджету Минпроса ГССР за 1975 год . . . . . . . . 12
4. ბრძანება № 349—უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების 1975 წლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა 10 თვიანი სტაჟირების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 15
5. ბრძანება № 359—თბილისის № 1 დამხმარე სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . 18
6. ბრძანება № 384—ჩხოროწყუსა და საჩხერის რაიონებში მომუშავე ახალგაზრდების საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში სწავლების შესახებ . . 27
7. ბრძანება № 428—ლაგოდეხის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 34
8. ბრძანება № 429—1975 წლის 1 დეკემბერს საგარეჯოს რაიონში მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შესახებ . . . . . 80
9. ბრძანება № 432—პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების საკავშირო დათვალიერების შედეგების შესახებ . . . . . . . . . 86

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

**ფასი 10 კაპ.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VII-76 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5,75

შეკვ. № 222 უე—04271 ტირაჟი 5.000

---

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11.
უშ. ჩხეიძის ქ № 19

**Типография № 11, Государственного комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19**